



მედეა



№6 2011

საერთაშორისო საზოგადოება „ქალის სულიერი აღორძინების ღივას“
ლამაზად შვილის გამზრდელი დედა
მიცვნია ღმერთადა! (ვაჟა-ფშაველა)

სარჩევი

1. მანიფესტი.....	2	10. მერწყულის ეპოქა, ანუ ლეგენდები და მითები ამეტყველდნენ.....	46
2. საქართველო საოცრების მხარე.....	6	11. სამყაროს შვიდი სასწაული.....	57
3. ბელადი.....	15	12. მიშა გადადექი.....	67
4. ატლანტიდის მითი.....	18	13. ჭეშმარიტება ბავშვის ენით ლა- პარაკობს.....	71
5. აწმყო შობილი წარსულისაგან.....	22	14. ბავშვები?! არა ღმერთები და წმინდანები.....	79
6. ენავ ქართულო დედაო ენავ.....	28	15. პარაცელსის ვარდი.....	85
7. გული “ბოლოჟამის” ერთადერთი გზამკვლევი.....	33	16. სიყვარულის მესამე საიდუმლოება.....	93
8. ვარდისა და ჯვრის საძმო.....	36	17. ჩვენი სამკურნალო სისტემა.....	102
9. როზენკრეციცერების დოქტრინები და დოგმატები.....	38		

მთავარი რედაქტორი: თამაზ თავაძე

სარედაქციო კოლეგია:

ზ. ტატინაშვილი

მ. კერვალიძე

დ. ფარადაშვილი

მ. ხუროშვილი

მ. ლომაშვილი

ლ. ზედელაშვილი

ნ. თავაძე

ე. აბუაშვილი

გ. გოგრიჭიანი

დიზაინი და კომპიუტერული დამუშავება:

გ. სალიბეგაშვილი

გ. თავაძე

ზ. ტატინაშვილი

www.georgia.agni-age.net

www.oqrossatmisi.tk

Email: gromm@roerich.com

grommfa@mail.ru

ფასი შეთანხმებით

ტირაჟი 200

მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი

“მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული აბსოლუტურ თავისუფლებას, მთლიანობას და ერთობას საკუთარ ინდივიდუალობასთან...”

აღწევს თვითგამორკვევას და თვითგანვითარებას, რითაც წინ მიჰყავს კაცობრიობის ისტორია.” / ჰეგელი. /

ქვეყნებს, ერებს, მსოფლიო რელიგიათა და სულიერ ორგანიზაციათა ლიდერებს, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მთელს პროგრესულ კაცობრიობას!

მერწყულის ეპოქის მეექვსე რასა, თამამად შედის თავის ძალაუფლებებში! იგი დაუფარავად აცხადებს საკუთარი თავის შესახებ არნახულად განვითარებად მეცნიერებებში, ტექნიკაში, ტექნოლოგიებში, კერძოდ კი ნანოტექნოლოგიებში, ინდიგოს თაობის ბავშვთა პარანორმალურ თვისებებში, მსოფლიოს დემოკრატიზაციისა და სამართლებრივ უფლებათა გლობალიზაციაში, ადამიანის უფლებათა იდეის მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრებაში შედეგად რისა, კაცობრიობა მზადაა რელიგიურ სივრცეში მსოფლიოს რელიგიათა პრობლემების გადასაჭრელად, **გაერო**-სა და **იუნესკო**-ს მსგავსი ორგანიზაციების შექმნით მსოფლიოს რელიგიურ სისტემათა განვითარებისა და რელიგიათაშორისი პროცესების ნორმალიზაციისათვის, ტოლერანტობისა და ურთიერთ თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნით.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სახეზეა, როგორც წარსულ ეპოქათა მისტიური, ასე თანამედროვე მსოფლიო რელიგიათა წიაღში

დავანებული საიდუმლო ცოდნის ლეგალიზაციის ფაქტი.

აშკარაა რომ ეს, – კაცობრიობის ცნობიერების ისტორიული ევოლუციის პროცესია და იგი შეუჩერებელია. ყოველი საიდუმლო გაცხადებული ხდება. ადამიანთა განათლებული ცნობიერება მასიურადაა გამზადებული ყოველი მისტიური ცოდნის მისაღებად, იქნება ეს გარდასულ ეპოქათა მისტიური ცოდნა, – ვთქვათ ელლინიზმის უდიდესი და უდიადესი ცოდნა, – თუ თანამედროვე რელიგიათა აქამდე დაფარული ცოდნა. მეცნიერება ვრცელი ფრონტით უშუალოდ მიუახლოვდა ამ საკითხს, როგორც ლეგალურად ასე სახელმწიფოთა გასაიდუმლოებული კვლევების მეშვეობით და გამალებით სწავლობს ეგრეთ წოდებული ჩაკრამების – ფსიქიური ცენტრების თვისებებს, და უკან არ იხევს არცა წინააღმდეგობებისა და არცა (სამწუხაროდ) აკრძალვების გამო, რამეთუ სახელმწიფოთა კვლევების სივრცე არავითარ აკრძალვებს არ ექვემდებარება. საიდუმლოდ თუ ლეგალურად, ერთეულებისა თუ საზოგადოებრივი გაერთიანებების სახით, კაცობრიობა სწავლობს ადამიანის ფსიქიკისა და ბუნების კანონებს, რასაც ხელს უწყობს მეცნიერებისაგან კაცობრიობის ცნობიერების საერთო დონის ინ-

ტენსიური ამაღლება, რაც მსოფლიოს განვითარების ხედვის ახალ კუთხეს წარმოგვიჩენს,—ერთის მხრივ მსოფლიოს რელიგიებს, რომლებიც დღემდე ვერ თმობენ ადამიანთა მასების მართვის მონოპოლიას და, მეორეს მხრივ, არა მარტო ცალკეულ ღრმად განათლებულ ადამიანებებს, არამედ მოაზროვნე ადამიანთა მასებს, რომლებმაც მოიპოვეს სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობის უფლება საერთო ევოლუციისა და საკუთარი მაღალი ცნობიერების ძალით.

ასეთი სულიერი აღზევება, ჩვენი ახალი დროის ნიშანია. წარსულში მხოლოდ ღრმად მოაზროვნე ადამიანები პოულობდნენ საიდუმლო ცოდნას თვითონ, ან მისტიურ სკოლებში ეზიარებოდნენ მას და, მამა ქრისტიან როზენკრეიცის მსგავსად, უკვე თვითონ აყალიბებდნენ თავის ახალ, ტამპლიერების, მასონებისა თუ მორმონების მსგავს მისტიურ მიმართულებებს, ისევე როგორც ევროპის, არაბული ქვეყნებისა თუ ისრაელის მსგავს კაბალისტურ მიმართულებებს, ღვთისა და კაცობრიობის მსახურებისათვის.

საიდუმლო და გაცხადებულ პრობლემათა მიმართ, აღმოსავლეთის ისტორიაში არსებობს განსაკუთრებულად განსხვავებული მიდგომა: ერთსა და იგივე რელიგიურ კონფესიაში ორ,—ეგზოთერულ და ეზოთერულ,—განსხვავებულ რელიგიურ ცნობიერებათა დონის მატარებელ ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობა. მათი ათასწლეულების მანძილზე მშვიდობიანი თანაარსებობა განსა-

კუთრებულად ნიშანდობლივია იმით, რომ ბუდიზმს არასოდეს არ შეურცხვენია თავი რელიგიური დევნითა და ინკვიზიციის სისხლის ღვრით, რასაც ვერ ვიტყვით ქრისტიანობაზე, სადაც ყველაზე მშვიდობიანი მაცხოვრის სახელით, ზღვა სისხლია დაღვრილი.

ამ მხრივ საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი მსოფლიო რელიგია, რომელიც ბუდიზმის მსგავსი შემწყნარებლობით გამოირჩევა,—**იუდაიზმი!**

ყოველად ძლიერი დროის მოთხოვნილება,—დემოკრატიზაცია,—ფაქტობრივად უკვე რეალურად, აისახა მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციებში და მტკიცედ მკვიდრდება მთელს მსოფლიოში ერებისა და ქვეყნების დემოკრატიული თავისუფლებების სახით. მსგავსად ამისა, ჩვენ ვაცხადებთ ზუსტად ასეთივე დემოკრატიზაციას რელიგიაში, რათა ჩვენს, არც ისე მარტივ დროში, თავი დავაღწიოთ რელიგიური გადახრების ფანატიზმს და სამუდამოდ მოვიცილოთ ტერორიზმი.

ერთერთი უმთავრესი იმ ამოცანათაგანი, რომლებიც ამ მანიფესტითაა განსაზღვრული, არის არა მხოლოდ რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების გაცხადება, არამედ თანასწორუფლებიანობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის უფლების გაცხადება ყოველი მსოფლიო რელიგიის სივრცეში უკვე რეალურად არსებული ორი,—ეზოთერული და ეგზოთერული,—მიმართულებებისათვის.

ამგვარად, ჩვენ ვაცხადებთ მსოფლიო რელიგიებისა და სექტების სივრცეში არსებული, დასა-

ხელებული მიმართულებების მშვიდობიან თანაარსებობას.

ნიშანდობლივია, რომ რელიგიური ფსიქოზი და ფანატიზმი, პოსტ საბჭოური სივრცის 70 წლიანი სულიერი შიმშილის შედეგია, რადგან ათეიზმიდან ეკლესიურობისაკენ სწრაფმა შემობრუნებამ ვერ უზრუნველყო რელიგიური კულტურის დეფიციტი, აქედან აღზევებული შეუწყნარებლობა და ფანატიზმი, რაც პარტიზმების “იმუნიტეტის” სანაცვლო რელიგიური “იმუნიტეტის” შექმნის სურვილითაა დაბადებული. ზუსტად ამითაა გამოწვეული ქრისტეს შეურაცხყოფელ ინკვიზიტორთა გამოსვლებიც...

და მაინც, *ყაზახეთის* მსგავსად, საქართველო, სახელმწიფოს რეფორმებით აღორძინების, მსოფლიო მასშტაბით, უჩვეულო ეროვნული *რენესანსის* თავისებური *მანიფესტია*:

–საქართველო ვით წმინდა ფენიქსი აღსდგა იმ ფერფლიდან, რომლადაც იგი ბორიტების იმპერიის ხელში გარდაიქცა;

–საქართველო, იმპერიასთან ელვისებური ომის შემდეგ, ფაქტიურად *გამარჯვებული* გამოვიდა.

ეს ორივე ფენომენი ნაციონალური პარტიის პოლიტიკის და მისი ლედერის, –*მიხეილ სააკაშვილის* შრომოს ნაყოფია. მთელი მსოფლიოს მშვიდობიანი თანამეგობრობა მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭარად უნდა გაერთიანდეს და მისი პიროვნების მხარდაჭერით დაიცვას მსოფლიოს კულტურული ფასეულობანი, ვინაიდან რუსეთის ცნობილი საქციელი, ისტორიის მსოფლიოს

განმანთავისუფლებელ მოძრაობათა იდეას აუფასურებს. ეს კი, თავისთავად ცხადია, –აბსურდია! საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და მათი შინაარსის ჩანაცვლებითა და მანიპულირებით, იმპერიები ამართლებდნენ თავიანთ ტერიტორიულ პრეტენზიებს. საქართველოსთან სამხედრო კონფლიქტის დროს, თავდასხმა სინამდვილეში ევროპაზე განხორციელდა და მას მრავალი წარმოდგენელი უბედურება ემუქრებოდა, შესაძლოა ეტლანტიდის მსგავსი კატასტროფაც კი. ეს ფაქტია. ეს სრული სინამდვილეა! ეს ყველამ უნდა დაინახოს, რათა დასრულდეს ჩვენი პრეზიდენტისადმი გაუთავებელი უსაფუძვლო პრეტენზიები, რადგან ასეთ შემთხვევაში ჟანა დარკი, ივანე სუსანიანი, ყოველი ეროვნულ განმანთავისუფლებელი ბრძოლა და თვით მეორე მსოფლიო, –რუსეთისათვის განმანთავისუფლებელი, –ომიც კი, კანონგარეშეთ ფასდება. სააკაშვილი საკუთარი ერის განმანთავისუფლებელია და არა დამნაშავე რუსეთის მიმართ. ასეთი ალოგიზმის მხარდამჭერთ მოუწევთ რუსეთის უდიდესი ეროვნული გმირის, –დიმიტრი დონელის, –ურდოს წინაშე დამნაშავედ გამოცხადება. მაგრამ რუსეთი დიმიტრი დონელიდან იწყება, საქართველო კი –საკაშვილიდან.

გამომდინარე ყოველი ზემოთხსენებულიდან ვაცხადებთ:

I–საჭიროა შეიქმნას სრულიად საკაცობრიო, მსოფლიოს რელიგიათა თანამშრომლობის ერთიანი სისტემა, აპოკალიფსის პერიოდის ამ არც ისე მარტივი პროცესების

რელიგიურ სივრცეში სამართავად, *გაერო*–სა და *იუნესკო*–ს მსგავსი ორგანიზაციების ჩამოყალიბებით. ამგვარად, გლობალურად დამკვიდრდება არა მხოლოდ მსოფლიო რელიგიათა მშვიდობიანი ურთიერთობები და თანამშრომლობა, არამედ მათ სივრცეში არსებული ორი განსხვავებული, ეზოთერული და ეგზოთერული ცნობიერების მქონე ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობაც. ახლად ჩამოსაყალიბებელ ორგანიზაციათა ენობრივი უზრუნველყოფაც გაეროს მსგავსად უნდა განისაზღვროს. თუ დასავლეთის ხუთი ენა თანამშრომლობს დღეს აღმოსავლეთთან ჩინური ენის საშუალებით, ასევე შესაძლებელია ურთიერთობის ხუთი აღმოსავლური ენაც,–ტიბეტური, ინდური, სპარსული, არაბული, ივრიტი და დასავლური, ელადის უკვდავი ენა–*ბერნული*–რაც მსოფლიოს ურთიერთობათა ენობრივი სივრცის გაზრდით, დაახლოების ახალ შესაძლებლობებს იძლევა.

II–*გაერო*–სა და *იუნესკო*–ს მსგავს მსოფლიოს რელიგიათა ერთიანი თანამშრომლობისა და მართვის ცენტრში უნდა შეიქმნას მსოფლიოს ერთიანი *ეთიკური ცენტრი*, რომელიც ყოველთვის განსაზღვრავს როგორც ბუნების ჯერ უცნობი კანონების შესწავლის ლეგიტიმურობას, ასე ცხოვრებაში სიახლეთა შემოტანის მიზანშეწონილობას და შეათანხმებს მათ *გაერო*–სთან ერთობლივი გადაწყვეტილებისათვის. ასე გადაწყდება კაცობრიობის უსაფრთხო განვითარების საკითხები იმ შემთხვევებში, როდესაც აღმოჩენები ნაადრევი იქნება კაცობრიობის არსებული ცნობიერებისათვის. ასეთი პრობლემები ახალი როდია მსო-

ფლიოსათვის, ვთქვათ იაპონიაში, ატომურ ენერგიასთან და გენეტიკურ კოდთან მიმართებაში.

III–ზუსტად დღეს უნდა გავიხსენოთ ნილოლოზ რერიხის *კულტურის პაქტი*, რათა შევძინოთ მას ახლებური შინაარსი და ჟღერადობა თვით *ლოგოსის, სიტყვის* შინაარსის მიმართ, რათა დავიცვათ სიტყვა გაავებუღ პოლიტიკოსთა ძალისმიერი, “თავისუფალი” განმარტებებისაგან, ვინაიდან ძალისმიერი პოზიცია ის ყველაზე საშიში მიდგომაა სიტყვის მიმართ, როდესაც შეიძლება ევროპის დიდი ქვეყნის მთავრობის ერთიანი განადგურება... სადღეისოთ, მსოფლიოში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, საჭიროა მიხეილ სააკაშვილისათვის დამსახურებული ნობელის პრემიის მინიჭება, რათა მსოფლიოში ახალი რეალიები და ახალი სულიერი კრიტიკიუმები დამკვიდრდნენ და ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას საერთაშორისო პროვოკაციებს.

ამგვარად, საშიშ პრეტენზიათა საპირწონეთ, კაცობრიობის წინაშე, ყოველი დამსახურება იქნება დაფასებული, დაცული იქნება მსოფლიოს კულტურისა და ეთიკის ყოველი მცნება, იმპერიები კი წავლენ სამუდამოდ თავიანთი აბელცევეებით, სლიზკებითა და გრიზლოვებით, რამეთუ რუსეთს თავისი უბრწყინვალესი მომავალი გააჩნია,–ივანე ასიათასიანი, –რასაც მსოფლიო უკვე კარგა ხანია რაც ელოდება რერიხის სილიერი კულტურის მატარებელი სამშობლოდან!

რერიხის საზოგადოების
პრეზიდენტი თამაზ თავაძე

საქართველო, – საოცრების მხარე!



ათეშგა – გულო საქართველო-სი!


რამდენი საიდუმლოა დაკავშირებული ო, საქართველოვ შენთან, რამდენი სილამაზეა ჩადვრილი შენს ბუნებაში, მთებსა და გამოქვაბულებში, ტაძრებსა და ეთნო-ხუროთმოძღვრებაში, შენს მითებსა და ლეგენდებში, შენს ზღაპრებში, შენს ხალხში და მის სიმღერებსა და ცეკვებში... ვინ ჩამოთვლის რამდენი მადლია შენში, იქნება ეს ეროვნული ჩაცმულობა თუ სამზარეულო, სტუმართმოყვარეობა თუ სიდარბაისლე და მჭევრმეტყველება?!

მაგრამ არის ერთი დიდი ფენომენი შენს ისტორიაში რომლითაც შენ ენაში თუ ხუროთმოძღვრებაში შემოინახე კაცობრიობის განვითარების მანძილზე არსებული შენგან გავლილი ყველა რელიგია და უმთავრესი მათი საიდუმლო, – რელიგიის დედა არსის, გულის საიდუმლო. ტყუილად როდია, რომ ქართველები წინათ ამბობდნენ

(ეხლა მხოლოდ ფერეიდნელ ქართველებსდა შემორჩათ ეს სიტყვა), – ჩვენ ქართველებს დიდი გული გვაქვსო, და თუ ეს განძი დღეს მივიწყებუღია, მაინც შემოინახა ენამ თავის ლექსიკონში ასობით სიტყვა გულთან დაკავშირებით: გულადღება, გულიანი, გულადი, გულთბილი, გულგახსნილი, გულმართალი, გულწრფელი და სხვა მრავალი...

...მაგრამ მოდით და ეზოთერული მეცნიერების ერთ ვილაპარაკოთ, რადგან ათეშგა ის ქვაკუთხეღია, რომელიც რელიგიათა მონაცვლეობის საფუძველსაც ხსნის და მათ ერთშინაარსიანობასაც, ანუ იმას, რომ ერს არასოდეს უღალატნია ყველაზე დიდისა და ერთადერთი ღმერთისათვის, რომელსაც ყოველთვის *გული, ქრისტე* ერქვა და სამების თვალსაზრისით სამებაც იცოღა როგორც აბსტრაქტული სახეღების სახით–*სული, ცნობიერება, გონი* და ასე მათი დასახეღებითაც – *მამა, ძე და სული წმინღა...*

მაშ ასე, ბერძნული ენის ცოდნის მიმართ ამ ჟურნალის ერთ-ერთ ნარკვევში, ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ბერძნული სასულიერო წყაროებისა და მისი ლეგენდებისა და მითების ცოდნა, - განსაკუ-



თრებული განძია, რაც სრულიად დაუფარავადაა ცნობილი როგორც ბერძნული კაბალა... ჰოდა ზუსტად საბერძნეთში, პითაგორამ პირველმა ხმამაღლა გააჟღერა გულის საიდუმლოება და თავისი მისტიური სკოლის მოწაფეთა საიდუმლო ფიციც გაანდო კაცობრიობას: “ვფიცავ ტეტრადას, რომელიც ღმერთმა ჩვენს გულში ჩადო!”

ტეტრადა! კვადრატი... იგი ხომ ნებისმიერი ტაძრის ფუნდამენტს წარმოადგენს. იგი ხომ უდიდესი საკულტო ნაგებობების - პირამიდების ფუძეა. პირამიდებში ორმაგი კვადრატის ფუძის მქონე ოთახს ორმაგი ოთახი ერქვა და მას წმინდა ერქვა, და იმ ოთახს კი, რომელსაც კვადრატი ედო საფუძვლად (უფრო მეტიც - ოთახი კუბს წარმოადგენდა), წმინდათა წმინდა ეწოდებოდა. ათეშგას ფუძე კვადრატია და პითაგორამ კვადრატის სრული საიდუმლოებაც აღწერა: 1 - ცეცხლი; 2 - წყალი; 3 - მიწა; 4 - ჰაერი.

ამ ოთხი რიცხვის ჯამი უდრის 10-ს, ათი კი სრულყოფილებაა, აბსოლუტური სრულყოფილება და


ასომთავრულ ასოთა შორის, რიგით მეათე არის “ი” და იგი სრულყოფილია ბგერათა შორის. ამიტომ მასზე დაწყებული ქვეყნების დასახელებებიც ქვეყნის მისტიურ ღირებულებას მიგვანიშნებენ: ინდოეთი, ისრაელი, ირანი, იტალია, ინგლისი, იბერია... და კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი რამ: განა ათეშგა “ათ”-ით არ იწყება?! ეს ისე ცნობისათვის, მაგრამ, ჩვენ საქმე გვაქვს კვადრატთან, რომლის შესახებ პითაგორა ბრძანებს რომ იგი გამჩენმა ჩვენს გულში ჩადო. ეს კი უკვე განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვს...

კვადრატი მხოლოდ საფუძველია და ცხოვრებაში იგი ტაძრის ფუძეს წარმოადგენს, რომელზედაც ტაძარს დააშენდებდნენ, და... ცხოვრებაც, თუკი ადამიანმა გული ცხოვრების სიბრძნით განავითარა, იგი უკვე საკუთარი თავისაგან აშენებს კუბს, - მარილის კრისტალს!

რატომ მარილის? იმიტომ რომ მარილი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ალქიმიური ელემენტი, რომელზედაც ქრისტე ბრძანებს: თქვენ მარილი ხართ და რა დაკარგოს მან თავისი გემო, რამ შეცვალოს იგი?

მარილი, ანუ კუბი, ეგვიპტური არკანების ის მეშვიდე არკანია, რომელზეცდაც ქრისტე ბრძანებს, რომ: **“მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე.”** მეშვიდე არკანი სიმბოლურად წარმოადგენს კუბს, რომლიდანაც ამოდის აბჯარ ასხმული მეომარი. ეს თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა “გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე” - ს საფეხურთა სიბრძნე გაიარა, სძლია

მიწიერს (კუბს) და მარადიული სიცოცხლისათვის დაიბადა.



თქვენ მრავლად იპოვით ტაძრებში კვადრატს, კუბს და სხვა გეომეტრიულ ფიგურებსაც, მხოლოდ კი ნუ დაივიწყებთ იმას, რომ უმთავრესია კვადრატი, კუბი და სფერო ათეშგასთან მიმართებაში, ათეშგასთან, როგორც ყველაზე აშკარა, და თითქმის გახსნილ საიდუმლოებაზე ღმრთისა და რელიგიების მიმართ.

ისევ შორიდან დავიწყეთ.

მედეას ამ მეექვსე ნომერში შემთხვევით როდია დაბეჭდილი “ატლანტიდის მითი.” ჩვენ ამით ორ მიზანს ვისახავდით: პირველი ის, რომ თუ ხელისუფალმა, ქრისტეს მსგავსად პირადულს არ სძლია და მხოლოდ საკუთარი ერის მათეებლობის გზას დაადგა, ისე რომ საკაცობრიო სიკეთე, ანუ **სიკეთე ყოველთა** არ ამჯობინა კერძო, ვიწრო ეროვნულ ინტერე-

სებს, იგი იღუპება თვითონ, ღუპავს ერს და, როგორც ატლანტიდას (რერიხის ისტორიულ ნაწარმოებში) ისე ღუპავს კაცობრიობასაც; მეორე ის, რომ როდესაც ისტორიული ეპოქა, ერთ კულტურულ ცივილიზაციას დაასრულებს, იგი, ეპოქა, მზადაა გადავიდეს სხვა სივრცეში, სხვა ენობრივ და კულტურულ ხალხში, რადგან უკვე იქ უნდა დამკვიდრდეს შემდგომი საფეხური, როგორც ამ კონკრეტული ერის კულტურა და ცივილიზაცია, ასევე ამ რჩეული ერის მეშვეობით უნდა განვითარდეს მსოფლიო კულტურაც. მხოლოდ ასეთ გარდამავალ პერიოდებში ხდება ცოდნის კოდირება და ქურუმთა მეშვეობით სხვაგან, დანიშნულ სივრცეში მისი მიტანა, შემდგომი განვითარებისათვის.

ასე რომ ატლანტიდა კი დაიღუპა მის ხელისუფალთა არასწორი არჩევანის გამო, მაგრამ აღმოცენდა ეგვიპტე, როგორც მისი მემკვიდრე, თუმცა ეგვიპტურმა კულტურამ როდი იცის ის, თუ ვისი მემკვიდრე იყო თვითონ. ეგვიპტე, თავის მხრივ, ცივილიზაციის დაისისას, თავის ცოდნას გადასცემს ისრაელს და საბერძნეთს, ამასთან ერთად კოდირებულ ინფორმაციას აწვდის მთელს კაცობრიობას კარტისა და “ტორა”-ს წიგნის მეშვეობით.

აქ ჩვენ, სტრიქონებს შუა სულ ათეშგაზე ვსაუბრობთ და ნუ იფიქრებთ, რომ მხოლოდ განზოგადებულ ინფორმაციასთან და ისტორიულ ფაქტებთან გვაქვს საქმე...

...ბერძნები ორი ათასი წლის განმავლობაში ყოველ ხუთ წე-

ლიწადში ერთხელ აწყობდნენ ელევზინის მისტერიებს და ამ მისტერიებში მონაწილეობისა და ცოდნის გაცემა-მისაღებად იკრიბებოდნენ მსოფლიოს მისტეკოსები. კარგადაა ცნობილი, რომ ბერძნული ცივილიზაციის სილამაზისა და მნიშვნელობის მქონე ცივილიზაცია დედამიწაზე არასოდეს ყოფილა, მაგრამ როდესაც მათი ვარსკვლავიც უნდა ჩასულიყო, მსგავსად ატლანტიდისა და ეგვიპტელებისა, მათ სხვა, უფრო ეფექტურ ხერხს მიმართეს...

რადგან ელევზინის მისტერიებმა მისტერიური ცოდნა საკმარისად განავითარეს და განავრცეს კიდევ; რადგან ელევზინის მისტერიებში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ ერთეულები მოდიოდნენ მთელი მსოფლიოდან, გასაგები გახდა, რომ ცოდნის შემდგომ განვითარებას, სჭირდებოდა, ცოდნის გავრცელების ისეთი ფორმის შექმნა, რომელიც მასიური იქნებოდა და საკუთარ კერებში განვითარდებოდა, მასობრივად მოედებოდა სრულიად საკაცობრიო სივრცეს, და აღარ იქნებოდა მხოლოდ რჩეულთა ხვედრი.


ასეთი ფორმა მოიძებნა. გადაწყდა მისტერიური საიდუმლოს, ბუდნის(გონი), რაც იგივეა გულის არსის საიდუმლო სახელის გახსნა და ამ სახელმა მსოფლიო რელიგიის ფორმა მიიღო. ეს სახელია **ქრისტე და ქრისტიანობა**, რომელიც მსოფლიო რელიგიის სახით განევრცო დედამიწაზე, მილიარდობით ადამიანთა განათლებისა და გადარჩენისათვის.

აი აქ უნდა ითქვას ებრაელებზე, ანუ ისრაელსა და ისრაელიანე-

ლებზე. მისტეციზმის ჭეშმარიტი მკვლევარი და შემსწავლელი ახალ რელიგიას დაინახავს არა მხოლოდ ბერძნულ ლეგენდებსა და მითებში, რომლებშიდაც ცალკეული კონკრეტული მისტერიური ცოდნაა ჩადებული, არამედ იმ უნატიფეს ჭეშმარიტებებშიც, რომლებიც ძველი აღთქმის წმინდა წერის ალეგორიებშია შენიღბული. ძირითად საიდუმლოებას წარმოადგენს ეგვიპტური ტაძრების, კონკრეტულად კი პირამიდების ის მისტერიური საიდუმლოებები რომლებიც ებრაელთა სალოცავ კარავში – “სკინია”-შია ჩადებული. ეს კარავი მოსემ ააშენა ისრაელიანთა მომთაბარე ცხოვრების წესთან მორგებით და მასში აშკარად გამოსჭვივის ძირითადი ეზოთერული ცოდნა, და ვინც ამ ცოდნას ჩაწვდა მას უკვე არც ერთი რელიგია აღარ ესაჭიროება, რადგან ასეთი ადამიანი უდიდეს ადამიანთა რიგებში-განდობილთა რიგებში შედის. იგი ჭეშმარიტი და აბსოლუტური მართლმადიდებელი ქრისტიანი ხდება, მელქისედეკის ორდენის წევრი. ასეთი ადამიანები ღმერთმა დედამიწაზე წესრიგისათვის მოავლინა და ყველა კონფესიას და ქვეყანას ჰყავს ასეთი ქურუმები. ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ ამგვარ ქურუმთა, ანუ მღვდელმთავართა შესახებ არსებობს ლეგენდა იმაზედ რომ, ისინი იმდენად უწმინდესენი იყვნენ, რომ წმინდათა წმინდაში შესვლით ლოცულობდნენ სამყაროთა საკეთილდღეოთ. მაგრამ იმისდა მინიშნებისათვის რომ სიწმინდე აბსოლუტური უნდა იყვეს ლეგენდა ამბობს, რომ თუ მღვდელ-

მთავარს უნებლიედ რაიმე აზრი წასცდებოდა სკინიაში, მას მისი ღმერთი *იეღოვა* ელვით ლახვრავდა. რადგან წმინდათა წმინდაში სხვისი შესვლა არ შეიძლებოდა, ამიტომ მას, ამ შემთხვევისათვის, ფეხზე წინასწარ მიბმული წვრილი ჯაჭვით გამოიტანდნენ... და თუკი სიწმინდე ასეთნაირად დიდია, გასაგებია რომ მღვდელმთავრებზე ცნობილია ის, რომ ისინი მთელ სამყაროს მართავენ ღოცვებით...

ვრის ზედა მოკლე სამოსელს *ეფროდი* ჰქვია და მასზე, ზუსტად გულის ადგილას კვადრატი – *ესენი* აქვს დამაგრებული და მას სიმართლისა და წინასწარმეტყველების სამკერდე ჰქვია. გასაგებია რომ აქ, კვადრატის სიმბოლიკით, შენიღბულია გული და ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი მეღქისადეკის ორდენს ეკუთვნის. თვითონ სკინია იმდენად მარტივად განასახიერებს პითაგორეიზმს, ანუ მსოფლიოს



ნელ-ნელა, ათეუმგასთან მიმართებაში, თხრობა უფრო აშკარა გაეხადოთ: ისრაელის მღვდელმთა-

მისტიციზმის საიდუმლოებას, რომ გასაგები ხდება თუ რატომაა სიმარტივე ყველაზე ძნელად

გასაგებიც და ცოდნის დაფარვის საუკეთესო ხერხიც.

მოყვანილ სურათზე გამოსახულია კარავი – სკინია! მის წინ ხელჯოხების მეშვეობით შემოწორულობების გადასატანი ყუთია, რომელიც აშკარად “წმინდაა” რადგან ორმაგი კვადრატის ფორმა აქვს (შემთხვევითობა მკაცრად გამორიცხულია!) და იგი აღნიშნავს ერთ-ერთ უმთავრეს ღრმად დაფარულ საიდუმლოებას, – რიცხვ “2”-ს, ჭეშმარიტებას. მის შემდეგ თასია და მღვდელმთავარი მასში იბანს ხელებს(ამ მხრივ, საგულისხმოა პილატეს ცნობილი ფამონათქვამი: მე ხელები დამიბანიაო). თასი – *გრაალის თასის* სიმბოლოა და სიცოცხლის წყალში დაბანილი ხელები უზენაეს სიწმინდეს ნიშნავენ. თასი კუბზეა დადგმული და კვადრატი – გული განწმენდს კუბს, – სძლევს მატერიას და გაამთლიანებს რა ადამიანს, მონადად გარდააქცევს მას. მონადა თავის მხრივ ხომ ერთია, ღმ-ერთი და სკინიაში შესასვლელის მიმართულებით ეს რიცხვები 2 და 1 (წმინდა – 2 და წმინდათა წმინდა – 1) წარმოადგენენ 21-ე არკანს, რაც იმას ნიშნავს, რომ 21 არკანის ძლევამოსილებით შემკული მღვდელმსახური შედის სკინიაში, იქ სადაც წმინდათა წმინდაა, ანუ აბსოლუტში, “0”-ში. ეს კი ყოვლის შემძლეობას ნიშნავს, და განა ამის შესახებ ისრაელის მღვდელმთავრებზე არსებული ლეგენდები არ მოგახსენებთ?! როდესაც მომლოცველი სკინიიდან გამოდის, იგი “იბადება” “0”-დან, აბსოლუტიდან და ბრუნდება რა სალოცავიდან, უკვე მატერიალურ, საერო ცხოვრე-

ბას უბრუნდება. უკუსვლით ადამიანი გაივლის რიცხვ 12-ს, რითაც იგი ჩვეულებრივი ადამიანი ხდება, რადგან ადამიანურ სრულყოფილებას, 12 ზოდიაქოს უნდა ეზიაროს სრულყოფით (21-ის პირიქითი წყობა =12)...

აი ეხლა მკითხველის გონება თითქმის მზადაა ინფორმაციულად აღიქვას ათეშგას მსოფლიო მნიშვნელობა.

ათეშგას ტაძარს მხოლოდ ერთი კარი აქვს და არც ერთი ფანჯარა. კარები მკაცრად არის ორიენტირებული 25 დეკემბრის აღმოსავლეთზე, ანუ “25 დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო” და ათეშგასკენ მიმავალ ქუჩას “ბეთლემის კიბის ქუჩა” ჰქვია. ტაძარი კუბია და შიგნით ოთხივე კუთხე თაღის ქვეშ ოთხ სპეციალურ ნიშს იტევს. ნიშები სპეციალურია და აღმოსავლეთისკენ ორიენტირებული კარის მარცხენა მხარეს, – საითაც მზე მიემართება 25 დეკემბრიდან 22 ივნისისაკენ, – ცეცხლის ნიში იყო. ადამიანის ფიზიკური გულის მარცხენა პარკუჭიც ცეცხლის პარკუჭია, რასაც ფიზიკური გულის სარქველის დასახელებაში გამოყენებულია სიტყვა “მიტრა”, – ცეცხლის ღმერთ, – მიგვანიშნებს (“მიტრალური სარქველი”). ათეშგას მარჯვენა კარებიდან (თუ კარები ამომავალ მზეზეა ორიენტირებული), ფიზიკური გულის წყლის პარკუჭია და ტაძარში მის მხარეს არა მხოლოდ ნიშია, სანთლის მისდა სადიდებლად დასანთებად, არამედ კლდეში ამიჭრილი ღრმა ჭაა, რომელიც კლდის სიღრმეშია ჩასული და იქ, *კლდეში*, მუდამ

წყალია(!!!). ცეცხლის მოპირდაპირე კუთხეშიც იყო ნიში (ეხლა დანგრეულია) და იგი ცეცხლის მკვებავი სტიქიის, – ჰაერის, სიბრძნის ღმერთის ნიში იყო. წყლის ნიშის მოპირდაპირე კუთხეში შემორჩენილი ნიში – მიწის სტიქიის ნიშია. ათეშგას წყლის სტიქიის ნიშის (რომელიც ასევეა შემორჩენილი) და მიწის სტიქიის ნიშის იდეალური წრისა და ასევე იდეალური სფერული თაღის ელემენტებია შემორჩენილი, რაც იმას მეტყველებს, რომ ტაძარი ნახევარსფერული თაღით იყო დაფარული. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ აქვე, თბილისში ძველი (ეხლა უმოქმედო) სინაგოგაც თაღითაა დაფარული, მაშინ ჩვენ იმასაც გავშიფრავთ თუ რას ნიშნავს იგი. თუკი ათეშგა გულია (საქართველოსი, ადამიანის და მთელი სამყაროსი) მაშინ მას ზეცა უნდა ფარავდეს, როგორც ფიზიკური – აგურის თაღი, ერთის მხრივ, ასე ზეციური თაღიც, ანუ სიმბოლურად რომ ვთქვათ, ტაძარი ზეცით უნდა იყვეს დაფარული. ფიზიკური სახეზეა. ზეცაც, თავისთავად ცხადია, ფარავს მას ისევე, როგორც ჩვენ. ეხლა დავსვათ შეკითხვა: არსებობს თუ არა სულიერი, ანუ სიმბოლური ზეცა?

ნ შ ე

თქვენს წინ ებრაულ ენაზე მეტყველი ასოები ნიშნავენ მოსეს. ასევე ებრაულ მეცნიერებათა, – გემატრა, ტემურა, ნოტარიკონის თანახმად თუ ამ სიტყვაში ორ ასოს გადავაადგილებთ

ნ შ შ

მივიღებთ შემახა-ს რაც ივრიტზე ნიშნავს ზეცის თაღს, ზეცით დაფარულს...

თითქოს თვითონ გამჩენი გვეუბნება გული ზეცით (შე)-მოსეო(!!!). და კიდევ, – ჩვენ ვეთაყვანებით მზეს, – ქრისტეს, ანუ დღეს და ცეცხლს. ამ გაგებით არის კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ტრადიცია ქართულ ქრისტიანულ მართლმადიდებლობაში, რომელიც მხოლოდ საბერძნეთში, ათონის მთაზეა შემორჩენილი იქ არსებულ ქართულ ეკლესიაში.

ქართულ ტაძარს, რომელიც ქართველებმა დიდი ხანია მიატოვეს ათონის მთაზე (ხელმოკლეობისა და ომებისაგან მოუცლელობის გამო), ბერძნები ემსახურებიან. ბერძნებმა შესანიშნავად იციან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დანიშნულება – ქრისტეს, სინათლის, მზისა და შემოქმედი დღის დიდება და დღესაც, ბერძნები ძველი ქართველი ბერების წესზე აღასრულებენ მსახურებას ხსენებულ ქართულ ეკლესიაში.

ყოველ დილით გამოდის ბერი (ადრე ეს ქართველი ბერი იყო) და საათით ხელში და მზის ამოსვლისთანავე საათზე ექვს საათს აყენებს. ამით აფიქსირებდა დღის დაბადებას. ბერძნულ ეკლესიებში კი პირიქით – ბერძნები მზის ჩასვლასთან ერთად აფიქსირებდნენ საღამოს ექვს საათს. ამაში დიდი ეზოთერული საიდუმლო იმალება მზისა და

ვერსკვლევების მნიშვნელობათა მიმართ...

დღის მოსვლის რიტუალი და საიდუმლოება, როგორც რელიგიური ღვთისმსახურების აუცილებლობა, დასტურდება იმით, რომ ძველ ეგვიპტელებს აქვთ “დღის მოსვლის წიგნი,” რომელიც დღემდე შემონახული და შეიცავს საიდუმლო მაგიურ პასაჟებსა და სხვა საკრალურ ცოდნას.

თავი, რაც უწინ ათეშვას

უპირობოთ ამშვენებდა, ზეცის მაგვარი თავი ის აუცილებლობაა, რომელიც ბგერას განსაკუთრებულ დინამიკას ანიჭებს. თაღქვეშ წარმოთქმული ყოველი სიტყვა განსაკუთრებულ ძალას იძენს და სამყაროს უხილავი ძალები უძლიერესად მოქმედებენ დედამიწაზე და მთელს ფიზიკურ სუბსტანციაზე... ღოცვების ძალის მისაღწევად ათეშვას თავი ჰქონდა უპირობოდ.

...ახლა ბოლოყამის დღეებია



და მარტივად რომ ავხსნათ იგი, მაშინ დავინახავთ, რომ პრიმიტიული ერების განათლების ხანა დასრულდა და რელიგიითა და მეცნიერებით, ისევე როგორც ზოგადი განათლებით მომზადებულ ადამიანთა სივრცეში, – ერების საიდუმლო ცოდნით საბოლოოდ ამადლება–განათლების დრო შემოვიდა მთელს დედამიწაზე...

ის რომ ადამიანთან მიმართებაში მეცნიერებამ უამრავი საიდუმლო გახსნა სადღეისოდ, იმდენად აშკარაა, რომ ღრმად რელიგიური, მართლმადიდებლური აზროვნებით შემკული ინტელექტის პოტენციული აშკარად იზრდება მეცნიერების ისეთი გამაოგნებელი აღმოჩენებით, რომელთა მიმართ მხოლოდ ვარაუდი არსებობდა და ვინმე ძნელად თუ წარმოიდგენდა იმას, რომ ოდესმე მოხდებოდა ისეთ ჭეშმარიტებათა გაცხადება, რომლებიც მხოლოდ წმინდა წერებში არსებობდა.

აი ასეთი საკრალური ცოდნის ერთ–ერთი მაგალითიც, რომელიც ჰიპოკრატეს სამედიცინო სკოლის სულიერი საგანძურია: “გულის მარცხენა პარკუჭის წვეროში სისხლი არასოდეს შედის”-ო, ამბობს იმდროინდელი მედიცინა.

ძნელია წარმოიდგინო ასეთი ფაქტი, რომელსაც ძველები მისტიურ დონეზე ჩაწვდნენ და, კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენი იყო მისი მეცნიერული დასტურიც... მაგრამ თანამედროვე მედიცინამ აღმოაჩინა, რომ გულის მარცხენა პარკუჭში შემავალი სისხლი (სისხლის მიმწოდებელ სარქველს,

ცეცხლის მისტიური სახელი აქვს: მიტრალური სარქველი), სწრაფად გამოყოფს ჟანგბადს და ხდება აფეთქების მაგვარი პროცესი, რისი მეშვეობითაც სისხლი დიდი ძალით მიემართება აორტაში. ამ “აფეთქებას” მეცნიერებმა “კავიტაცია” დაარქვეს...

ასე დასტურდება ყოველი, თუნდაც ეს მოხსენიებული, მართლაც წარმოუდგენელი აღმოჩენა და... “ყოველი საიდუმლოებაი გამხელილ იქნება.” თუმცა იმათ ვისაც მდიდარი ინტუიცია გააჩნიათ, არ სჭირდებათ ეპოქები და საუკუნეები ვიდრე რელიგიურ ცოდნას მეცნიერება დაადასტურებს, რადგან ეს უკვე ჭეშმარიტი რწმენისა და ინტუიციის სფეროს მიეკუთვნება. ამის შესახებ შესანიშნავად ამბობს თვითონ პითაგორა: **“თეორემები მტკიცდებიან და აქსიომები კი ისინჯებიან გულით...”** და როგორც ხედავთ, ისევ და ისევ გული... მოდით და ნახეთ ათეშგა, ძველი საქართველოს გული. მოდით ნახეთ მისი ნანგრევები და... სოლოლაკის, მთაწმინდის ამ ადგილიდან საქართველოს ახალი გული, წმინდა სამების ტაძარი მოსჩანს და მაშინ დარწმუნდებით იეზუკილის გამონათქვამში: “... გამოიცვალეთ სული და გული და იცოცხლეთ.” სულიც აქედან ჩანს, – პრეზიდენტის სასახლე. მათი ერთობისა და ურთიერთ შემოქმედების უმთავრეს პროცესს, საქართველოს განახლება–აღორძინების პროცესს კი,–თვით ცხოვრებაში დაინახავთ...

თ. თავაძე

თარგმანები
ბ ე ლ ა დ ი
(ნ.კ.რერიხი)

ასეთია თქმულება
ჩინგიზ ყაენზე,
ბელად თემუჩინზე

შვა ჩინგიზ-ხანი მამისაგან მოძულებულმა ცოლმა, გახდა თვითონაც მოძულებული ხანი ჩინგიზი და გადახვეწა მამამ შორეულ მამულში იგი. მოიხმო ჩინგიზმა ირგვლივ მოძულებულნი სხვანი, ბრიყვულ ცხოვრებას მიჰყო ხანმა ჩინგიზმა ხელი. ხან ნადირობდა იარაღასხმული, ხან ერთობოდა ხასებთან წასული, და ხშირად სადღაც გადახვეწილი უგზო უკვლოდ იკარგებოდა ჩინგიზ.

* * *

აი, თითქოსდა გადათვრა ხანი. ყოფნა-არყოფნის დიდ სანაძლეოს ჩამოდის ჩინგიზ, რომ ვერასოდეს ვერ მიატოვებს ჩინგიზს ვერავინ.



მაშინ გამოთლის წივილა ისარს ხანი ჩინგიზი, უბრძანებს მხლებლებს მიაერთვან ცხენი, ამხედრებული მიჰყავს ყოველი რაზმელი მისი, საკუთარ საქმეს დაადგას თავი – განზრახული აქვს ჩინგიზს.

აი, ყაენი სტეპებში გადის, უახლოვდება ხანი საკუთარ ჯოგებს, მოულოდნელად სტყორცნის წივილა ისარს ხანი. საუკეთესო მერანს მზეს დაუბნელებს ჩინგიზ, საუკეთესო მერანს, რბოლის უძლეველ ფაშატს. მოგესხენებათ ალბათ, თათრისთვის რაა ცხენი. მავანმა ბევრმა მისებრ ცხენის ვერ შეძლო მოკვლა, მათ წააცალეს თავი.

* * *

უახლოვდება ჩინგიზი თავისი მამის ჯოგებს, ესვრის წივილა ისრებს მამის საყვარელ ცხენებს. სხვათა ისარიც, ყველა იგივე მიზანს ეძებს. ასე გამოწვრთნის მეგობრებს ჩინგიზ. ასე გამოცდის სანდო ხალხს ხანი. არ უყვართ ხანი, მაგრამ შიში აქვთ მისგან ყოველთ.

ჰაი, ჰაი, რომ ყოჩაღი იყო ძლიერ!

* * *

კვლავინდებურად მიდის ხანი ჩინგიზი სტეპში. მოულოდნელად ისარს საკუთარ მეუღლეს სტყორცნის. ყველა ვერ სტყორცნის მისებრ სიკვდილის მთესველ ისრებს. ვისაც შეუკრთა გული, მყისვე წააჭრეს თავი. მეგობრებს ელდა ეცათ, ჩაუდგათ გულში შიში, მაგრამ სუყველა შეკრა, სიკვდილის ფასის ფიცით.

ჰაი, ჰაი! რა ყოჩაღი იყო ჩინგიზ...

უცებ მეტს იწყებს ხანი, სადგომში მამასთან მიდის. თავის წივილა ისარს მამამისს ესვრის მტკიცედ. ყველა დაახლის ისარს, არ დარღვეულა ფიცი. თავისი ხალხის ხელით გადამდგარია ხანი, და დიდი ურდოს ტახტზე, ხანად დაჯდება ჩინგიზ.

აი! რა ყოჩაღი იყო იგი.

* * *

მეზობელი ტომები ბრაზდებოდნენ მასზე. მასზე, ახალგაზრდაზე, გაყოყონდა ყველა. წარუგზავნეს ბრაზიანი ელჩი: მოგვეც საუკეთესო ცხენთა ჯოგები, იარაღი მოკაზმული მოგვეც! თავს მდაბლად უკრავს მოძალადეს ხანი. იხმო თათბირზე ჩინგიზმა თავისი ხალხი. აყვირდა და ახმაურდა კრება: მოითხოვენ: “განვუცხადოთ მეზობელ თემს ომი!”

ჩინგიზ ხანი უკან გზავნის ყველა თავის მრჩეველს, თანაც დასძენს: “ცხენებისთვის არ ვარგია ომი.” რაც ითხოვენ – გაუგზავნა, ყველაფერი გასცა.

ასეთი ეშმაკი იყო ჩინგიზ ხანი.

* * *

თავს გაუვიდა ყველა მეზობელ თემთა ხანებს, ითხოვენ: “გამოაგზავნოს ჩვენთან ყოველმა ხანმა ცოლი!” ახმაურდა ყველა ჩინგიზ ხანის მრჩეველი, რადგან ვერ თმობენ ცოლებს, იმუქრებიან ომით და კვლავ გაუშვა ჩინგიზ ხანმა ყველა მრჩეველი და გაუგზავნა მოშურნეთ ყველა

თავისი ცოლი, – ვერაგი იყო ჩინგიზ.

ძლიერმა სიამაყემ შეიპყრო მეზობელი თემის ხანები. ლაჩრებს ეძახდნენ ჩინგიზ ხანის ხალხს. ძლიერ გულსაკლავად ქირდავდნენ დიდი ურდოს წევრებს. გათამამებულებმა გუშაგნი მოხსნეს თავიანთ საზღვრებს და ეტროფოდნენ მეტად ახლად შეპყრობილ ცოლებს. აჯირითებდნენ ხანები გამოტაცებულ ცხენებს, და დიდი ურდოს გულში ბოღმა იკრებდა ძალას. უეცრად ღამით, წარმოიმართა ჩინგიზ ხანი. უბრძანა ურდოს მას გაჰყოლოდნენ კვალში. ქორივით თავს დაატყდება მეზობელ ტომის ხანებს, შეიპყრო მათი ურდო, წაართვა იარაღი, ცხენები, განძი და დაიბრუნა ყველა თავისი ცოლი, ბევრი მათგანი ხელუხლებელი. ჩინგიზის გამარჯვებას ადიდებდნენ მრჩეველები და უფროს ვაჟიშვილს აქტაის, გაანდობს



ჩინგიზ ხანი: “მოახერხე მტრის ბანაკში ხალხი გახდეს ამაყი, მყისვე ბრძივად გახდის ყველას სიამაყის სენი, და მაშინდა იოლია აიყვანო ყველა.”

მთელი დიდი ურდო ადიდებდა ყაენს; ოხ! რა ყოჩაღი იყო ჩინგიზ ხანი.

* * *

დაუდო ურდოს ჩინგიზ ხანმა მარადიული წესი: “სხვისი ცოლის მოსურნეს მოეკვეთოს თავი; აუგის მთქმელს მოეკვეთოს თავი; ქონების გამოძალველს მოეკვეთოს თავი; მტერთან გადასულს მოეკვეთოს თავი. ყველას დაუწესა ჩინგიზმა სასჯელი. ყველგან გაბრწყინდა მალე ხანის სახელი. ყველა მთავარს ეშინოდა ხანის: როგორც არასდროს, დოვლათით ივსებოდა დიდი ურდო.

მრავალი ცოლი გაიჩინა ურდოში ყველამ, ფარჩის სამოსელით შეიმოსა ბევრი. ტკბილად ჭამდნენ და სვამდნენ, ყოველთვის ყოჩაღი იყო ჩინგიზ ხანი.

* * *

შორს ჭვრეტდა ჩინგიზ ხანი. მეგობრებს უბრძანა: შემოეგლიჯათ ფარჩა. მდიდრული კვებით დაავადება გაეთამაშებინათ. დაე ხალხი ძველებურად სვამდეს რძეს. დაე ატარებდეს ტყავის სამოსელს. რათა არ განაზებულიყო დიდი ურდო. ყოჩაღი გვყავდა ჩვენ ჩინგიზ ხანი!

* * *

ყოველთვის მზად იყო ბრძოლისათვის ურდო, მოულოდნელად გაჰყავდა ურდო სტეპებში ჩინგიზს. დაიპყრო ტაურმენის ყველა სტეპი. მონგოკულის ყველა უდაბნო აიღო. მთელი ჩინეთი, ტიბეტი დაიპყრო. კასპიის ზღვიდან წითელ ზღვამდე დაისაკუთრა მიწა. აი, ვინ იყო ჩინგიზ ხანი თემუჩინი!

დაატყვევა იასები, ობეზები და პოლოველები, თორგბელები, კოსოგორები, ხაზარები, ალანები, იატვაგები დაამარცხა და განდევნა. ოცდაათ ერს, ოცდაათ მთავარს ხარკი გადაახდევინა და ბეგარა დაადო. ააოხრა მიწა რუსული, ემუქრებოდა კეისარს.

თემუჩინი – ჩინგიზ ხანი ასეთი ყოჩაღი იყო.

თარგმნა თ.თავაძემ





ატლანტიდის მითი

“Bonis nicet, gui valis parcit”

*“ვინც ბოროტებას იწყალებს,
სიკეთეს ვნებს.”*

ურუსვატიმ მრავალს განუმარტა, თუ რატომ გვეძახიან ჩვენ მსოფლიო მთავრობას. მართლაც, ყოველი ადამიანი სხვადასხვა ხარისხით გრძნობს, რომ სადღაც უნდა არსებობდეს ცოდნის კერა. სადაც ცოდნაა – იქვეა ძალაც. მიზეზი აქვს ზოგიერთის ოცნებას ჩვენზე, მაგრამ სხვებს ვძულვართ და მზად არიან გაანადგურონ ჩვენი სავანე.

მსოფლიო მოვლენების დროს ყურადღებიან მეთვალყურეებს შეუძლიათ შეამჩნიონ რაღაც, რაც ადამიანური ლოგიკის ზე მდებარეობს. მრავალჯერ ყოფილა, რომ ერთგულთაგანაც მიგვიღია საყვედური ვითომ დაყოვნებისა და ინდიფერენტულობის გამო, მაგრამ ასეთი აჩქარებული ბრალმდებელი თვითონ მოვლენათა მხოლოდ ერთ მხარეს

ხედავს. არ შეეძლოთ მათ მიზეზ-შედეგობრიობის ცოდნა, არ შესწევთ უნარი შემაგალ გარემოებათა შეფასებისა, მათ არ შეეძლოთ განეჭვრიტათ, თუ ზუსტად როდის უნდა გამოვლენილიყო გადამწყვეტი დარტყმა. ვის შეუძლია იცოდეს გეგმა და მისკენ მიმავალი ეტაპები?

თავისი ნაწილობრივი წვდომით ადამიანები დაბეჯითებით მოითხოვენ თავის ღონისძიებებს, მაგრამ ჩვენი მოწაფეები ნაძალადევად არასოდეს შეუშლიან ხელს მასწავლებლის გადაწყვეტილებას. მათ იციან, თუ როგორ უნდა მოიყვანონ ჰარმონიაში თავიანთი თავისუფალი ნება. ჩვენ მტკიცედ ვზრუნავთ საკითხის ამდაგვარ მიღებაზე. მოვლენილ საუკეთესო ბელადთა თვისება იყო ამგვარი შინაგანი გადაწყვეტილება და ამით ადვილდებოდა მათდამი ჩვენი გადაწყვეტილების მიწოდება.

“გამწვანებული დაფნა” იყო ის, ვისაც შეეძლო შეეხამებინა წინამძღვრობა საძმოს რჩევებისადმი კეთილგანწყობასთან ერთად, მან სრული ნდობით მიიღო სენ ჟერმენის დარიგება და ამაში იღო მისი ყისმათიც.

სენ-ჟერმენი იქნებ ზუსტად იმისთვის ჩამოვიდა, რომ მომავალი ბელადი მოემზადებინა?!

მთელს მსოფლიოშია მიმოხილული მართვის ნიშანსვეტები. ზოგმა ამაღლებულმა პიროვნებამ მიიღო იგი, მაგრამ მონარქების საბრალე აჩრდილებმა უარჰყვეს ჩვენი რჩევები და ამიტომ მათ ქვეყნებს უბედურება დაატყდათ თავს, მაგრამ ასეთი მდგომარეობის სიკეთისაკენ შემოქცევასაც ვახერხებთ...

შეიძლება გახსენება იმისა, თუ როგორ მიიღო ერთმა მონარქმა, დიდი ომის წინ ჩვენი გაფრთხილება, მაგრამ მან ტახტის დაკარგვა ამჯობინა ჩვენი მითითების მიღებას. ასევე სხვა სახელმწიფოს მეთაურმაც არ მოუსმინა ჩვენს ელჩს და ქვეყანა არეულობაში გადაიხეხა.

არ შეიძლება რომ ითქვას, თითქოსდა ძველად უფრო ხშირად ვიძლეოდით დარიგებებს, ახლაც მრავლად ვიძლევეით, მაგრამ კვლავინდებურად დახშულია ადამიანთა სმენა.

ჩვენ სამყაროს სადარაჯოზე ვდგევართ.

შამბალა.

* * *

მზის სარკე ატლანტიდაა. მასზე უკეთესი არ არსებობდა ქვეყანა. მის სიმდიდრეს შენატროდა ბაბილონი და ეგვიპტე. მზესავით ანათებდნენ დარბაზები და ტაძრები ატლანტიდის ქალაქებში, რომლებიც გამაგრებულნი იყვნენ მწვანე ნეფრიტითა და შავი ბაზალტით.

მეუფენი, ქურუმნი და რაინდნი

ოქროთი მოქარგული ტანის სამოსელით იყვნენ დამშვენებულნი, ასევე უხვად მოკაზმულნი ძვირფასი ქვებით, ბეჭდებით და ყელსაბამებით, საყურეებით დამშვენებული იყვნენ მანდილოსნებიც, მაგრამ ძვირფას ქვებზე უკეთესი იყო მათი ნათელი და ღია სახეები.

უცხო ქვეყნიდან მოდიოდნენ ატლანტებთან. მათ სიბრძნეს განადიდებდა სიამოვნებით ყველა, ქვეყნის მეუფის წინაშე იდრეკდნენ მუხლს.

მაგრამ განაცხადა მისანმა წინასწარმეტყველება, წმინდა ხომალდმა ატლანტებს მოუტანა დიდად გრძნეული სიტყვა:

– მთებივით აღიმართებიან ზვითები, ატლანტების ქვეყანას ზღვა დაფარავს, ზღვა იძიებს შურს დაგმობილი სიყვარულის გამო.

იმ დღიდან აღარ იკიცხებოდა სიყვარული ატლანტიდაში. დიდი სიყვარულით და სისათუთით ხვდებოდნენ სტუმართ. სიხარულით უდიდოდნენ ატლანტები ერთმანეთს. და მეუფის ღიმილი, როგორც სარკეში, ირეკლებოდა სასახლის ძვირფას, პრიალა კედლებიდან დარბაზებში. ხელი თვითონ მიიწევდა გულითადი მისალმებისათვის და ხალხში ცრემლი წყნარმა ღიმილმა შეანაცვლა. და დაივიწყა ხალხმა მთავრობის სიძულვილი და მთავრობამაც დაივიწყა ნაჭედი ხმალიც და ჯავშნის პერანგიც. მაგრამ მეუფის ვაჟი განსაკუთრებით აკვირდებოდა ყველას. თავად კი მზის, ზღვის ყველა ღმერთის წარმოგზავნილს ჰგავდა, რათა გადაერჩინა დიდი ქვეყანა.

აი, ვინ იყო კეთილი! გულის-

ხმირიც! ყველას მოამაგე! დიდიცა და პატარაც, ყველა ძმა იყო მისთვის. ყველასათვის მზად ქონდა მას კეთილი სიტყვა. მხოლოდ კეთილი ახსოვდა მას ყველა ადამიანში. მათი არცერთი შეცდომა მას არ ახსოვდა დანამდვილებით, უხეშობასა და ბოღმას იგი ნამდვილად არ უყურებდა. მის თვალთახედვას ემალებოდა ყოველი სიბოროტე და გუშინდელ ჯალათს სურდა სამუდამოდ კეთილი გამხდარიყო.

მას მიჰყვებოდა ხალხი ხროვებად. მისი მზერა, მხოლოდ მისივე კეთილი და ბრძნული სიტყვის, მისივე ღიმილის მხიარულად მომლოდინე სახეებს ხედავდა. აი რა კარგი ემაწვილი იყო იგი!

და როს აღესრულა მეუფე მამა, ემაწვილი, ჩუმი სევდის ნაბადში გახვეული, გავიდა ხალხთან და ყველამ, თითქოს შეიშალნენო, დაივიწყეს სიკვდილი და სანატრელ მეუფეს მრავალჟამიერი შესძახეს.

უფრო ძლიერ აყვავდა ატლანტიდა. ეგვიპტელებმა კი მას სახელად სიყვარულის ქვეყანა დაარქვეს.

მრავალი მშვიდი წელიწადი იმეფა წმინდა მეუფემ. მისი, ბედნიერების მომგვრელი სხივები უხვად ეფინებოდა მის ხალხს. არა ტაძრისაკენ, – მეუფისკენ მიისწრაფოდა ხალხი. მღეროდა: “ჩვენ მას ვუყვარვართ, უიმისოდ ჩვენ არა-რაობა ვართ. ის ჩვენი სხივია, ჩვენი მზეა, სითბოა ჩვენი, თვალეები და ღიმილია ჩვენი. დიდება შენდა ჩვენო უსაყვარლესო!”

ხალხის აღტაცებული თრთოლვით მიაღწია მეუფემ თავისი აღსასრულის დღეს და... დაიწყო

დღე უკანასკნელი. უძლური იწვა მეუფე თვალეებმინავლული. როგორც ერთი, ისე აღსდგა მთელი ატლანტიდა და ადავსეს ტაძრის დარბაზები, დატბორეს კიბეები, ზღვასავით ადავსეს დერეფნები, მიჰგვარეს ექიმები და გადიები. სიკვდილის სარეცელს მიაწყდნენ ტირილით: “შემოგვხედე მეუფეო! გვარგუნე თუნდაც ერთი მზერა, მოვედით, რათა შეგინარჩუნოთ, დაე ჩვენმა სურვილმა ატლანტებისა, გაგამხნოს შენ. შეხედე, – მთელი ატლანტიდა მოაწყდა შენს სასახლეს. ურყევი კედელივით ვდგავართ ტაძრიდან ზღვამდე და ტაძრიდან კლდეებამდე. ჩვენო ნატვრავ, მოვედით, რათა არ გაგიშვათ. ჩვენ არ გავატანთ შენს თავს არავის, რათა არ დავობლდეთ ჩვენ ყველა, მთელი ქვეყანა, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა. მეუფე შემოგვხედე!”

იხმო ქურუმი მეუფემ ხელით, რადგან ეწადა ბოლო სურვილი გაენდო მისთვის და ითხოვა ცოტა ხნით მაინც გასულიყვნენ სხვანი, რამეთუ განმარტოება მოიწადინა. მაგრამ დარჩნენ ატლანტები, შეიკრიბნენ, საწოლის კიბეებს მიეჯახვნენ. დაყრუვდა, გაშეშდა ყველა და არც არავინ არ განძეულა.

მაშინ წამოიწია საწოლზე მეუფე, მიაპყრო მზერა ხალხს და სთხოვა მათ მარტო დარჩენა, რათა უკანასკნელი სურვილის ნება მიეცათ მისთვის და ქურუმისათვის გაენდო თავისი საბოლოო სურვილი. თხოვდა მეუფე. კიდევ ერთხელ ამოდ ითხოვა მეუფემ და კიდევ მაინც ყრუმუნჯებად ქცეულნი არ იძვრებოდა ხალხი. არ წავიდნენ, არ მიატოვეს დარბაზი

მეუფისა და აი მაშინ, მოხდა მოსახდენი. წამოდგა მეუფე და ხელით მოინდომა მოეცილებინა ყველა, მაგრამ სდუმდა ბრბო და საყვარელი მეუფის საყვარელ მზერას იჭერდა.

მაშინ მეუფემ სთქვა:

– თქვენ არ წახვედით? თქვენ არ გინდათ წასვლა? თქვენ კიდევ აქა ხართ? აი, ახლა კი გავიგე.

...კარგი, მაშინ გეტყვით, ერთ სიტყვას ვიტყვი ჩემსას. მე თქვენ მძულხართ. უარვეყოფ თქვენს სიყვარულს, თქვენ მე ყველაფერი წამართვით. თქვენ ბავშვობის სიცილი წაიღეთ. თქვენ აღტაცებული იყავით, როდესაც მე მარტოდმარტო დავრჩი თქვენი გულისათვის, მომწიფებული ასაკის ბრძნული სიჩუმი მე თქვენ დაარღვიეთ ყვირილითა და ხმაურით და უარჰყავით თვით სიკვდილის სარეცელიც...

თქვენი ტკივილი და ბედნიერება, მხოლოდ მე ვიცოდი, მხოლოდ თქვენი საუბარი მოჰქონდა ჩემთან ნიავს. ჩემი მზე მე თქვენ წამართვით! მზე არ მინახავს, მხოლოდ თქვენს ჩრდილებს ვხედავდი. ცისფერი ზეცა! თქვენ არ გამიშვით ცისფერ ზეცაში...

გამწვანებას... სურნელოვან ბალახზე ვეღარ გავივლი... მთის ქიმზე ვეღარასოდეს შევინავარდებ... აქოხრილ მდინარეებს და აყვავებულ ველებს ვეღარ ვიხილაე... ტალღებზე ვერ ვინავარდებ... ვეღარ შევასწრებ თვალს ელვასავით სწრაფ მიმინოს... ვერც ვარსკვლავებით მოჭედელ ცას ვიხილაე... თქვენ გაიმარჯვეთ... ვეღარ ვისმენდი ღამეში ჩურჩულს... ღვთის ნება ჩემთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა... არადა ხომ შემეძლო ღვთის ნების გაგება და მისი სამსახური... შემეძლო სინათლის, მზის და მისი ნების შეგრძნება... თქვენ გაიმარჯვეთ... თქვენ ფარდასავით გადაეფარეთ ჩემთვის ყოველგვარ ძვირფასს... მე თქვენ მძულხართ... მე ვუარვეყოფ თქვენ სიყვარულს...

დაეცა მეუფე სარეცელზე. კლდეებზე მაღლა აღიმართა ზღვის ზვირთები და გადაფარა ქვეყანა ატლანტიდა.

ნ. კ. რერიხი.



მე ვეღარასოდეს დავუბრუნდები ტყის წმინდა და ხალას

აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისაო

ეს ფრიად საინტერესო ნოველა, თარგმნილია და გამოქვეყნებულია 2003 წელს ჟურნალ ხატაურში. მაშინ ეს ფრიად აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა საქართველოსათვის. ახლა, ვარდების რევოლუციის ფონზე, როდესაც ქვეყანამ არნახული აღორძინება განიცადა, ნოველა კიდევ უფრო ამბაფრებს როგორც გადატანილ პრობლემებს, ასევე მიღწეულ წარმატებებს. ამიტომ ნოველა დროულად იბეჭდება განსაკუთრებული მიზეზების გამო.

* * *

ამ საოცრად საინტერესო მასალას, ჩვენი ეროვნული სულის სურნელი ასდის. მას ვაჟას გულიდან გამონაჟური ცოდნისა და თბილი სიბრძნის, მისეული სევდის ელფერი დაჰკრავს. ეს ვაჟას სიბრძნეა, რადგან ამას თქვენ თვითონ იგრძნობთ. მინდა დამატებით, ჩემეული ხედვით დაგანახოთ ის, თუ რამდენადაა წითელკანიანებზე დაწერილი ეს ნოველა დამახასიათებელი თვით ჩვენი ხალხის ბუნებისათვის, ისევე როგორც მისი ერის გონების გენიის მატარებლისათვის, – ვაჟასათვის!

...თბილისში სტუმრად ჩამოსული სერგეი ესენინი პოეტებთან ერთად ტაბახმელაში ქეიფობდა. მწვანე მოღზე წამოწოლილმა ესენინმა გზაზე მიმავალი მეურმეები დაინახა და უთხრა ქართველ პოეტებს: დავუ-

ძახოთ, თითო ჭიქა შევთავაზოთ... გლეხებმა სასმისები ხელში აიღეს, დაილოცნენ, დაილოცნენ და მერე როგორ! აი ერთ-ერთი სადღეგრძელოთაგანი:

“გაუმარჯოს ხარის ქედს, გუთნის ღვედს, ცის ნამს, დედამიწის პირის გახსნას და მშობიარე დედაკაცს!”

როცა სადღეგრძელოები გადაუთარგმნეს, ესენინი ატირდა და სთქვა: მე დიდი რუსი პოეტი ვარ, მაგრამ ამ გლეხებთან თავი ახალშობილი მგონიაო...

...რა საშინელი ხალხია ზოგიერთი ეს პოლიტიკოსები: უღმერთონი, გულცივნი, ყოველგვარ



ადამიანობას მოკლებულნი, ოღონდ საწადელს მიაღწიონ და საკუთარ დედას გასწირავენ, ყოველი საუკუნის ეს ტალეირანები! ესენინივით ფაქიზი გული, ნათელი გონება, გულწრფელობა და ...ყოველი ადამიანი ატირდება წითელკანიანების იმ ტრაგედიაზე, რომელიც მოგვყავს მათი ბელადის, წერილი-გოდების სახით... არა და როგორ ჰგავს ამ წერილში აღ-

წერილი ტრაგედია ჩვენს ქართულ ტრაგედიას, ჩვენს დღევანდელობას აბხაზეთზე და სამახაბლოზე. საუბარი და თეთრი “ბელადი”, – პუტინი და მედვედევი, არიან, რომლებიც გათავსდებულ რიტორიკას ეწევიან იმპერიულ სამართალზე... (საუბარია 2003 წლამდელ საქართველოზე...)

* * *

ვაშინგტონის დიდი ბელადი გვაუწყებს, რომ სურს იყიდოს ჩვენი მიწა. დიდი ბელადი გვაუწყებს ასევე თავის კეთილ ნებას და მეგობრულ გრძნობას.

იგი იშვიათად კეთილია, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მეგობრობა მეტად მცირე საზღაურია მისი კეთილი განწყობილების სანაცვლოდ. მაგრამ ჩვენ გავიზრებთ თქვენს წინადადებას, რადგან გვესმის, რომ თუ არ



მოგყიდით მიწას, ფერმკრთალი ძმა მოვა თოფებით და წაგვართმევს მას ძალით.

მაგრამ როგორ იყიდით ზეცას ან დედამიწის სიბოძს? ჩვენ ეს არ გვესმის. თუ ჩვენ ვერ გან-

ვაგებთ ჰაერის სისუფთავეს და წყლის სინარნარეს როგორ იყიდით მას ჩვენგან?

ჩემი ხალხისათვის ამ მიწის ყოველი გოჯი წმინდაა. ფიჭვის ყოველი ბრჭყვიალა გირჩი, მდინარის ყოველი ნაპირი, დაბურულ ტყეში ნისლის ყოველი ნაფლეთი, ყოველი მინდორი და ბზუილა მწერი – წმინდაა ჩემი ხალხის მეხსიერებისა და გრძნობებისათვის. წვენი, რომელიც ხის ღეროებში მიხუხუხებს, ჩემი ხალხის მეხსიერებას ატარებს.

შეუდგნენ რა გზას ვარსკვლავთსივრცეში, გარდაცვალებულ ფერმკრთალებს ავიწყდებათ ქვეყანა, სადაც დაიბადნენ. ჩვენს გარდაცვალებულებს არასოდეს ავიწყდებათ ეს მშვენიერი მიწა, რადგან იგი წითელკანიანთა დედაა. ჩვენ ამ მიწის ნაწილი ვართ და იგი თვითონ ჩვენი ნაწილია. სურნელოვანი ყვავილები – დებია ჩვენი. ირემი, ცხენი, ვეება არწივი – ძმები. მთის მწვერვალები, ნოყიერი მინდვრები, მუსტანგის თბილი სხეული და ადამიანი – ერთი ოჯახის წევრები არიან.

როდესაც დიდი ბელადი ვაშინგტონიდან გვითვლის, რომ უნდა იყიდოს ჩვენგან მიწა, იგი ნამეტანს მოითხოვს. დიდი ბელადი ამბობს, რომ დაგვიტოვებს მიწას, რათა ვიცხოვროთ უდარდელად. ამით ამბობს – იგი არის მამა, ჩვენ კი – შვილები მისი. მაგრამ ეს ყველაფერი ასე მარტივი როდია? რადგან ჩვენთვის ეს მიწა წმინდაა.

ეს ბროლივით წმინდა წყალი, ჩვენს ღელეებსა და მდინარეებში, უბრალო წყალი როდია? იგი

სისხლია ჩვენი წინაპრებისა. თუ ჩვენ მიწას მოგყიდით, თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ იგი წმინდაა, თქვენ უნდა ასწავლოთ თქვენს ბავშვებს ამ სიწმინდის შესახებ და მზის ყოველი გაელვარება ჩვენი ტბების წმინდა წყლის ზედაპირზე – მატთანა ჩვენი ხალხის საქმის, მათი ცხოვრებისა და მთელი მათი ისტორიისა. ჩუხჩუხი ნაკადულისა – ხმაა მამისა, ჩემი მამისა. მდინარეები – ძმებია ჩვენი, ისინი წყურვილს გვიკლავენ. მდინარეები ატარებენ ჩვენს კანოეს და ჩვენი შვილების გამოკვების საშუალებას იძლევიან. თუ ჩვენ მიწას მოგყიდით, თქვენ უნდა გახსოვდეთ, ასწავლოთ თქვენს შვილებს, რომ მდინარეები ჩვენი და თქვენი ძმებია და მომავალში მოექცეთ მდინარეებს ისეთივე სიკეთით, რა სიკეთითაც ექცევით თქვენს ძმას.

წითელკანიანი ყოველთვის გადადიოდა გზიდან, რომელზედაც ფერმკრთალი ძმა მოიწვედა წინ, ისე როგორც მზის სხივისაგან მთის ნისლი იხევს უკან. მაგრამ წმინდაა ფერფლი ჩვენი წინაპრებისა. მათი საფლავები წმინდა ადგილებია ჩვენთვის, ამიტომ ეს გორაკები, ტყეები, მიწის ნაკვეთები ჩვენთვის სიწმინდის ადგილებია. ჩვენ ვიცით, რომ ფერმკრთალ ძმებს არ ესმით ჩვენი. მისთვის მიწის ერთი ნაკვეთი არაფრით არ განსხვავდება მეორისაგან, რადგან იგი მისთვის უცხოა, რომელიც მოდის ღამით და მიაქვს მისგან ყველაფერი რაც უნდა. მიწა მისთვის ძმა კი არა-მტერია და მიიწევს წინ მის დასაპყრობად. შორს, უკან იტოვებს წინაპართა საფლავებს, მაგრამ ეს არ ადარდებს მას. იგი

საკუთარ შვილებს ართმევს მიწას და არც ამას ნაღვლობს. იგი მამა-პაპათა საფლავებსაც და საკუთარი შვილების უფლებებსაც ივიწყებს, ვითარცა უსულო საგნებს, ისე ექცევა იგი თავის დედამიწას და ძმა ზეცას, თითქოს შეიძლება მათი გაძარცვა, ყიდვა და ისევ გაყიდვა, თითქოს ბატკანი ან ბრჭყვიალა მძივები იყოს. მისი სიხარბე ნთქავს დედამიწას და უდაბნოს ტოვებს თავის ზურგს უკან.

მე არ მესმის... ჩვენი აზრები განსხვავდება თქვენი აზრებისაგან. თქვენი ქალაქების ხილვა ტანჯვაა წითელკანიანის თვალებისათვის. ეს შეიძლება იმიტომ ხდება, რომ წითელკანიანები ველურები არიან და მათ ბევრი რამ არ ესმით. ფერმკრთალთა ქალაქებში არაა სიჩუმე. იქ არაა ისეთი ადგილები სადაც შეიძლება მოისმინო, თუ როგორ იშლება კვირტები, როგორ შრიალებს მწერების ფრთები. შესაძლებელია, რომ მე უბრალოდ ველური ვარ და ბევრი რამ არ გამეგება. მე მგონია რომ ხმაური შეურაცხყოფს ყურთასმენას. განა ეს სიცოცხლეა, როცა ადამიანს არ შეუძლია გაიგონოს ცთომილი მოციმციმე ცეცხლის ეული ძახილი, ანდა ღამით ორი გომბეშოს გაცხარებული კამათი გუბესთან? მე წითელკანიანი ვარ, მე ბევრი რამ არ მესმის. ინდიელებს ტბის ზედაპირზე მონავარდე ნიავის ჰანგების მოსმენა ურჩევნიათ, იმ ნიავის სურნელების ყნოსვა, რომელიც შუადღის წვიმამ განბანა და გაჟღინთა ფიჭვის სურნელით.

წითელკანიანთათვის ჰაერი განძია, რადგან მისით სუნთქავს ყოველი სულდგმული; მხეციც, ხეც



და ადამიანიც ერთი სუნთქვით სუნთქავენ. ფერმკრთალი ვერ ამჩნევს ჰაერს, რომლითაც სუნთქავს. ის ვერ ამჩნევს გამაოგნებელ სიმყრალეს, ისევე, როგორც ადამიანი, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა, რაც კვდება. მაგრამ თუ ჩვენ მოგვიდით მიწას, თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ჰაერი თავის სულის ყველას უწილადებს. იმ ნიაგმა, რომელმაც ჩვენს წინაპრებს სული ჩაჰბერა, მანვე მიიღო მათი უკანასკნელი ამოსუნთქვა. ასევე იმ ნიაგს ევალება სულით ადავსოს ჩვენი შვილები. თუ ჩვენ მოგვიდით მიწას, თქვენ გვერდით უნდა დადგეთ მისგან და მოექცეთ მას, როგორც სიწმინდეს, რომელთანაც მისვლა ფერმკრთალთათვისაც იქნება საშუალება იგრძნოს ჩვენი ნიაგის გემო, მინდვრის ყვავილე-

ბისაგან დამტკბარი გემო.

ჩვენ ვიმსჯელებთ მიწის ყიდვის თქვენი წინადადების შესახებ. თუ ჩვენ გადავწყვეტთ მივიღოთ იგი, მე დავსვამ ერთ პირობას: ფერმკრთალი უნდა მოექცეს ამ მიწის ცხოველებს, როგორც საკუთარ ძმებს. მე ველური ვარ, მე არ შემიძლია სხვანაირად აზროვნება. მე ათასობით დახოცილი ბიზონი მინახავს პრერიებში. ისინი დახოცა და მიატოვა ფერმკრთალმა, რომელმაც მიმავალი მატარებლიდან დახოცა ისინი. მე ველური ვარ და არ მესმის როგორ შეიძლება მხრხოლავი, ლიანდაგებზე მოსიარულე რკინის ცხენი ბიზონზე მნიშვნელოვანი იყვეს, რომელსაც ჩვენ მხოლოდ მაშინ ვკლავთ, როდესაც დაღუპვის ზღვარზე ვართ მისული. რა მოუვა

ადამიანს, თუ გაწყდებიან ცხოველები? თუ ყველა ცხოველი გაწყდა, ადამიანები დაიხოცებიან სულის სრული სიმარტოვის გამო. რაც არ უნდა დაემართოს ცხოველებს, იგივე ემართებათ ადამიანებს. ყველაფერი ურთიერთდამოკიდებულია.

თქვენ უნდა ასწავლოთ თქვენს შვილებს, რომ მიწა მათ ფეხქვეშ, ჩვენი წინაპრების ფერფლია. მაშინ ისინი ეთაყვანებიან ჩვენს მიწას და მოუყვებიან თავიანთ შვილებს მასზე, რომ მიწაში დამალულია ჩვენი ტომების მთელი ცხოვრება. ასწავლეთ თქვენს შვილებს იგივე, რასაც ვასწავლით ჩვენ ჩვენს ბავშვებს, რომ მიწა დედაა ჩვენი. რაც ემართება მიწას, ის ემართება მის შვილებს. როცა ადამიანი მიწას აფურთხებს, იგი თავის თავს აფურთხებს.

აი, რა ვიცით ჩვენ: მიწა კი არ გვეკუთვნის ჩვენ, არამედ ჩვენ ვეკუთვნით მიწას. აი, რა ვიცით ჩვენ: სამყაროში ყველაფერი ურთიერთდამოკიდებულია, როგორც სისხლი, რომელიც აერთიანებს მთელ მოდგმას. რასაც დავმართებთ დედამიწას, იგივე დაატყდება თავს მის შვილებს. ადამიანი როდი გააბამს სიცოცხლის ქსელს, იგი მხოლოდ ერთი ძაფია მასში. რასაც ქსელს დამართებს სიცოცხლისას, მასვე დამართებს საკუთარ თავს.

და მაინც, ჩვენ გავიზიარებთ თქვენს წინადადებას წავიდეთ რეზერვაციაში, რომელიც თქვენ ჩემი ხალხისათვის მოამზადეთ. ჩვენ თქვენგან მოშორებით ვიცხოვრებთ, ჩვენ წყნარად ვიცხოვრებთ, არც ისე მნიშვნელოვანია, თუ სად გავატარებთ ჩვენ ჩვენს დარჩენილ

დღეებს. ჩვენმა შვილებმა უკვე იხილეს თავისი მამები დამარცხებით შერცხვენილ-შეურაცხყოფილნი. ჩვენმა მეომრებმა უკვე განიცადეს სირცხვილი. დამარცხების შემდეგ მათი ცხოვრება უსაქმურობად გარდაიქცა და ისინი ღუპავენ თავიანთ სხეულებს გემრიელი საჭმელებითა და მაგარი სასმელებით. არც ისე მნიშვნელოვანია სად გაივლიან დღენი უკანასკნელნი ჩვენი. არც ისე ბევრიდა დაგვრჩენია დრო. სულ რამოდენიმე საათი, რამოდენიმე ზამთარი და არ დარჩება დიადი ტომებისაგან არც ერთი შვილი, რომლებსაც ასე უყვარდათ ეს მიწა და ეს ჰატარ-ჰატარა ჯგუფებად დაეხეტებიან ქვეყნად. ველარავინ დაიტირებს იმ ხალხს, რომელიც ოდესღაც ისევე ძლიერი იყო, ისე აღსავსე იმედებით, როგორც დღეს თქვენი ხალხია ძლიერი. რატომ უნდა დავიტირო მე ჩემი ხალხის სიკვდილი? ტომი – ეს მხოლოდ ადამიანებია და მეტი არაფერი. ადამიანები კი მოდიან და მიდიან, როგორც ზღვის ტალღები.

თვით ფერმკრთალიც კი, რომელსაც ღმერთი გვერდით მიჰყვება და ესაუბრება მას, როგორც მეგობარს ვერ გაექცევა საერთო ბედისწერას. ბოლოს და ბოლოს ჩვენ შეიძლება ძმები გავხდეთ, ვნახოთ. მაგრამ ჩვენ ვიცით ისეთი რამ, რასაც ფერმკრთალი ოდესღაც მაინც გაიგებს: **ჩვენ, თქვენთან ერთად ერთი ღმერთი გვყავს.** ეს ჰქვინათ, რომ თქვენ ფლობთ თქვენს ღმერთს, ისევე, როგორც გინდათ, რომ დაეუფლოთ ჩვენს მიწას, მაგრამ ეს ასე არ არის. იგი ყველას ერთნაირად უთა-

ნაგრძნობს, წითელკანიანებსაც და ფერმკრთალებსაც. მისთვის ეს მიწა განძია და მიაყენო ზიანი მიწას, ნიშნავს ხელი ასწიო მის შემოქმედზე. ფერმკრთალებსაც წავლენ, თუმცა უფრო მოგვიანებით ვიდრე სხვები. გააგრძელეთ, გააგრძელეთ საკუთარი საწოლის ჩასვრა და ერთხელაც ერთ ღამეს თქვენ დაიხრჩობით საკუთარ სიბინძურეში. მაგრამ დაღუპვისას თქვენ გიზგიზა ცეცხლი გშთანთქავთ, ცეცხლი ღვთის ძლევაძლისა, რომელმაც მოგიყვანათ ამ მიწაზე და რაღაც განსაკუთრებული მიზეზის გამო მოგანიჭათ ამ მიწაზე და წითელკანიანებზე ბატონობის ნება.

ჩვენთვის ასეთი ბედი გამოცანაა, რადგან ჩვენ არ გვესმის რადუნდა დახოცონ ბიზონები, რა საჭიროა ველური ცხენების მოშინაურება, რისთვის დავარდვიოთ იდუმალებით აღსავსე ტყის აზროვნება ადამიანთა ხროვების მძიმე სუნით, რისთვის იჭიმება მთის ფერდობზე მოლაპარაკე მავთულები?

სადაა ბუჩქნარი? ბუჩქნარი აღარაა. სად არის არწივი? ის აღარაა. რატომ უნდა დავემშვიდობოთ სწრაფ პონის და ნადირობას? ეს სიცოცხლის დასასრულია და თავის გატანის დასაწყისი.

ჩვენ მოვიაზრებთ თქვენს წინადადებას, იყიდოთ ჩვენი მიწა. თუ ჩვენ დავთანხმდებით, უშფოთ-

ველად ვიცხოვრებთ თქვენგან შეპირებულ რეზერვაციაში. იქ დავასრულებთ ჩვენი მოკლე სიცოცხლის დარჩენილ დღეებს ისე, როგორც მოგვესურება. როცა ამ მიწიდან უკანასკნელი წითელკანიანი გაქრება და მის ძეგლად და ხსოვნად დარჩება მხოლოდ პრერიების თავზე მოფარფატე ღრუბელის ჩრდილი, ამ ნაპირებზე, ამ ტყეებში ძველებურად იბატონებს ჩემი ხალხის სული, რადგან მას უყვარს ეს მიწა ისე, როგორც ახალშობილს უყვარს თავისი დედის გულის ცემა. თუ ჩვენ მოგყიდით ამ მიწას, გიყვარდეთ იგი ისე, როგორც გვიყვარდა ჩვენ, იზრუნეთ მასზე, როგორც ვზრუნავდით ჩვენ. თქვენს მეხსიერებაში შეინახეთ იგი ისევე, როგორც იყო იგი, როდესაც თქვენ დაეპატრონეთ მას და მთელი თქვენი ძალით, მთელი თქვენი აზრებით, მთელი თქვენი გულით შეუნახეთ იგი საკუთარ შვილებს და გიყვარდეთ იგი ისე, როგორც ღმერთს ვუყვარვართ ჩვენ ყველა.

ჩვენ ერთი რამ ვიცით: ჩვენ თქვენთან ერთად, ერთი ღმერთი გვეყავს. მისთვის ეს მიწა განძია. ფერმკრთალებს კი ვერ გაექცევა საყოველთაო ბედისწერას. ბოლოსდაბოლოს ჩვენ შეიძლება გავხდეთ ძმები. ვნახოთ.

/თარგმნა თამაზ თავაძემ/

ენავ ქართულო დედაო ენავ!

ჩვენ უკვე გვისაუბრია იმის შესახებ რომ ქართულ ენაში ყოველი რელიგია თუ მსოფლმხედველობა, ფილოსოფია თუ სამყაროსეული საიდუმლოებაა დავანებული.

მაგალითისათვის შეგახსენებთ იმას, რომ ყოველი მსოფლიო რელიგია სხვადასხვანაირად ჩანს ენობრივად: “სკანდინავური” ღმერთი “ოდინი” ჩვენი ღმერთების პანთეონს იკუთვნის *ოდინ*დებობიდან... დიახ ეს რელიგია “ოდინ”-დელია, (დელია რანუნი). მიტრაიზმი არა მხოლოდ სამღვდლოებაშია უმაღლეს მღვდელმსახურთა გვირგვინის – “მიტრა”-ს სახელწოდებით შემორჩენილი, არამედ ეროვნულ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი მდაბიო შექასუხებით, მსგავსად სიტყვისა “*მიხურებ*,” რომელშიდაც, უკვე თავის მხრივ, იმალება “*ახურა მაზდას*” შინაარსი. ამ ფურცლებზე მინდა აღვნიშნო არა მხოლოდ მთელი ინდუიზმის პანთეონის უმთავრესი სამების ქართულში გამომზიურება, არამედ თვით სამყაროს უმთავრესი შემოქმედის, ბრაჰმას იდუის და სამყაროს შემოქმედების ქართული სულიერი საწყისების საგანძურის გახსნაც.

დავიწყოთ იმით, რომ ადამიანს, ბიბლიურად, ამოძრავებს და შემოქმედ არსებად გარდააქცევს მითვის საკვების მოთხოვნილება, “*ადამიანს პირი აიძულებს შრომას*,” ანუ შიმშილი, და ჩვენ ამ ბუნებრივ

მოთხოვნილებას ვეძახით შიმშილს, – “*მშივა*,” – ვამბობთ ჩვენ, ანუ ინდუიზმის პანთეონის ღმერთი “*შივა*” და სამებიდან ერთ-ერთი უმთავრესი ტოტი ინდური რელიგიისა. “*შ*”-ათასია და ათასჯერ ძლევამოსილი “*შივა*” იწყება პირიდან – შიმშილიდან და ადამიანში მას უჭირავს, შეიძლება ითქვას “*უპყვრია*” ჭიპსქვედა სივრცე, რომელიც ჭიპიდან ტერფებამდე ეკუთვნის უძლიერეს მოთხოვნილებათა ანატომიურ სივრცეს და ბატონობს ადამიანის როგორც ფსიქიკაზე, ასე მის ჯანმრთელობაზეც და ცხოვრებისეულ აქტიურობასა და შემოქმედებაზეც.

რიგით მეორე ღვთაება ინდურ პანთეონში გახლავთ “*კრიშნა*,” რომლის მრავალ სახელთა შორის უმთავრესი სახელია *ხარი!* დიახ ხარი, ჩვენი მამაპაპური მხნელმთესველი, გუთნის გამწევი: “*გასწიე ხარო გასწიე*” – მღერის ქართველი კაცი. ინდუიზმის ფილოსოფიის თანახმად, უძლეველ ძალას სიხარული წარმოადგენს და აქაც ქართული ენა გვესაუბრება რა თავისი ფარული შრეებით, გვასწავლის: *გაიხარე*, – ანუ სიხარულით გახდი ხარი, *ხარი კრიშნა*. ჩვენი ენა უფრო ზუსტადაც ადასტურებს კრიშნაიზმის ქართულ ენაში არსებობას იმით, რომ *ხარი კრიშნა*, – ეს რუსული ტრანსკრიპციაა, რადგან რუსულში არაა ასობგერა “*ჰ*,” ასე რომ აქ, პირწმინდად ინდურად უღერს ხარი კრიშნას მანტრას ქართველური

ჰიმნები: *ჰარი (ხარი) ჰარალი ჰარალო...*

თუ ჭიპს ქვედა სივრცე “ში-კა”-ა და ჩვენ გვშივა როცა მინიშნებული სივრცე ცარიელია, კრიშნას – “ჰარის” სივრცეა ჭიპიდან დიაფრაგმამდე და მას შეესაბამება წითელი ფერის, მეომრის სივრცე. გასაოცარია, მაგრამ ინდუიზმის სამყაროს მანტრა, რომელიც დიდ ღვთაებრივ “მე”-ს ნიშნავს, აქაც ზუსტად ქართულში და უზუსტესად მეომრის საიდუმლოების აღმნიშვნელ სიტყვაში დევს:

“მე”-“ომ”-არი, ანუ ჩვენი დიდი, ღვთაებრივი “მე” არის უზენაესი მანტრა *“ომ.”*

მეომარი – მე-ომ-არი... ანუ აქტიურობის, რაჯასის წითელი ფერის სივრცე.

მესამე სივრცე ადამიანის სხეულისა, არის სატია ლოკა, ანუ ჩვენებურად “სიწმინდის” ადგილი – გულმკერდი. მართლაც რომ სიწმინდის ადგილია გულმკერდი. აქ ხომ გულია, ანუ ქრისტეს ადგილსამყოფელი და მეტი სიწმინდე აბა რაღა იქნება. სიწმინდე ხომ სისპეტაკეა და (სპიტაკი თეთრ ფერს ნიშნავს სომხურად),



ჩვენებურად სპეტაკი, სიწმინდე-სითეთრეა და ამ მესამე “ლოკას” – ანუ ადგილს, თეთრი ფერი აქვს...

...დიახ მივედით ძირითად საიდუმლოებასთან!

კვერცხი თეთრია თავისი ნაჭუჭით და გულმკერდის ფერიც მისტიციზმში ყოველთვის თეთრია, იქნება ეს ეგვიპტეს, ბაბილონის, ქართველთა, ბერძენთა თუ სხვათა მითოლოგიებიდან.


თუ ადამიანმა გულმკერდი, რაც იგივეა გრაალის თასი განწმინდა, იგი სითეთრეს იძენს და აქ უკვე სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ ქართული ენის ამ სამყაროსეულ საგანძურს და უფაქიზესად მივუდგეთ მის წმინდათა წმინდა მარგალიტს. ჩვენს ენაში მარტო-ოდენ ოდინი, მიტრა, ახურა (ახურა მაზდა) კი არ შემორჩენილან, არამედ შემორჩა არც მეტი არც ნაკლები სამყაროს შექმნის ყველა დროისა და ყოველი მისტიური სკოლის ძირითადი საიდუმლოება – **კვერცხი!!!**

...ჩვენ ვამბობთ წარმატებულ ადამიანზე ყოჩაღ, ანუ ყოჩი – რაც იგივეა ვერძის თანავარსკვლავედი, რომელიც ზოდიაქალურად ნიშნავს ადამიანის თავს და ყოჩადი – გონიერი ადამიანია, ამიტომაც, – “ყოჩაღ”(!!!) მაგრამ!.. მაგრამ წარუმატებელ ადამიანზე ჩვენ ვამბობთ: “ვაი შე ლაყე”(!!!) ლაყე კი ნიშნავს კვერცხს, ისიც გაფუჭებულს? დიახ ბატონებო, ჩვენს ენაში იგულისხმება რომ ადამიანი კვერცხია, ანუ რაღაც შუალედური არსება – არცა ცხოველი და არცა ღმერთი.

მოდით ცოტა ამაზეც ვიმსჯელოთ...

ყველა კვერცხი მრგვალია, უმეტესწილად თეთრი, მაგრამ სხვადასხვა კვერცხი განა მარტო ზომით განსხვავდება ერთმანეთისაგან? ზოგი ბუღბუღისაა, ზოგი ფარშევანგის, ზოგი ხოხობის და ზოგიც... ნიანგისა და გველის. ანუ კვერცხი სიცოცხლის ფორმის იდეაა და წარმატებული იდეა იჩეკება, წარუმატებელი კი ლაყდება, ანუ ლაყვა.

მოდით გულდასმით განვიხილოთ კვერცხის სამყაროსეული იდეა.



წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ შევძელით და შევაგროვეთ ერთი და იგივე ზომის სხვადასხვა კვერცხები: ციცრის, ქათმის, ხოხობის, ინდაურის, იხვის, ბატის და ა.შ. დავუშვათ ისიც, რომ ისინი არა მხოლოდ ფერით არამედ ზომითაც ერთნაირები არიან და წარუდგინოთ ისინი გამოცანის სახით ადამიანს და ვთხოვოთ გამოიცნოს რომელი ვისი კვერცხია. გამოსავალი ერთია—მოვათავსოთ ისინი

ინკუბატორში. პასუხიც გამოჩეკვის შემდეგ იქნება გასაგები...

...ადამიანთა ამოუწურავი ინდივიდუალური განსხვავება იმითაა გაჩენილი, რომ ყოველი მათგანი თავის ინტელექტუალურ თუ სულიერ და ზნეობრივ პოტენციალს წარმოადგენს და გაივლის რა, ამ პოტენციალით, თავის ცხოვრებას (კვერცხში ჩასახვიდან სიკვდილამდე), ამ “ინტელექტიდან” გამოჩეკილი არსება შედის ადამიანთა სივრცეში სადაც აღასრულებს თავის დროებით, (დიახ დროებით) ფუნქციას და შემდეგ მიდის ამ ცხოვრებიდან, რადგან არ წარმოადგენს **“arkhe”**-ს, ანუ უცვლელ, მარადიულ ღირებულებას. განასახიერებს რა გარდამავალს, ანუ არა მარადიულ ფასეულობას, ადამიანი თავისი არასრულყოფილების გამო ბადებს ისეთ მოვლენას, რომელსაც ჰქვიან — სიკვდილი.

ესეიგი, თუ დავუბრუნდებით ზემოთ მოყვანილ, მსგავსი კვერცხების მწკრივის განხილვას, რომელთა გამოცნობა გამოჩეკამ უნდა გახსნას, გამოდის რომ ყოველი კვერცხის ძირითადი ძალა არა მისი სითეთრეა და არა მისი ფორმა, არამედ მისი ინფორმაციული შიგთავსი, რომლის შესაბამისად იბადება ან ბუღბუღი ან გველი, ან ადამიანი ან წმინდანი და მოციქული და... ქრისტე!!!

თუ ჩვენ სერიოზულად მივიჩნევთ იმას, რომ სიტყვა “ლაყე” განძია ენისა ქართულისა და იგი იმას მიგვანიშნებს რომ ადამიანი ის კვერცხია, რომელიც თავის ინფორმაციულ სივრცეს ქმნის მთელი ცხოვრების მანძილზედ,



მაშინ ბილწსიტყვაობა და ყოველი უხამსობა ადამიანის იმ ინფორმაციულ ველს ქმნის, რომლის გამოც იგი შესაბამისად ლაყდება, ანუ გამოდის არაკაცი (ქურდი, მუქთახორა, მოღალატე, პარაზიტი...) და პირიქით თუ იგი ამადლებს თავის ინფორმაციულ ღირებულებას მეცნიერებით, ხელოვნებით, რელიგიით ან ფილოსოფიით, – იგი ღირებული ადამიანი ხდება. არსებობს ასეთი უმკაცრესი კოსმიური კანონი დაწესებული ღმრთისაგან, რომ თუ ადამიანი ამბობს სიტყვებს, მაშინ მთელს სიცოცხლეში მისგან ნათქვამი ყოველი სიტყვა აუცილებლად უნდა აღსრულდეს. და აი ამიტომაც რომ, წმინდანები, მოციქულები ის ადამიანები არიან, რომლებსაც წმინდა სიტყვათა და ლოცვათა აურაცხელი მადლი დაიგროვეს და მიაღწიეს უფალს თეთრი კვერცხის სრული სიწმინდით, წმინდა სიტყვების გამო, მაგრამ... მაგრამ ჩვენ განსაკუთრებული კვერცხიც ვიცით, – **წითელი კვერცხი**. იგი სააღდგომოა, ანუ **მკვდრეთით აღდგომის**

კვერცხია და იგი თეთრი კვერცხის სიღრმეში, ანუ ადამიანის შემთხვევაში, გულმკერდის სივრცეშია განთავსებული და... გული ხომ წითელია!!!

აი აღდგომის კვერცხი სად ყოფილა დამალული, მთელი მართლმადიდებლობის და ინდუიზმის, მთელი ბრახმანიზმის ძირითადი საიდუმლო და შინაარსი აი სად ყოფილა დამალული!!! ლოცვად და სათნოებად ქცეული ადამიანი “აღდგომას” საკუთარ გულში ისევე განახორციელებს, როგორც “ქრისტეს შობას.”

ეხლა “ბოლოჟამის” დროა და დადის ჩვენი სულმნათი პატრიარქი და თესავს ამ ცოდნას ხან ერთ ტაძარში ქადაგებისას, ხან მეორეში... ხან სიონში, ხან სამებაში და... ხანაც სვეტიცხოველში.

აი მისი უდიდებულესობისა და მისი უწმინდესობისაგან ხალხში დათესილი გამონათქვამები:

“ქრისტე აღსდგა, მაგრამ უმჯობესია იგი ყოველი ადამიანის გულში აღსდგესო...”

“ქრისტე იშვა, მაგრამ იგი ყოველი ადამიანის გულში უნდა იშვასო...”/

“სვეტიცხოველი ჩვენი-ხერხემალია ჩვენი...”

ღიას ხერხემალი, რადგან თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა ჰქონდა უფალს, სიტყვა იყო უფალი და მან დამარცვლა იგი (მაგალითად – “პუ-რი...”) ასე დამარცვლა მან მთელი ბუნების, ანუ მთელი თავისი საიდუმლოება და ხერხემალში **დამალა**, ანუ **დამალა**, – **მალა-მალა** გაანაწილა სიტყვის მარცვლები ხერხემალში. ეჰ! ჭკუა სადაა თორემ, ხერ-

ხემაღში ხომ 32 მაღაა და კაბალისტურად ღმერთისკენ (თავისაკენ—*კეტერ*,—ებრაულად, გვირგვინისაკენ) სულ 32 გზა მიდის. ოცდამეცამეტე უკვე თავია, გვირგვინი, ანუ განსხეულებული, რეალიზებული ქრისტე.

აი ასეთნაირადაა გასაგები, რომ არა მხოლოდ არსობის პურით, არამედ ყოველი სიტყვით რომღებიც ღმრთის ბაგეთაგან იბადებიან...

ის ვინც ღვთის ბაგეთაგან დაბადებულ უზენაესად წმინდა სიტყვებსა და აზრებს, წმინდა იდეებს აგროვებს იგი აღდგომის წითელი კვერცხია, რაც ინდუიზმის ბრახმას ოქროს კვერცხს ნიშნავს.

ასე რომ, გააჩნია ვინ რა საგანძურს აგროვებს... ვინ გაღაყდება და ვინ აღდგომის კვერცხ-

ით გაბრწყინდება ქრისტეში!!!

ურწმუნოთათვის და მერყევთათვის მოგვეყავს აკადემიკოს პავლოვის მთავარი საიდუმლოს აღმოჩენა, ანუ მეცნიერის დასტური *გულისა*,—*“აღდგომის კვერცხის”* შესახებ.


ქართულ ენაში ყველაფერი მისტიურია. ისიც კი, რაც თითქოს მხოლოდ ალქიმიისა და როზენკრეიცერების კუთვნილებაა — *ვარდი*. სხვათა შორის აქაც, ვარდი არა მხოლოდ ჩვეულებრივი, უბრალო, ენობრივად ისეთი თავისებური სიტყვაა, რომელიც ყველა ენას გააჩნია, არამედ აქ, წართულში, განსაკუთრებულ ვარდზეა საუბარი, ისეთ ვარდზე, რომელიც სამყაროს სიმბოლოს წარმოადგენს, რადგან მხოლოდ ქართულმა ენამ იცის ცისფერი ვარდი, — *ლაჟვარდი!!!*

ლაჟ-ვარდი, ლაჟ — ცისფერი ვარდი!!!

/თამაზ თავაძე/

გული “ბოლოჟამის” ერთადერთი გზამკვლევი

აკადემიკოს პავლოვის მთავარი
საიდუმლო



სწორი გადაწყვეტილების მიღება, ადეკვატური რეაქცია – ასეთ ტერმინებს ხშირად გაიგონებთ ფსიქიატრებისაგან. რა დასამალია ის, რომ თანამედროვე ადამიანების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა სწორედ ამაშია. ინფორმაციულ ოკეანეში, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით, მართლაც ძალიან ძნელია სწორი ორიენტირება, ერთადერთი მართებული გადაწყვეტილების მისაღებად.

რადღა ბევრი გავაგრძელოთ და, განა ბიბლიაში არ არის მოცემული, რომ დადგება ისეთი დრო, როდესაც უამრავი ცრუ მინიშნება, ცრუ წინასწარმეტყველი გაჩნდება, რომ გამოჩნდებიან ანგელოზებად შენიღბული დემონები. ასეთი აღწერილობები ბიბლიაში, “ბოლოჟამს” შეეხება და თუ თანამედროვე

რეალიებს გავითვალისწინებთ, ასეთი ჟამი ალბათ უკვე დადგა. მაგრამ როგორ შეიძლება ამ ზღვა ინფორმაციაში გარკვევა? თანამედროვე მეცნიერებას ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არა აქვს, თუმცა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში მეცნიერებამ მეტად მნიშვნელოვანი მომენტი აღმოაჩინა.

სიტყვა აღმოჩენა ამ შემთხვევაში ალბათ არცთუ ისე მართებულია. ეს ყოველთვის იყო ცნობილი. მეცნიერება მხოლოდ “თავისი კუთხით” მივიდა იქამდე, რაც არაერთხელ მიეცა კაცობრიობას, პირველად კი ამ საკითხებზე აკადემიკოსი პავლოვი ჩაფიქრდა.

პავლოვის მრავალრიცხოვან სამეცნიერო ნაშრომებში არის ერთი ისეთი, რომელიც იმთავითვე წითელი პროფესურის კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. ესაა ნაშრომი “ადამიანის გარდაცვალების შესახებ.” ის ნამდვილ სენსაციად იქცა და მაშინვე ცხრაკლიტურში ჩაკეტეს. საბჭოთა ცენზურას უბრალოდ არ შეეძლო ეს ნაშრომი ყველასათვის ხელმისაწვდომად დაეტოვებინა.

ამ ნაშრომში პავლოვი მეცნიერულად ასაბუთებდა, რომ ადამიანის გული მხოლოდ ძრავი კი არ არის, რომელიც სისხლს ამოძრავებს, უპირველეს ყოვლისა ეს გრძნობის ორგანოა. სკრუპულოზური მეცნიერული მსჯელობებით, პავლოვმა, ფაქტობრივად, დაადასტურა ის ჭეშმარიტებანი, რომლებითაც მთლიანადაა განმს-

ჭვალული ბიბლია.

ნაშრომის შესავალში პავლოვი წერდა, რომ ჯერ კიდევ ძველი ბერძნები გულს მხოლოდ ანატომიურ ორგანოდ არ აღიქვამდნენ. მათი აზრით ის ყველაფერს მოიცავდა: გრძნობას, ემოციას, განწყობას, ფიქრებს და ა.შ. “აბა გაიხსენეთ, – წერდა პავლოვი, – ხალხური გამოთქმები: გულს უხარია, გული დარდობს, გული იტანჯება და ა.შ. ამ გამოთქმებს ღრმა ფიზიოლოგიური არსი აქვთ.”

პავლოვი წერდა, რომ შორეულ წარსულში, როცა ადამიანი თავისი განვითარების ზოოლოგიურ სტადიაზე იმყოფებოდა, ყოველგვარ გარეგან გაღიზიანებაზე ისინი მხოლოდ კუნთოვანი რეფლექსებით ახდენდნენ რეაგირებას. თანამედროვე ადამიანში კუნთოვანი რეფლექსები უკვე მინიმუმამდეა დასული, მაგრამ ყველაფერი ის, რაც გულის მოქმედებასთანაა დაკავშირებული, პირველსახითაა შემორჩენილი. პავლოვი პირდაპირ მიუთითებდა, რომ თანამედროვე ადამიანისათვის გულის რეაქცია ყველაზე ზუსტად ასახავს, თუ რას გრძნობს ადამიანი. ერთი სიტყვით გული ადამიანის გარე სამყაროზე რეაგირების ერთადერთი ინდიკატორია.

რაც უნდა იყოს, პავლოვი უპირველეს ყოვლისა მეცნიერი იყო და ასეთი დასკვნებისათვის მას მეცნიერული დასტური სჭირდებოდა და მართლაც, “მსგავსი საბუთები მან მრავლად მოიპოვა, – გული პირდაპირ გახვეულია ნერვული ბოჭკოების ქსელში, რომლებიც თავისა და ზურგის ტვინთანაა დაკავშირებული. სხვა არც

ერთ ორგანოს არა აქვს ასეთი მჭიდრო კავშირი გარე ნერვულ გაღიზიანებებთან. ყოველივე ეს გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ადამიანის გული ერთადერთი ორგანოა, რომელიც გრძნობის ცენტრალურ ორგანოდ შეიძლება მივიჩნიოთ.” გული არის ის, რაც ფაქტობრივად რეაგირებს არა მარტო ფიზიკურ გაღიზიანებებზე, არამედ სხვა, თუ შეიძლება ასე ითქვას სულიერ გაღიზიანებებზეც.

აღბათ, უკვე აღვილი გასაგებია, თუ რატომ აიკრძალა აკადემიკოს პავლოვის ეს ნაშრომი. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე ათწლეულის შემდეგ კი, იგივე დასკვნამდე, ამერიკელები გლენ დევიდსონი და ლესტერ ვერნერი მივიდნენ.

იგი განარჩევს
სინათლესა და
სიბნელეს.

ბიბლიის წაკითხვისას აღვილად შევნიშნავთ, რომ ადამიანის გულის როლი გრძნობების სფეროში განუსაზღვრელია. ბიბლიაშიც ყველა მნიშვნელოვანი შედარება მხოლოდ გულის საშუალებით ხდება, მაგრამ ბიბლიისა და წმინდა მამების ცხოვრების ამსახველი ისტორიების კითხვისას არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციო იმას, რომ თავის შემოქმედს ადამიანი მხოლოდ გულით თუ შეიცნობს. რა ფორმითაც არ უნდა აღწერდნენ წმინდა მამები უფალთან მიახლოებას ან ხილვას, ყველგან აღნიშნავენ, რომ, უპირველეს ყოვლისა გულით გრძნობენ ამას და ეს სულაც არ არის შემ-

თხვევითი მოვლენა, როგორც ამას აკადემიკოსი პავლოვიც აღნიშნავდა. გულს და მხოლოდ გულს შეუძლია ჭეშმარიტად შეიცნოს შემოქმედი და წმინდა მამების ეს გამოცდილება შესაძლოა უმნიშვნელოვანესი იყოს სწორედ ახლა, ბოლო უამს, როდესაც ძალიან ძნელია სინათლის და სიბნელის ერთმანეთისგან გარჩევა. აქ კი უმჯობესია ისევ წმინდა მამების გამოცდილება გავიზიაროთ. რას შეიგრძნობს გული, როდესაც ჭეშმარიტად უახლოვდება სინათლეს? ჩუმ სიხარულს, ღრმა სიმშვიდეს და ნეტარების სითბოს, რომელიც ნელ-ნელა იზრდება და მთელს სხეულს ენიჭება. ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც თუნდაც ერთხელ არ განეცადოს რაღაც მსგავსი. ეს გრძნობები ერთგვარი ინდიკატორია, რომლებიც ადამიანს დაეხმარება საბოლოო არჩევანი გააკეთოს “ბოროტსა და კეთილს” შორის და აქვე ალბათ ის ნიშნებიც უნდა მოვიხსენიოთ, რომლებსაც ბოროტებასთან შეხებისას ავლენს გული: გამოუცნობი შიში, რაღაც დაბუყების თუ ჩხვლეტის მაგვარი გულის სიღრმეში, მოუსვენრობა რომელიც მთელ სხეულს ედება. დიახ, ეს ის უბრალო სიმპტომებია, რომელთა საშუალებითაც გული გვეკარნახობს, თუ როდის ვეხებით “სინათლეს” და როდის “სიბნელეს.” ალბათ დამეთანხმებით, რომ თანამედროვე პირობებში მხოლოდ გონებით არცთუ ისე იოლია მათი ერთმანეთისაგან გარჩევა.

ნურავინ იფიქრებს, რომ ასეთი სიმპტომების შეგრძნება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. გულის კარნახის გარჩევა ყველას შეუძლია. მხოლოდ ერთი კია, რომ შეგრძნე-

ბები სხვადასხვა ადამიანში, შესაძლოა სხვადასხვა სიძლიერისა იყოს, მაგრამ თუ კარგად ჩაუუკვირდებით საკუთარ თავს, მსგავსი სიმპტომების აღმოჩენა არცთუ ისე ძნელი საქმეა. არადა შესაძლოა გულის ეს კარნახი გახდეს ერთადერთი გზამკვლევი დღეს გამეფებულ ქაოსში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო ჩანაწერი არსებობს ვალენტინ ვოინოიარცევის (მოგვიანებით მთავარეპისკოპოსი ლუკასი) წიგნში: “სული, სამშინველი და სხეული” “რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს ეს ურწმუნოთათვის, ჩვენ ვადასტურებთ, რომ სწორედ გულით შეიძლება შეიცნო ღვთიური სიტყვა და ეს მხოლოდ წმინდანთა ხვედრი როდია. მე არაერთხელ განმიცდია ეს ყოველივე, როდესაც წმინდა წერილს ვკითხულობდი ან ვისმენდი, გულით ვგრძნობდი გასაოცარ მოვლენას, გულით ვგრძნობდი, რომ ღმერთის ეს სიტყვები, ჩემთვის იყო დაწერილი... ღმერთის სიტყვები საოცარი ძალის სიტყვებია, რომელნიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამ სიტყვებს კოლოსალური ძალა გააჩნიათ, რომელთანაც შედარებით ყველაზე ძლიერი ფსიქიური ზემოქმედებაც კი არარაობად ჩანს.”

მასალა მოამზადა

/თ.თავაძემ/



ვარდისა და ჯვრის საძმო.



ვინ იყვნენ როზენკრეიცერები? იქნებ ისინი გამოჩენილ, მოაზროვნე ადამიანთა ერთობას წარმოადგენენ, რომლებიც აღსდგნენ თავისი დროის ფილოსოფიური და რელიგიური ინკვიზიციის შეზღუდვების წინააღმდეგ, ან იქნებ ისინი ის იზოლირებული ტრანსცენდენტალისტები იყვნენ, რომლებსაც აერთიანებდათ მხოლოდ საკუთარი შეხედულებებისა და დასკვნების ერთიანობა? სად იყო სულიწმინდის ის სახლი, სადაც

ისინი, მათივე განცხადების თანახმად, ერთხელ წელიწადში ხვდებოდნენ ერთმანეთს საკუთარი ორდენის მომავალი საქმიანობის დასაგეგმავად? ვინ იყო საიდუმლოებებით მოცული ის ადამიანი, რომელსაც ჩვენი განთქმული *მამა* და *ძმა C.R.C.* ერქვა? იქნებ ეს ასოები "*Cristian Rose Cross*" სიტყვებს აღნიშნავდნენ? იყო თუ არა ქრისტიან როზენკრეიცი "*Chemical Nuptials*" (ქიმიური ქორწინების) სავარაუდო ავტორი,

ანუ ის ადამიანი რომელმაც სამ სხვა ადამიანთან ერთად შექმნა “ვარდისა და ჯვრის საზოგადოება?” როგორი ურთიერთობა ჰქონდათ როზენკრეიციერებს და შუა საუკუნეების მასონებს? რატომ იყო ამ ორი ორგანიზაციის ბედი ერთმანეთთან ასე მჭიდროდ დაკავშირებული? ხომ არ წარმოადგენს ვარდისა და ჯვრის საძმოს ანტიკური ხანის მისტიციზმისა და სიმბოლიზმის გასაგებად დაკარგულ ასე აუცილებელ რგოლს? ან ხომ არ გადაუციათ მათ თავიანთი საიდუმლოებები თანამედროვე მასონებისათვის? ხომ არ დაშლილა, XVIII საუკუნის ბოლოს, როზენკრეიციერების პირვანდელი ორდენი, ან იქნებ ეს საზოგადოება განაგრძობს თავის არსებობას როგორც ისეთი ორგანიზაცია რომელიც ინახავს თავისი არსებობის იმ საიდუმლოებას, რომლითაც ცნობილია იგი დღიდან თავისი არსებობისა? ჭეშმარიტად, რა მიზანს ისახავდა ვარდისა და ჯვრის საძმოს ორგანიზაცია? იყო

თუ არა როზენკრეიციერობა ფილოსოფიური ან რელიგიური საძმოს, როგორებადაც ისინი საკუთარ თავს წარმოაჩენდნენ, ან იქნებ მათი დოქტრინები სხვა, ვთქვათ ევროპაზე პოლიტიკური ბატონობის მიზნებს ემსახურებოდნენ? ეს და სხვა მრავალი პრობლემა აფიქრებს ყველას, ვინც კი როზენკრეიციერების გამოკვლევებითაა დაკავებული.

როზენკრეიციერების გამოცანის მიმართ არსებობს ოთხი სხვადასხვა თეორია. ყოველი მათგანი დაიბადა როგორც მტკიცებულებათა გულდასმითი ანალიზის ნაყოფი იმ მკვლევარებისა, რომლებმაც ჰერმეტიკული მეცნიერების არქივებში ძიებას საკუთარი სიცოცხლე შეაღიეს. ის დასკვნები, რომლებიც მათ გამოაქვეყნეს, აშკარად მეტყველებენ იმაზედ, რომ ცნობები ვარდისა და ჯვრის საძმოს წარმოშობისა და მათი ადრეული საქმიანობის შესახებ, როდია სანდო.

მასალა მოამზადა /თ. თავაძემ/

როზენკრეიციერების დოქტრინები და დოგმატები



როზენკრეიციერების საძმოს ჭეშმარიტი ფილოსოფიური შეხედულებების, პოლიტიკური მიზნებისა და მათი ადამიანური საქმიანობის მიმართ სარწმუნო ინფორმაცია მიუწვდომელია. დღეს, ისევე როგორც ძველად, საზოგადოების საიდუმლოებები მათი მნიშვნელობის გამო ხელშეუხებლად ინახებიან, ამიტომ როზენკრეიციერების ფილოსოფიის ინტერპრეტაციის ყოველი მცდელობანი, უბრალო სპეკულაციებს წარმოადგენენ.

არსებობენ მოწმობანი იმაზედ, რომ როზენკრეიციერების ალბათ ორი სხვადასხვა ორდენი არსებობდა: შინაგანი ორგანიზაცია, რომელთა წევრები არასოდეს არ ახმოვანებდნენ არცა თავიანთ სახელებს და არცა მოძღვრების არსს, – და გარე საზოგადოება,

რომელიც შინაგანი ორდენის ზედამხედველობის ქვეშ არსებობდა. მათი ვარაუდით ქრისტიან როზენკრეიციერების ოქროს ქვის რაინდის საფლავი ამ გარეშე ორდენის სიმბოლოს წარმოადგენს, რომლის სულიც უფრო მაღალ სფეროებში იმყოფება.

1614 წლიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ, გარეშე ორდენი ავრცელებდა ტრაქტატებსა და მანიფესტებს ან საკუთარი სახელით, ან საკუთარ წევრთაგან განდობილების სახელით. ამ თხზულებათა მიზანს წარმოადგენდა მკვლევართა შეცდომაში შეყვანა და ასეთი ხერხით საძმოს ჭეშმარიტი მიზნების დაფარვა.

როცა როზენკრეიციერობა ახირებულ უცნაურობად მოეგლინა XVII საუკუნეს, მაშინ ამ საკითხისადმი მიძღვნილი მრავალი

საბუთიც გაჩნდა და მათ პოპულარობის მაძიებელი თვითმარქვიები ავრცელებდნენ. თვითმარქვიებისაგან საძმოს სახელით ხელოვნურად მოგონილი მონაჩმასებითა და ლიტერატურული მიბაძვებით შეიქმნა ორმაგი ფარდა, რომლის მიღმაც შინაგანი ორდენი ეწეოდა იმ საქმიანობას, რომელიც მთლიანად განსხვავდებოდა საზოგადოებაში მათი საქმიანობის მიმართ ცნობილი მიზნებისა და საქმიანობისაგან. ვარდისა და ჯვრის საძმოს ძმები “გულუბრყვილოდ” იმართლებდნენ თავს იმით, რომ არსებობს მათ მიმართ არასწორი წარმოდგენები, რომლებსაც ისინი (ეს სიმართლე კი, უკვე, მართლაც უნდა ითქვას) თვითონვე უწყობდნენ ხელს, რათა დაეფარათ საკუთარი საქმიანობა და შეემოსათ იგი საიდუმლოების “ღრუბლებით.” როზენკრეიცერთა ჭეშმარიტი არსის წვდომა (იგულისხმება მისი ეზოთერული დოქტრინა) შეკოწიწებულია იმ ჩრდილის მრავალი დაკვირვებისა და ანალიზის შემდეგ, რომელიც ხალხმა თავის მხრივ თვითონვე შექმნა, უკვე ეზოთერული ნაწარმოებების სახით. ერთ-ერთ მათ მიერ “საბურველის” სახით შექმნილ ნაწარმოებში, – “საძმოს აღიარება”-ში, – ვარდისა და ჯვრის ძმებს სურთ საკუთარი არსებობის გამართლება და თავიანთი ორდენის მიზნებისა და საქმიანობის ახსნა. თავისი ორიგინალური ფორმით “აღიარება” იყოფა თოთხმეტ ნაწილად, რომელთა მოკლე, კონსპექტის სახით ჩამოყალიბებული, შინაარსი ქვემოთაა მოყვანილი.

**განსწავლული ევროპის
წინაშე ვარდისა და ჯვრის
საძმოს აღიარება**

თავი I. ნუ აჩქარდებით საკუთარ დასკვნებში და ნუ მიუდგებით ცრუ რწმენით ჩვენი საძმოს იმ მტკიცებულებებს, რომლებსაც შეიცავს ჩვენი *მანიფესტი – Fama Fraternalitatis*. განჭვრიტა რა ცივილიზაციის დაცემა *იელოვამ* დაიწყო კაცობრიობის გადარჩენის საშუალებათა ძებნა და მსურველებს გაუმხილა (მერყევთ კი ბიძგი მისცა) ის საიდუმლოებანი, რომლებიც მან მისსავე რჩეულთათვის შემოინახა. ამ ბრძნული ნაბიჯით ღვთისნიერება იქნებოდა გადარჩენილი, მხოლოდ მისი სიმრავლის ფასად. იმ დროს, როდესაც ჩვენი ჭეშმარიტი მიზნები მოცემულია “*Fama Fraternalitatis*”-ში, მის წაკითხვას გაუგებრობა ერთვის თან და ამიტომ მას ერესსა და ღალატში ცრუ ბრალდება ახლავს თან. ჩვენ იმედი გვაქვს, ამ დოკუმენტში ისეთნაირად ავხსნათ ჩვენი პოზიცია, რომ განსწავლული ევროპა შემოგვიერთდეს ჩვენ, ღვთაებრივი ცოდნის გასავრცელებლად, თანახმად ჩვენი განთქმული დამფუძნებელის ნებისა.

თავი II. იმ დროს როდესაც დღეს, მრავალი და მრავალი მიიჩნევს, რომ ჩვენი დროის ფილოსოფიური კანონები სავსებით სამართლიანია, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ისინი ცრუა და მალე მოიშლებიან მათთვის შინაგანად დამახასიათებელი სისუსტეების გამო,

რადგან ზუსტად ისევე როგორც ბუნება უზრუნველყოფს ყოველ წამალს ყოველი ახალი დაავადების საკურნებლად, ასევე ჩვენი საძმოდ იძლევა წამალს მსოფლიო ფილოსოფიური სისტემის უძღურების დასაძლევად. ვარდისა და ჯვრის საძმოს ფილოსოფიის საიდუმლო დაფუძნებულია იმ ცოდნაზე, რომელიც წარმოადგენს ნიჭიერების, მეცნიერებისა და ხელოვნების ჯამსაც და გვირგვინსაც. ჩვენს ღვთაებრივად გახსნილ სისტემაში, რომელშიდაც ბევრია თეოლოგიაცა და მედიცინაც, (სამაგიეროდ მცირეა იურისპრუდენცია) ჩვენ ანალიზს უკეთებთ ზეცასაც და დედამიწასაც, მაგრამ უმეტესწილად ვსწავლობთ თვით ადამიანს, რომელშიდაც ბუნებამ თავისი უზენაესი საიდუმლოებანი დამალა.

თუკი ჩვენი დროის მეცნიერულად მოაზროვნენი მიიღებენ ჩვენს მოწვევებს და შეუერთდებიან საძმოს, ჩვენ გავამხელთ იმ საიდუმლოებებს, რომლებიც არც კი დასიზმრებია მათ, რადგან ისინი ბუნების ფარულ შემოქმედებას ეხებიან.

თავი III. არ დაიჯეროთ, რომ ჩვენ ფუქსავატურად ვეკიდებით ამ მოკლე დოკუმენტში მსჯელობისათვის გამოტანილ საიდუმლოებანს. მთლიანად როდი შეგვიძლიან ჩვენი საძმოს საიდუმლოებათა აღწერა იმ ადამიანთა წინაშე, რომლებმაც არ იციან საქმის ნამდვილი ვათარება და აღვსილნი არიან ჩვენი გასაოცარი განცხადებებით, ან იმათ წინაშეც, ვინც შეცდომაშია შეყვანილი ჩვენი მისტერიების მიმართ ვულგარული

დაცინევებით, რის გამოც ვერ გაუგიათ ჩვენი მისტერიები. ჩვენ იმასაც ვშიშობთ, რომ ზოგიერთი შეცბუნდება ჩვენს განცხადებათა მოულოდნელი სიუხვის გამო, რადგან ვერ გააცნობიერებენ მეექვსე საუკუნის სასწაულებს, და იმ მოულოდნელად დიად ცვლილებებს, რომლებიც მოხდება მომავალში. მსგავსად ბრმა ადამიანებისა, რომლებიც სინათლით აღვსილ ქვეყანაზე ცხოვრობენ, მათ მხოლოდ შეგრძნებები გააჩნიათ (წარმოსახვაში იგულისხმება სულიერი გაგება, შეგრძნებებში კი მატერიალური გრძნობები).

თავი IV. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ადამიანის გამოგონებათა და ცხოვრების საიდუმლოებათა მიმართ ღრმა დაფიქრების შედეგად, ისევე როგორც სულელებთან და ანგელოზებთან თანამშრომლობის გამოცდილებამ და ხანგრძლივმა დაკვირვებებმა ჩვენს სათაყვანო ქრისტიან, მამა C.R.C.-ს საშუალება მისცა ღვთაებრივი სიბრძნე მიეღო იმდენად სრული სისავსით, რომ თუნდაც ყველა წიგნი დაკარგულიყო და ამასთან ერთად მოშლილიყო მეცნიერების ყველა საფუძვლები, ამ შემთხვევაშიც კი ვარდისა და ჯვრის საძმო, ღვთაებრივი ჭეშმარიტებისა და მისი ერთმთლიანობის საფუძველზედ აღადგენდა სამყაროს სტრუქტურას. ჩვენი ცოდნის სრულყოფილებისა და მისი უსაზღვრო სიღრმის გამო ჯვრისა და ვარდის საძმოს საიდუმლოებათა შეძენის მსურველები ვერ შეიძენენ ამ სიბრძნეს უშუალოდ, ამიტომ ისინი უნდა დახელოვდნენ ცოდნის მოხვეჭასა და მის გააზრებაში. მაშასადამე

ჩვენი საძმო დაყოფილი ყოფილა საფეხურებად, რომლებიც ყოველმა მაძიებელმა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განვლოს დიად საიდუმლოებათა მისაღწევად და თუ ღმერთი ინებებს და ჩვენში *მეექვსე კანდელს* აანთებს, განა უკეთესი არ იქნება ჭეშმარიტების ამ გზაზედ ძიება, ვიდრე მსოფლიოს უმეცრების ლაბირინთებში ძრწოლა და ხეტიალი?

უფრო მეტიც, ვინც ამ ცოდნას მიიღებს, მიაღწევს ყოველი ხელოვნებისა და ხელობის ოსტატობას, არც ერთი საიდუმლოება არ იქნება დაფარული მისთვის, ყოველი საუკეთესო ნაშრომი წარსულისა, დღევანდელობის თუ მომავლისა, იქნება ხელმისაწვდომი მისთვის. მთელი სამყარო გახდება მისთვის ვითარცა ერთი წიგნი და მეცნიერებისა და თეოლოგიის დაპირისპირება დაძლეულ იქნება.

ო, კაცობრიობავ შემოგვიერთდი! იმიტომ, რომ მომწიფდა ის დრო, რომელიც ღმერთმა დაადგინა ჩვენი საძმოს გამრავლების აუცილებლობისათვის და ჩვენც სიხარულით ვასრულებთ ღვთის ამ მოწერილობას. სიბრძნის კარი ამჟამად გახსნილია მსოფლიოსათვის, მხოლოდ კი იმათთვის, ვინც დაიმსახურებს ამ პრივილეგიას. ძმები თვითონ გაგეცნობიან თქვენ, რადგან ამ ცოდნის გამხელა აკრძალულია ჩვენი ბავშვებისთვისაც კი. სულიერი ჭეშმარიტების მიღების უფლება არ შეიძლება იყვეს მემკვიდრეობითი; იგი თავისთავად თვითონ უნდა აღმოცენდეს ყოველი ადამიანის სულში.

თავი V. თუმცა ჩვენ შეიძლება

გვისაყვედურონ სიფრთხილის გრძნობის დაკარგვაზედ, იმის გამო, რომ ჩვენს განძეულობას ვთავაზობთ ასე თავისუფლად და განურჩევლად და შეთავაზებისას არ განვასხვავებთ ღვთაებრივს, სიბრძნეს, დიდგვაროვნებასა და გლეხობას, ჩვენ მაინც ვამტკიცებთ, რომ არ ვღალატობთ ჩვენს განძეულობას მიუხედავად იმისა, რომ ჩვენვე გამოვაქვეყნეთ ისინი ჩვენს **"Fama"**-ში ხუთ ენაზე, რადგან მას მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც ღვთისაგან მიეცა უფლება.

ჩვენი საზოგადოება ვერ გაეხსნება ცნობისმოყვარეებს, არამედ მხოლოდ სერიოზულ და ჭეშმარიტ მოაზროვნეებს, მიუხედავად ყველაფრისა ჩვენ გამოვუშვით ჩვენი **"Fama"** ხუთ ენაზე, რათა ყოველი ერის უმწიკლონი ეზიარონ ცოდნას ჩვენს შესახებ, მკვლევარებიც რომ არ იყვნენ თვითონ. თუნდაც რომ ათასჯერ დააკაკუნოს უღირსმა ჩვენს ჭიშკარზედ, ღმერთმა აგვიკრძალა ჩვენ, **R.C.** საძმოს წევრებს, ყურადღება მივაქციოთ მათ ხმებს და მანვე შემოღობა ჩვენი ადგილსამყოფელი ღრუბლებით და დაგვიცვა ისე, რომ ჩვენთვის ზიანის მიყენება შეუძლებელია. ღმერთმა ღირსგვყო ჩვენ გავმხდარვიყავით უხილავნი უბრალო მოკვდავთათვის, ვიდრე ისინი არ მიაღწევენ იმ ძალას, რომელსაც არწივს დაესესხებიან. შემდეგ ყოველივე ამისა, ჩვენ ვაცხადებთ, რომ *ევროპის მთავრობების რეფორმებს მივადწევთ და მოვაწყობთ მათ იმ სისტემის მსგავსად, რომლის პრაქტიკასაც განახორციელებენ დამკარის ფილოსოფიები.* ყოვე-

ლი ადამიანი, ვინც ცოდნასაა მოწყურებული, მიიღებს მას თავისი ნიჭისა და ცნობიერების შესაბამისად. **ცრუ თეოლოგიის ბატონობა დაძლეულ იქნება, რათა ღმერთმა, მისგან რჩეულ ფილოსოფოსთა მეშვეობით, განამტკიცოს თავისი ნება.**

თავი VI. სიმოკლის გული-სათვის საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი მამაო **C.R.C.** დაიბადა 1378 წელს და დაგვტოვა ჩვენ 106 წლის ასაკში (დაბადების წლის რიცხვი მისტიურ ციფრთა თანმიმდევრობაა. რათა არ ჩავღრმავდეთ ამ რიცხვის მისტიურ უძირო სიდრმეებში, მოგახსენებთ მხოლოდ მის მოკლე შინაარსს: 1-მონადა, ქრისტე; 3-სამება – მამა – ძე – სულიწმინდა; 7-ჰარმონია და სრულყოფილება; 8-სიცოცხლე. ზუსტად ასევე ასაკიც – 106, – არის 10 – სრულყოფილი რიცხვი და 6 – გულის კაცი. შენიშვნა ჩემი თ.თ.) და გვიანდერძა ფილოსოფიური რელიგიის დოქტრინის მთელს მსოფლიოში გავრცელება. ჩვენი საძმო გახსნილია ყველასათვის, ვინც კი გულწრფელად ეძებს ჭეშმარიტებას, მაგრამ ჩვენ საჯაროდ ვაფრთხილებთ ტყუილსა და უღირსობას, რომ ისინი ვერასოდეს ვერ შეგვეხებიან ჩვენ და ვერ მოგვაყენებენ ზიანს, რამეთუ ღმერთმა დაიცვა ჩვენი საძმო და დაე იცოდეს მან, ვისაც ჩვენთვის ზიანის მოტანა უნდა, რომ ბოროტება მისკენ შემობრუნდება და მასვე მოსპობს, ჩვენი საძმოს საგანძური კი ხელშეუხებელი დარჩება, რადგან **ლომმა** უნდა ისარგებლოს ამ განძით თავისი სამეფოს განსამტკიცებლად.

თავი VII. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ღმერთი **ჟამთა დასასრულის წინ** (დღევანდელი ტერმინოლოგიით, – **ბოლო ჟამის დროს**) შექმნის სულიერი გაბრწყინების დიად ნაკადს, კაცობრიობის ტანჯვის გასანელებლად. ცრუ და ბნელი, რომლებმაც დაიმკვიდრეს თავი მეცნიერებაში, ხელოვნებაში, რელიგიასა და მთავრობებში, რითაც ისინი ბრძენთათვისაც კი ამძიმებენ ჭეშმარიტი გზის განხორციელებას, იქნებიან დამხობილნი და დამკვიდრდება ერთიანი სტანდარტი, იმისათვის, რომ ყველა შეჰხაროდეს ჭეშმარიტების ნაყოფს. ჩვენს ამ ცვლილებათა გამო პასუხისმგებლობას მხედველობაში როდი მიიღებენ, რადგან ადამიანები იტყვიან, რომ ეს ყველაფერი პროგრესის შედეგია. ფრიად დიდებულია ის რეფორმები, რომლებიც უნდა განხორციელდნენ, მაგრამ ჩვენ **R.C.** საძმოს წევრები, ქედმაღლურად როდი მივითვისებთ ამ ღვთაებრივი რეფორმების დიდებას, რადგან მრავალი ბრძენი და პატიოსანი ადამიანი, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წევრები როდი არიან, თავისი გონებითა და თხზულებებით დააჩქარებენ რეფორმათა განხორციელებას. ჩვენ გარწმუნებთ, რომ უფრო ადრე ქვეები აღსდგებიან და საკუთარ თანადგომას შემოგვთავაზებენ, ვიდრე იმ ადამიანთა უკმარისობა იქნება, რომლებიც უკვე დიდი ხანია მზად არიან აღასრულონ ნება ღვთისა ამ დალოცვილ დედამიწაზედ.

თავი VIII. რათა ვერავინ ვერ დაეჭვდეს ჩვენში, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ღმერთმა მოავლინა წარმო-

გზავნილები და გააცხადა ზეცაში ნიშნები, სახელდობრ *Serpentarius* და *Cygnus* ვარსკვლავები, რადგან სურს გვანახოს, რომ მალე შეიკრიბება *რჩეულთა კრება*. ეს ადასტურებს იმას, რომ ხილულ ბუნებაში, მხოლოდ მცირეთათვის, ღმერთი გახსნის საგანთა ნიშნებსა და სიმბოლოებს რომლებიც უნდა გაჩნდნენ სამომავლოდ. ღმერთმა ადამიანს მისცა ორი თვალი, ორი ყური, ორი ნესტო, ენა კი მხოლოდ ერთი. იმ დროს როდესაც თვალები, ნესტოები და ყურები გონებისაკენ მიმავალი ბუნების სიბრძნის გამტარნი არიან, მხოლოდ ენაა მათი მაუწყებელი. სხვადასხვა საუკუნეებს ჰყავდა თავისი განათლებულნი, რომელნიც ხედავდნენ, გრძნობდნენ და ისმენდნენ ნებას ღვთისას, მაგრამ ჭეშმარიტება მიეცემა მხოლოდ იმათ, ვინც არა მხოლოდ ხედავდა, ესმოდა და გრძნობდა მას, არამედ იმათ ვისაც მათი გამოთქმა შეეძლოთ. უწინარეს იმისა, ვიდრე ამ ჭეშმარიტების გაცხადება იქნება შესაძლებელი, მსოფლიო უნდა გამოფხიზლდეს სიმთვრალის იმ მდგომარეობიდან რომელშიდაც იგი აღმოჩნდა იმის გამო, რომ შესვა მოწამლული თასი (თასში ცრუ ცხოვრების თეოლოგიური ღვინო ესხა) და გამოფხიზლებისთანავე გაუხსნას საკუთარი გული სათნოებასა და გაგებას, და ამგვარად მიესალმოს ჭეშმარიტების მზის ალიონს.

თავი IX. ჩვენ ვფლობთ მაგიურ დამწერლობას, რომელიც იმ ღვთიური ალფავიტიდან გადმოვიდეთ, რომლითაც ღმერთმა თავისი ნება ზეცისა და მიწიერი ბუნების შუბლზედ დააწერა. ამ ახალი

ნებით ამოვიკითხეთ ჩვენ ნება ღმრთისა მისი ქმნილებების მიმართ და ზუსტად ისევე, როგორც ასტრონომები წინასწარმეტყველებენ დაბნელებებს, ასევე ჩვენც ვწინასწარმეტყველებთ ეკლესიათა დაისხაც და იმ ვადებსაც, რომელიც მიეცათ მათ არსებობისათვის. ჩვენი ენა იმ ენას ჰგავს, რომლითაც დაცემის წინ მეტყველებდნენ ადამი და ენოქა და, თუმცაღა გვესმის და შეგვიძლიან ავხსნათ კიდევ ჩვენი საიდუმლო ჩვენს ამ წმინდა ენაზედ, ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთ ლათინურით, ვინაიდან იგი ბაბილონის ენათა აღრვეთაა დასნებოვნებული.

თავი X. იმიტომ, რომ კიდევ არსებობენ გაგლენიანი პირები, რომლებიც ჩვენს მიმართ წინადგომამია და გვეწინააღმდეგებიან, ჩვენ იძულებული ვართ ვიყოთ შეფარულები, მაგრამ ჩვენ გარწმუნებთ თქვენ, ვინც ჩვენი საძმოს წევრები გახდებით, ისწავლეთ მარადიული წმინდა წერა და ვინც ამას აკეთებს იგი ახლოა ჩვენთვის. ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს ის, რომ ბიბლია სულ პირზე უნდა ეკეროს ადამიანს; ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ იგი მუდამ უნდა ექებდეს მის ჭეშმარიტ და წარუშლელ მნიშვნელობას, რომელსაც ასე იშვიათად მიაგნებენ თეოლოგები, მათემატიკოსები, რადგან ისინი დაბრმავებულნი არიან თავიანთი სექტების შეზღუდულობებით. ჩვენ ვადასტურებთ იმას, რომ არასოდეს, დღიდან სამყაროს გაჩენისა, ადამიანს არ მიცემია იმაზე აღმატებული წიგნი, ვიდრე წმინდა ბიბლიაა. დალოცვილია ვინც ფლობს მას, კიდევ უფრო

მეტად დალოცვილია ის ვინც მას კითხულობს, მასზე კიდევ უფრო მეტად დალოცვილია ის ვისაც ეს-მის იგი და ჰგვანან თვით მამა-ზეციერს, ისინი ვინც ემორჩილებიან მას.

თავი XI. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი მტკიცებულებანი ლითონთა გარდაქმნისა და უნივერსალური მედიცინის შესახებ, რაც **"Fama Fraternalitatis"** ფურცლებზე გაავა-ქდერეთ, სწორად იქნას გაგებულნი. იმ დროს, როდესაც ჩვენ ვთვლით, რომ ორივე ნაშრომი ხელმისა-წვდომია ადამიანთათვის, ჩვენ მაინც ვშიშობთ იმას, რომ ბევრი, დიადი გონების მქონე, გადაუხვევს ცოდნის მოპოვების ჭეშმარიტ გზას და მის სწორ აღქმას, თუკი ისინი მთლიანად მთელს თავის გონებას დაუთმობენ მხოლოდ ლითონთა გარდაქმნების გამოკვ-ლევას. ადამიანს, რომელსაც ექ-ლევა სნეულებათა განკურნების, სიღარიბის დაძლევისა და საზო-გადოებაში მაღალი მდგომარე-ობის დაუფლების შესაძლებლობა, მრავალ ცდუნებათა გამო მას შეიძლება გაუჩნდეს მათდამი მიდრეკილება და ვიდრე იგი ჯერ კიდევ არ ფლობს ჭეშმარიტ ცოდნას და გაგებას, შესაძლოა საშინელ მუქარად მოეველინოს მთელს კაცობრიობას. აღქიმიკოსს, რომელმაც მიაღწია ლითონთა ტრანსმუტაციის ცოდნას, შეუძლიან ჩაიდინოს ბოროტება, თუკი მისი გაგება არ იქნება ისეთივე დიადი, როგორც მისი სიმდიდრე, რომელიც მან თვითონვე შექმნა. აქედან გამომდინარე ჩვენ ვადა-სტურებთ იმას, რომ ადამიანმა **ჯერ ცოდნა უნდა შეიძინოს,**

მიაღწიოს სათნოებას, შეიძინოს ღვთაებრივი გაგება და მაშინ მას ყოველი სიკეთე თავისთავად თან ერთვის. ჩვენ ბრალდებას ვდებთ ქრისტიანულ ეკლესიას ძალა-უფლების მოხვეჭისა და მისი უგუ-ნური გამოყენების უდიდეს ცოდ-ვაში და ჩვენ ვწინასწარმეტყვე-ლებთ, რომ იგი დაეცემა საკუთარი უსამართლობის სიმძიმის გამო და დაკარგავს გვირგვინს.

თავი XII. ჩვენს ამ **"Confession"**-ის დასკვნაში ვაფრთხი-ლებთ ფსევდოალქიმიკოსებსა და ფილოსოფოსებს უსარგებლო წი-გნების კითხვის მავნებლობის შე-სახებ (რომლებიც ასე მომრავლ-დნენ დღეს), რომლებიც წმინდა სამების პროფანაციას განახორ-ციელებენ და შეცდომაში შეყავთ მიმნდობი სულები უაზრო გამო-ცანებით. ასეთ ადამიანთა უდიდეს მაგალითს წარმოადგენს მსახიობი, რომლის ნიჭიც მომართულია თვითმარქვია საქმიანობისათვის. ასეთი ადამიანები, ადამიანთა სიკე-თის მტერმა, შეფარვით შეურია ადამიანთა იმ სივრცეს, რომლებიც სიკეთის ქმნას ეძებენ და როგორც შედეგი ამისა მათ ჭეშმარიტების მოპოვება უძნელდებათ. დაგვი-ჯერეთ ჩვენ, ჭეშმარიტება მარტივია და იგი დამალული როდია! ამ დროს ტყუილი კი მეტად რთულია, ღრმად დაფარული, ამაყი და მისგან გამოგონილი მსოფლიო ცოდნა, რომელიც თითქოს აღვსილია ღვთაებრივი მისწრაფებებით, ხში-რად შეცდომების გამო მიჩნეულია ღვთიურ სიბრძნედ. თქვენ, ბრძენო, ზურგი შეაქციეთ ცრუ მოძღვრებას და მოხვალთ ჩვენთან და ჩვენ თქვენს ფულს როდი ვეძებთ? პირ-

იქით ჩვენ თვითონ გთავაზობთ ჩვენს საგანძურს, ჩვენ არ ვსაჭიროებთ თქვენს ნობათებს, არამედ თვითონ გთავაზობთ გახდეთ ჩვენი ნობათების თანამფლობელნი. ჩვენ როდი დაგცინით, როდესაც იგავებით ვსხნით ნათქვამს, არამედ გიწვევთ გაიგოთ და ჩაწვდეთ ყველა იგავსა და საიდუმლოს. ჩვენ როდი ვცდილობთ ვიყოთ მიღებული თქვენგან, არამედ გეპატიუებით თავად მობრძანდეთ ჩვენს სახლებსა და სასახლეებში და არა ჩვენი გულისათვის, არამედ უფლის სულის ნების გამო, ჩვენი უზენესად აღმატებული *მამა C.R.C.*-ს სურვილის გამო და აი ამაშია მიმდინარე მომენტის დიდი საჭიროება.

თავი XIII. ეხლა ჩვენ უკვე ნათელვყავით ჩვენი პოზიცია: ჩვენ გულწრფელად გვწამს ქრისტე, არა ვცნობთ პაპობას, ჭეშმარიტად ვუძღვნით ჩვენს სიცოცხლეს ფილოსოფიას და ღირსეულ არსებობას, ყოველდღიურად ვეპატიუებით და ვღებულობთ ჩვენს სამომში ყოველი ერის ღირსეულთ, მათ ვინც ჩვენთან ერთად გაიზიარებს ღმრთის ნათელს. ხომ არ შემოგვიერთდებით ჩვენ სრულყოფილებისათვის, მსოფლიოს სასიკეთოდ და ყოველი ხელოვნების განვითარებისათვის? თუ ამ ნაბიჯს გადადგავთ, დედამიწის ყველა მხარეში არსებული განძი თქვენი

გახდება და სიბნელე რომელმაც ადამიანთა ცოდნა დაბინდა და ასე მედიდურად ქედმაღლობს, რადგან მატერიალური მეცნიერებისა და ხელოვნებისაგანაა წარმოშობილი, —განიფანტება.

თავი XIV. და კვლავ ვაფრთხილებთ მათ, ვინც ოქროს ბრწყინვალეებითაა მოხიბლული. ვაფრთხილებთ იმათაც, ვინც ამჟამად წყალობაშია, ვისაც სიმდიდრე იზიდავს: საზეიმო და ხელგაშლილი ცხოვრებისათვის ნუ დაარღვევთ ჩვენს წმინდა ღუმელს თქვენი ხმაურით და თუმც არსებობს მედიცინა, რომელიც კურნავს ყველა სნეულებას და შესძენს ადამიანებს სიბრძნეს, ეს ყველაფერი მაინც ღვთის ნების საწინააღმდეგოდაა მიმართული, თუკი ადამიანი შეიძენს ცოდნას და მის გაგებას სულ სხვა წყაროებიდან და არა სათნოებიდან, შრომისა და სულის მთლიანობიდან. ჩვენ ვერ ვეჩვენებით ყველას, ვისაც კი ამის სურვილი გაუჩნდება, გარდა იმათისა, ვინც ღვთის ნების გამო დაიმსახურა ჩვენთან შეხვედრა და თუ ვინმეს ჰგონია, რომ შეუძლიან გახდეს ჩვენი სულიერი საგანძურის თანამფლობელი ღვთის ნების საწინააღმდეგოდ, ან მისი ნებართვის გარეშე, უფრო მაღე დაეთხოვება სიცოცხლეს, ვიდრე მიაღწევს ბედნიერებას, თუკი მოახერხებს და ჩვენამდე მოაღწევს.

/მოამზდა თ.თავაძემ/

მერწყულის ეპოქა ანუ ლეგენდები და მითები ამეტყველდნენ

სჯობს ერთი სანთელი დაანთო
ვიდრე განუწყვეტლივ აძაგებდე
ბნელს.
/კონფუცი/

ბრძენკაცთაგან ვარ აღზრდილი
ვით ღვიძლი შვილი, რადგან ყოველი
ადამიანის მიმართ, ვინც ბერძნული
ენის ცოდნას გამოავლენს, ისინი
განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ,
ვინაიდან მათი აზრით ასეთი ადამიანები
ნაწილობრივ უკვე დაემსგავსნენ
მათ თავიანთი სიბრძნით.

/წმინდა აპოლონიუს ტიანელის/

წინასიტყვაობა

რათქმაუნდა, რომ ბერძნული
ენის ცოდნა განსაკუთრებული
ცოდნაა თუკი ბერძნული სიტყვის
არსის ამოკითხვა შეგიძლია,
მაგრამ აქ უპირველესად ყოველისა
იგულისხმება ბერძნული მითებისა
და ლეგენდების მეტაფიზიკური
ენის ცოდნა, რომელიც იტყვს
მთელი სამყაროს სრულ ცოდნას.

აი ამიტომ ამ ენის ცოდნაზე
შეფარვით მიგვანიშნებს ზემოთ
მოყვანილი ეპიგრაფი წმინდა
აპოლონიუს ტიანელისა. ასეა
ებრაული ენაც, თუკი ყოველი
სიტყვისა თუ სახელის შინაარსი
იცით.

წინამდებარე ნაშრომიც ზუსტად
იმ მიზანს ემსახურება, რომ
მკითხველს გაუხსნას ბერძნული
მითების საიდუმლოებანი და აღ-
ძრას მასში სურვილი ისწავლოს
ისინი, ვინაიდან მათ გარეშე სიცო-
ცხლე უგემურია, უფერული და

უაზრო. ნუ დაგავიწყდებათ ის რაც
ითქვა, რომ ადამიანს უნდა გაუჩ-
ნდეს ახალი გემოვნებანი, ანუ სანს-
კრიტულად რომ ვთქვათ, სიტყვა
გემოვნება რასაა და სწორედ ეს
არის სიტყვა “რასა”-ს ჭეშმარიტი
შინაარსი და არა კანის ფერი. ამი-
ტომ “რასა” ადამიანთა სივრცეში
არსებულ ძირითად მიდრეკილებას,
საზოგადოებრივად წამყვან გე-
მოვნებას ნიშნავს. მაგალითად
მონათმფლობელობა და ამ წყობი-
ლების ძირითადი მიდრეკილება –
გემოვნება, – მონებია; ფეოდალური
წყობილება და საზოგადოების
ძირითადი მიდრეკილება–გემოვ-
ნება,–მიწებია და მიწათმფლო-
ბელობა; კაპიტალისტური წყო-
ბილება და მისი ძირითადი იდეა
–გემოვნება,–კაპიტალია და ფული.
ზუსტად ასე ჩნდება თანამედროვე
საზოგადოების ძირითადი გემოვ-
ნება მიდრეკილება, საკუთარი თავის
შეცნობისა და სრულყოფილების
იდეა. აი ასეთი გემოვნების მქონე
ადამიანები, მეექვსე რასა, შეცვლიან
თანამედროვე, ბოღმით, სიძულ-
ვილით, შოვინიზმით თუ სხვა ქვენა
თვისებებით აღსავსე უმეცარ ადა-
მიანთა მოდემას.

ეს, ერთი შეხედვით იდეალური
პოზიცია არ აწყობთ მხოლოდ
“ცხოვრებისეული სიბრძნით” გატე-
ნილ ჭკუის კოლოფებს, ხოლო
ახალგაზრდა გული კი ვერ ურიგ-
დება შიშის მარწუხებში მყოფი
უფროსი თაობის შეზღუდვებსა და
ჭკუის დარიგებას.

ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა მაღალი იდეალების რეალურ ცხოვრებაში გატარება?

პასუხს კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე და ჰუმანისტი ნ.კ. რერიხი იძლევა: “მთელი მსოფლიოს მშვიდობა?! თუ კი მოჩვენებით რეალობას დავუჯერებთ, მაშინ ხომ ყველა მცნებაც არარეალური უტოპია იქნება?! მაშინ ყოფითი ცხოვრების მარტივი ნათელი საფუძვლებიც მიუწვდომელი უაზრობა იქნება. ან იქნებ რომელიმე ჭკუადმყოფელი იტყვის: “მაშინ რა საჭიროა ამ მცნებების ამდენი ჩიჩინი თუკი ისინი მიუწვდომელი არიან?”

ახალგაზრდა სუფთა გულები არ თანმხედებიან იმ “პრაქტიკულ ცხოვრებაზე,” რომელსაც მათ “ცხოვრებით განსწავლული ბრძენკაცები” სთავაზობენ. ზოგიერთი ახალგაზრდას გული, ზუსტად იდეალური ცხოვრების რეალიზების გზისაკენ მიიწევს, რადგან გულმა იცის, რომ იდეალური არის ნაანდერძევი გზა, რომლის წინააღმდეგაც ასე გააფთრებით იბრძვიან უფროსები. ამ იდეალისა და “ცხოვრებისეულის” განსხვავების ნიადაგზე მრავალი ოჯახური ტრაგედია გათამაშდა.

...როდესაც ასეთნაირად, თანდათანობით დაქვეითებისათვის განწირული ახალგაზრდები ეკითხებოდნენ უფროსებს იმის შესახებ ექნებოდათ თუ არა მათ პრაქტიკულ ცხოვრებაში სიკეთის მცნებათა რეალიზების შესაძლებლობანი, უფროსები ხელების სავსავით მკრეხელურად ჩურჩულებდნენ: ყველაფერი მიგეტევათ... და ცხოვრებაში ჩნდებოდა სიკეთის

მცნებათა შესრულების აუცილებლობისა და “ყველაფერი მიგეტევათ”-ს შორის გადაულახავი წინააღმდეგობანი. “ცხოვრების გამოცდილების” მქონენი მზად იყვნენ ნებისმიერი დაპირება გაეცათ ოღონდ კი დაეცვათ ახალგაზრდები იდეალიზმისაგან. აი, როდესაც ახალგაზრდები, უკვე თავით ფეხებამდე ეფლობოდნენ მექანიკურ, განპირობებულ ცხოვრებაში, მაშინ კი ამ უბედურების შემხედვარე უფროსი თაობა, ფარისევლებიცა და მწიგნობრებიც, შეშფოთებისაგან ხელებს გაასავსავებდნენ ხოლმე. მაგრამ მაინც საკითხავია, აბა მაშ ვინ მიიყვანა ეს ახალგაზრდები მუშტიკრივზე, რბოლებზე, გარყვნილ ფილმებზე?..

...დადგება დრო, როდესაც ერთწოდებული იდეალიზმი, პატიოსანი, შეუზღუდველი ცოდნისაკენ სწრაფვას შექმნის, როგორც ყველაზე საიდუმლო და უმოკლეს საშუალებას სიცოცხლის საიმედო ნავსაყუდელისაკენ.

...ცრურწმენა და წინასწარი არასწორი განწყობა მომაკვდინებლად მოქმედებენ ადამიანთა ბედნიერი ცხოვრებისაკენ მისწრაფებაზე.

მიუხედავად ყოველი მოჩვენებითი “ყოფითი ცხოვრების სიბრძნისა,” იდეალიზმი, როგორც სიკეთის მოძღვრება ცხოვრებას მაინც ყველაზე საუკეთესოდ განაახლებს და ამასთან ერთად შედეგების მიღწევის ყველაზე სწრაფი საშუალებაც გახდება.

ნათქვამია: “ექიდნესაგან შობილო! სიკეთეზე საუბარი როგორ შეგიძლიან, როდესაც ბოროტების განსახიერებას წარმოადგენ?” ჭეშ-

მარიტად, ღვარძლი და გულის სიავე, ჩუმად ჩასჩურჩულებენ მას იმის შესახებ, რომ ყოველი მოწიწება და სისათუთე ამ ცხოვრებისათვის ამო უსაფუძვლობაა და ნაადრეგია. მაგრამ მაინც მტკიცედ ვიცოდეთ, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობაც არაა განზოგადებული და უტოპიური მცნება, რადგან დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ კაცობრიობის კეთილგანწყობილებაზე, ამიტომ ყოველი დარიგება შევინარჩუნოთ: ამაღლებული და საუკეთესო ზუსტად რომ დროულია და იგი გვიადვილებს, და გვიმოკლებს კიდევ, ბედნიერებისაკენ მიმავალ გზას.”

/ნ.კ.რერიხი/

თავდაპირველად იყო სიტყვა

როგორც უკვე ითქვა წინასიტყვაობაში, ბერძნული ენის ცოდნის მადლის მიმართ ჩვენ მტკიცედ ვდგევართ ამ სიმართლეზე, რადგან ვთვლით, რომ ბერძნული მითოლოგია ცოდნისა და სიბრძნის განსაკუთრებული წყაროა და ეს ყველაფერი წარმოადგენს სრულიად დაუფარავ და გახსნილ ბერძნულ კაბალას, რომლის შექმნაც შეგიძლიათ ნებისმიერი წიგნის მაღაზიაში თუკი იქ ბერძნული მითოლოგიის წიგნი იყიდება. მაგრამ ეს ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რაც წინასიტყვაობაში ითქვა და სხვას მეტს არაფერს. ასე რომ თვითონ სიტყვა, ნებისმიერ ენაზე ნათქვამი, თავისთავად განსაკუთრებული

მოვლენაა და მისი შინაარსი მთელი სიგრძე-სიგანით წმინდა იოანეს სახარებაშია გახსნილი: “თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო თავდაპირველად ღმერთთან.”

ქართული სიტყვის ამ საკითხთან კავშირის გამო დაიწერა ეს ესე. ნებისმიერი ენის სიტყვის კონსტრუქცია ორი მდგენელისაგან შედგება. სიტყვას თავისი მნიშვნელობით ორი მდგენელი აქვს, ერთია მისი სემანტიკური მნიშვნელობა, მეორე კი ემოცია, – ენერგეტიკული ნაწილი სიტყვისა და იგი იმდენად ტევადია სემანტიკურად, რამდენადაც განათლებულია სიტყვის მთქმელი. ალბათ უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ თვითონ სიტყვა უსასრულოა. ასევე მნიშვნელოვანია მისი ენერგეტიკაც, ანუ ემოცია და რაც უფრო მეტად ენერგიულად, სიტყვის შესაფერისი ემოციური ძალით ითქმის სიტყვა, მით მეტია მისი ძალა. ასეც არის, რადგან სახარება გვასწავლის, რომ თუ მთას ვეტყვით გადადექო ის გადადგება... და ეს საოცრად ნათლად ჩანს სიტყვა “ხმაურ”-ში. დიახ, “ხმა” – “ური,” ანუ “ხმა,” – “ურია,” სინათლე (ურ – სანსკრიტულად ნიშნავს სინათლეს.)

როგორც ვხედავთ, სიტყვის ყოველი ნაწილი შესაბამის დატვირთვას ასრულებს. სიტყვის ზემოქმედებითი ნაწილი, მოქმედებს ადამიანისაგან სიტყვაში ჩადებული შინაარსის სიღრმის გააზრების შესაბამისად და იმდენად ეფექტურად რამდენადაც ემოციურად აღიქვამს იგი მას. რადგან ემოცია – გრძობაა, გამოდის რომ სიტყვა

ცოცხალია და ჩვენ ვაცოცხლებთ მას. აქედან ძნელი როდია განვასხვავოთ უნიათოდ ნათქვამი სიტყვის ძალა და ძლიერად ნათქვამი სიტყვა. ეს უკვე ხელოვნებამ დაადასტურა იმით, რომ სიტყვა ხელოვნების ძალასაც და მის მიმზიდველობასაც განსაზღვრავს. ამიტომაც ნათქვამი, რომ ხელოვნება გადაარჩენს სამყაროს.

აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ სიტყვა მარტოდენ ბგერა როდია, არამედ უესტიც, გამოხედვაც, პოზაც, მიმიკაც, ცეკვაც... და გამოდის რომ **მნემოზინა** მართლაც ის ქალღმერთია რომელმაც **ეზოპე** გაანათლა და უდიდეს ბრძენკაცად აქცია.

სადღეისოდ, ადამიანთა სივრცეში არსებობს ძალზედ დიდი შეცდომა იმის შესახებ რომ ჩვენ, ადამიანებმა ვიცით სიყვარული. თავიდანვე დავამყაროთ სწორი ურთიერთგაგება ამ საკითხთან დაკავშირებით. რათქმაუნდა ჩვენ არ ვგულისხმობთ ბავშვებს, რადგან **ისინი თვითონ განსახიერებელი სიყვარული არიან**, ბუნებრივი, აბსოლუტური ემოცია სიყვარულისა, რომელიც ჩვენ, უფროსებმა საკმარისად კარგად დავივიწყეთ. სამაგიეროდ, ბავშვებისაგან განსხვავებით ჩვენ ღრმად ჩავიხედეთ ამ საოცარი სიტყვის ძალზედ ვრცელ სემანტიკურ შინაარსში და ნათლად დავადგინეთ განსხვავებანი ჭეშმარიტი სიყვარულისა ჩვეულებრივი “სიყვარულისაგან” იმდენად, რამდენადაც განსხვავებულია, ვთქვათ ტარიელისა და ნესტანდარეჯანის, რომეოსა და

ჯულიეტას სიყვარული სიძვისაგან, ან ჩვეულებრივ ადამიანთა სიყვარულისაგან, რომლებსაც მარტივი უთანხმოების გამოც კი შეუძლიათ წაკამათება ან განქორწინებაც კი. განსხვავებანი ატარებენ ხარისხობრივ ხასიათსაც, მაგალითად იგივე ტარიელისა და ნესტანდარეჯანის სამიჯნურო სიყვარული და სიყვარული სულიერად ამაღლებული ღოცვისა ქრისტეს მიმართ. ბავშვებისაგან განსხვავებით ჩვენ სიტყვა სიყვარულის სემანტიკური შინაარსი გავადრმავეთ, რადგან ვიცით, რომ სიყვარულში არსებობს მოვალეობა, ერთგულება, თავდადება, რომ არსებობს სიყვარული სამშობლოს, ერის და ეროვნული გმირების მიმართ... ანუ, ჩვენ ვაცნობიერებთ იმას, თუ რას ვგრძნობთ.

ჩამონათვალი ემოციები სიყვარულისა ჯერ კიდევ ცოტაა იმ ემოციათაგან, რაც ადამიანმა მოახერხა და სიყვარულში აღმოაჩინა, განსაკუთრებით იმ სიყვარულში, რომელიც ბავშვმა თავისი გულით მოგვიტანა და რომელსაც იგი (სხვა ბევშვებიც), მთელი ცხოვრების მანძილზე უსასრულო რაოდენობის უძვირფასეს მარგალიტებად გაშლის, განაბნევს მათ ამ სამყაროში, როგორც სიყვარულის უსასრულო ენერგიებს, სხვათა და საკუთარი თავის საკეთილდღეოდ. ბავშვის სიყვარული უსასრულო რაოდენობის ემოციებს, ანუ რაც იგივეა ენერგიებს შეიცავს და ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა ამ ენერგიათა გამოვლენა, მათთვის სახელწოდებათა დადგენა და გაჩენილი, ახალი სიტყვების ენერგიათა უსა-

სრულთ გაღრმავება და ცხოვრებაში მათი გამოყენებით კი, სიცოცხლის შემკობა.

აშკარაა, რომ კაცობრიობის ევოლუცია სიტყვის სემანტიკის გაღრმავების გზით მიემართება და, რაც ასე დასაზნანია, ადამიანი კი ივიწყებს ბავშვის უკიდუგანო ემოციას – სიყვარულს. ჭეშმარიტება კი ისაა, რომ ორივე ერთად – ემოცია და სემანტიკა – არის სიტყვა. ასე რომ ჩვენ სიყვარული უნდა ვისწავლოთ, თუნდაც იმიტომ რომ იგი უსასრულოა.

ბევრი რომ არ გაგვიგრძელდეს ვიტყვით, რომ ჩვენ არა მხოლოდ სიყვარულის მიმართ ვცდებით, არამედ ყოველი იმ სიტყვის მიმართაც, რომლის შინაარსისა და ენერგეტიკის ათვისების გარეშე, ჩვენ საერთოდ ეჭვქვეშ ვაყენებთ მთელი ჩვენი ცხოვრების შინაარსს. არსებობენ სიტყვები და მათი თანამიმდევრობანი, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი ახერხებს სიტყვათა შინაარსის წვდომასაც და მათი ენერგეტიკის რეალიზებასაც, რის შედეგადაც ადამიანი ნელ-ნელა იზრდება სულიერად და თავის სულიერ ძლევაძმოსილებას განახორციელებს. როგორც უკვე ვთქვით, არსებობს მრავალ დამოუკიდებელ სიტყვათა კრება, რომელნიც სულიერი ზრდის პროგრამას წარმოადგენენ და ამიტომ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ცნობილ თანამიმდევრობას 12 სიტყვისაგან:

1 – სიყვარული, 2 – ნება, 3 – სიბრძნე, 4 – ცოდნა, 5 – რწმენა, 6 – იმედი, 7 – ჭეშმარიტება, 8 – სამართლიანობა, 9 – ერთგულება, 10 – პატიოსნება, 11 – მსახურება,

12 – მორჩილება.

თუ ჩვენ გავიხსენებთ იმას, რომ სიყვარული უნდა ვისწავლოთ და ღვთაებრივ სიყვარულს ვერცერთი ჩვენთაგანი ვერ დაიხმებს, მაშინ გამოდის, რომ მეორეზე, ნებაზე უნდა გადავიდეთ და აქაც ძნელია მოიძებნოს ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ მან ისწავლა “იყავნება შენი”-ს სრული რეალიზება. იძულებული ვართ გადავიდეთ მესამე სიტყვაზე, სიბრძნეზე და განა სოლომონ ბრძენის სიბრძნეს ვინმე დაიხმებს? ცოდნა კი, რომელიც მოყვანილი სიტყვიერი პროგრამიდან სჩანს, – სიბრძნის საფუძველია, რაც ასევე ძალზედ იშვიათია... ამგვარად, ძალიან იოლად მივალთ მოყვანილი სიტყვიერი პროგრამის დასაწყისში: პროგრამა იწყება სიტყვა – მორჩილებით. მორჩილებით და მხოლოდ მორჩილებით იწყება გრძელი გზა სიბრძნისა და სიყვარულისაკენ.

ზუსტად რომ სიტყვა მორჩილებაშია თავი და თავი ადამიანის საკუთარი თავის შეცდომების მიმართ უპასუხისმგებლობაში, რადგან მას ჰგონია თითქოს მორჩილება იცის და, მეორეს მხრივ, იმის გამო, რომ მორჩილება ყველაზე იოლი საქმე ჰგონიათ. **მორჩილება** არის არა მხოლოდ ყველაზე ძნელი თვისება, არამედ ყველაზე დიდი სიბრძნეც.

რატომ?

იოლია პასუხის გაცემა, თუ თქვენ ერთი დღის განმავლობაში დააკვირდებით იმას, რომ თქვენს ირგვლივ თითქმის ყველა დაყრუვდა, დაბრმავდა, გაჯიუტდა, გაზარმაცდა და ასე შემდეგ. აბა ვნახოთ თუ ეს ასე არაა: ვისაც

რა არ უნდა სთხოვოთ ან ვერ გააკეთებინებთ, ან თავის ჭკუაზე გააკეთებენ, ან ბოლომდე არ გააკეთებენ, ან მერე გააკეთებთ, ან ისეთ მიზეზს მოიძებნენ, რომ თქვენ თვითონვე შეგრცხვებათ საკუთარი თხოვნისა, ან სულაც უარესი, იტყვიან – ვაიმე ეს რა სისულელე ჩავიდინე და რატომ ვთხოვე მას ამის გაკეთება!

რაც შეეხება მორჩილები-სათვის საჭირო სიბრძნეს, აქ მართლაც ძალზედ დიდი სიბრძნეა საჭირო. პირველი ის, რომ ყველას როდი უნდა დაემორჩილო და ყველას თხოვნა როდი უნდა შეასრულო. მრავალი პრობლემა ითხოვს მორჩილის გონიერებას. უგუნური, – მორჩილი კი არაა, არამედ მხდალია და ის იოლად ეჩვევა მოწევას, გაბოლებას, გაჩხერას და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ სხვა სიმახინჯეს, რაც ჯოჯოხეთისაკენ მიმავალი გზაა და არა მორჩილისაგან არჩეული სულიერება. როგორც ჩანს მორჩილი უპირველესად ყოვლისა უკვე ბრძენია, რადგან თავის მხრივ სიბრძნეს ეძებს და მოძღვრად ჭეშმარიტ ბრძენს პოულობს. აქ ძალიან დიდი ფიქრია საჭირო, რადგან ბრძენი და ჭკვიანი არ უნდა აგერიოთ, იმიტომ რომ ჭკვიანი ან შეგნებულად მოგახვევს თავის თავს, ან თავისდა გაუცნობიერებლად. ამას კი რა მნიშვნელობა აქვს, თუ თქვენ ნებსით თუ უნებლიედ ადამიანურ ხიბლში ჩავარდებით. ბრძენი კი თავს არასოდეს არ მოგახვევთ. უბრალოა ამ საკითხის გადაწყვეტა, რადგან მოძღვარს უზენაესი პატივისცემა ეკუთვნის, ხოლო

უფალს უზენაესი თაყვანისცემა და სიყვარული. აი შესაბამისი იგავიც. რაც ყველაფერ ამას სავსებით გასაგებს ხდის .

...იყო ორი მოძღვარი. ერთი მეტად ცნობილი და მრავალ-მოწაფიანი და მეორე კი, არც თუ ისე ცნობილი და მოწაფეთა მცირე რაოდენობას სჯერდებოდა. პირველზე ცნობილი იყო, რომ თვითონ და მისი მოწაფეებიც, სამოთხეს დაიმსახურებდნენ, მეორეზე კი ამბობდნენ, – ალბათ ჯოჯოხეთს დაიმსახურებსო, – რადგან არავინ იცოდა რას ასწავლიდა იგი თავის მოწაფეებს. მოხდა ისე, რომ ყველა გარდაიცვალა. ნაკლებად ცნობილს სიკვდილის ანგელოზი მოეველინა და უთხრა წამომყევით.

– ჯოჯოხეთშიო? – შეეკითხა მოძღვარი.

– არა, სამოთხეშიო, – მიუგო ანგელოზმა.

– სამოთხე ხომ იმ მოძრვარს ეკუთვნისო? – გაიკვირვა მოძღვარმა.

– ეს წუთია ის ჯოჯოხეთში წავაბრძანე თავის მოწაფეებთან ერთადო.

– ???

– ჰო, ის მართლაც კარგი მოძღვარი იყო, მაგრამ მას სიამოვნებას ჰგვრიდა მოწაფეთა მის მიმართ თაყვანისცემა მისგან სანიმუშოდ შესრულებული რიტუალების გამო და ღვთის თაყვანისცემა კი მისგან ვერ ისწავლესო, – მიუგო ანგელოზმა.

– მაშ მე როგორღა დავიმსახურე სამოთხეო? – იკითხა მოძღვარმა.

– შენ უარყოფდი მოწაფეთა შენდამი თაყვანისცემას, რადგან

ღვთის ჭეშმარიტ თაყვანისცემას ასწავლიდიო მათ, – მიუგო ანგელოზმა...

როდესაც მორჩილება განხორციელებულია, მაშინ იწყება მეორე სიტყვის ათვისების პროცესი, ანუ მსახურების თვისებათა შექმნა. რატომუნდა, რომ ყველა ყველას ვემსახურებით და ეს მსახურება ყოველთვის უანგარო როდია, ან ყოველთვის როდი ვღებულობთ მსახურებისაგან სიამოვნებას, რომ არაფერი ვთქვათ ბედნიერებაზე.

ვმსახურებთ დამადლებით, ვაჭიანურებთ, ვიდლებით და ვბუზღუნებთ, საქმე ბოლომდე არ მიგვყავს და ასე შემდეგ. ასე რომ პირველი სამი საფეხური ღვთისაკენ მიმავალ გზაზე სამი უმძიმესი სიტყვის ათვისებას ნიშნავს. ეს სიტყვებია: მორჩილება, მსახურება, პატიოსნება. თუ პირველი ორი უკვე ვნახეთ რასთანაა დაკავშირებული, მაშინ პატიოსნებაც ვნახოთ.

თუ ჩვენ საქმის ბოლომდე მიყვანა, მისი ხარისხიანი და დროული შესრულება ვისწავლეთ, პატიოსნების საფუძველიც შეგვიძენია. თუნდაც სიცოცხლის ფასად, ჩვენ სიმართლე უნდა ვთქვათ, საკუთარი უსაფრთხოების მიუხედავად უნდა დავიცვათ სუსტი, ბავშვი, ქალი, მოხუცი... ამასთან ერთად მრავალი სხვა თვისებაც უნდა შევიძინოთ ისეთი, რაც პატიოსნებისაგან განუყოფელია.

აი ამ სიტყვათა საფუძველიანი თვისებები იძლევა იმედს იმისა, რომ მორჩილი მიაღწევს ცათა სასუფეველს.

აღბათ შეიძლება ითქვას, რომ ეს წარმოუდგენლად ძნელია, მითუმეტეს ჩვენს მეტად აშლილ

დროში. დიახ, ძნელია, წარმოუდგენლად ძნელი, მაგრამ ფასობს ის რაც ძნელია. ყველაზე ძნელი კი მოთმინებაა. ყველაზე დიდი ცოდნა იბადება დიდი მოთმინებისაგან და ყველაზე დიდი ადამიანია ის, ვინც ყველაზე მომთმენია. მაგრამ ამას მხოლოდ დიადი სული, დიადი გონება და დიადი გული ღებულობს. საშუალო ცნობიერების ადამიანი კი კმაყოფილია გარეგნული, ფორმალური დებულებებითა და დოგმებით, რომლებსაც აღიარებული მასწავლებლებისაგან, ან რომელიმე კომპეტენტური ხელმძღვანელისაგან ღებულობს და მათ მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებით კმაყოფილდება. მათ სხვისი ჭკუით ცხოვრება ურჩევნიათ, ვიდრე მთელი თავიანთი დრო და ძალა დაუთმონ სწავლას, რადგან როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ მოაზროვნე, საკმარისად წინწაწეულ ოკულტისტს შეუძლია ჩამოაყალიბოს თავისი სამუშაო ჰიპოთეზა რომელიმე საიდუმლოების ამოსახსნელად იმ ცოდნის საფუძველზე, რომელიც მან შეიძინა ხანგრძლივი და თავდადებული შრომის ფასად ფილოსოფიის გარკვეული სისტემის შესწავლისას. ამას ემატება ისეთი აუცილებელი თვისებები, როგორებიცაა ინტუიცია და გრძნობათმცოდნეობა, ანუ რაც იგივეა, ძლიერ განვითარებული გრძნობათმცოდნეობა და ცოცხალი ეთიკა.

მაშ ასე, სიტყვა ჯერ ორი განზომილებით უნდა შევიცნოთ: ერთი შემოქმედებითი და მეორე ზემოქმედებითი განზომილებით, სადაც პირველი ბადებს კონკრე-

ტულ მოქმედებას და მეორე კი მის ძლევა მოსილებას.

სიტყვების შემოქმედებითი ძალა რომელიც სადღეისოდ დავიწყებულა, ანუ

როგორ დაგვავიწყდა ენა.

რათქმაუნდა, რომ ჩვენ დაგვავიწყდა ჩვენი საოცარი ენა, რომელიც უპირველესად ყოვლისა არის სიცოცხლის მოძღვრება, სიცოცხლის სტრატეგია, ბუნებისა და სამყაროს საიდუმლოება და რაც მთავარია ჩვენ დაგვავიწყდა ის, რომ იგი არა მხოლოდ უსასრულო ცოდნის წყაროა, არამედ იმავდროულად იარაღია, რომლის წყალობითაც ადამიანი დაუმარცხებელი ხდება მტერთან თუ ნებისმიერ პრობლემასთან შეხვედრისას. დაავადების დროს აჯანსაღებს და ზრდის ორგანიზმის იმუნიტეტს, მართალია ეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ეს ასეა და განვეწყით საკუთარი ენის აღმოსაჩენად როგორც ქართულში, ასე სხვა ენებშიც.

ვინც აღმოსავლური ორთაბრძოლები იცის, ან ჩინური **ციგუნი**, მათ კარგად იციან ხუთი ფრინველისა და ცხოველის ცეკვა, რომელშიდაც მარცხენა ფეხი – **შველია**, მარჯვენა – **წერო**. მარცხენა ხელი **დათვია** – კოსმოსი, ჰარმონია. მარჯვენა ხელი – ვეფხვი, ცეცხლი. თავი – **მაიმუნი** – ჰაერი, სიბრძნე, ჰერმესი.

ახლა ქართული ენა: ჩვენ ვამბობთ “დმერთო მიშველე,” ანუ ბუნების ქალღმერთის მფარველობას ვითხოვთ, რათა **შველად**

გვაქციოს, ანუ დედამიწის ძლევა მოსილება მოგვანიჭოს. ჩვენ ასევე ვამბობთ, “უფალო შეგვიწყალო” რაც ასევე წყლის ძლევა მოსილების, სიცოცხლის ძალის, მარჯვენა ფეხის – წეროს ძლევა მოსილების მონიჭების თხოვნას ნიშნავს. ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ სიტყვას “მასწავლებელი.” ჩვენს შემთხვევაში ამ სიტყვას მარცხენა ხელთან აქვს კავშირი, რომელიც როგორც ვთქვით დათვია, რაც ალბათ ბელი უნდა იყოს თავისი შინაარსით და რომ გავშალოთ სიტყვა მასწავლებელი ორ ნაწილად, გამოვა სრულიად არა შემთხვევითი **მასწავლე – ბელი!** ანუ მასწავლე **მიკროკოსმოსი** – **ბელი** განსხვავებით დათვისაგან – მაკროკოსმოსისაგან. ასე რომ ხევესური რაინდის შვიდ იაპონურ სამურაიზე გამარჯვება მეომართა ქართულ ხელოვნებაზე მიგვანიშნებს და რათქმაუნდა, სვანეთის განსაკუთრებულობაზეც...

რაც შეეხება თავს (ჰაერი, სიბრძნე, მაიმუნი) ჩვენ ქართველებს გვაქვს საოცარი საიდუმლო, რომელიც დაიკარგა საუკუნეთა სიღრმეში – ხარი, იგი დღემდე განსაკუთრებულად თაყვანისცემის საგანს წარმოადგენს ინდოელთათვის, როგორც მიწიერი ძლევა მოსილების სიმბოლო. არც ჩვენ ვიყავით ამ ცოდნის გარეშე დარჩენილნი, თუმცა მხოლოდ სიმღერებშიდა შემოგვრჩა ამ ძლევა მოსილების, ამ სიმბოლოს თაყვანისცემა – **ჰარი ჰარალი ჰარალო** – მღერის ქართველი კაცი და არც კი იცის, რომ ხარის სადიდებელ სიმღერას, ჰიმნს

მღერის. ამას შორიდან მიგვა-
ნიშნებს საქართველოში ენობრივ
სივრცეში შემორჩენილი ხარის
კულტის მიმანიშნებელი სიტყვები
თუ ფრაზები, ან სადღეგრძელოები:
გაუმარჯოს ხარის ქედს, გუთნის
ღვედს, ცის ნამს, დედამიწის პირის
გახსნას და მშობიარე დედაკაცს.
ასეთი სადღეგრძელოთი ილოცე-
ბოდა უწინ ქართველი კაცი. მკი-
თხველის წინაშე ბოდიშს ვიხდი
იმის გამო, რომ ჯერჯერობით
სიტყვა “მარჯვენა”-ს გაუხსნელს
დავტოვებთ. ამას იმიტომ ვაკეთებთ,
რომ როდესაც მკითხველი დამაჯე-
რებელ მასალას მიიღებს, მაშინ
უფრო მეტად რთულიც აღარ
იქნება ძნელად გასაგები, თუმცა
საფიქრებლად მაინც დაგიტოვებთ
გარკვეულ მასალას: მარჯვენა,
მარჯვე, **მარა** ინდუიზმში
სიკდილის ღმერთია და როდესაც
მარჯვენა, როგორც **მტვეანი**
“დამწიფდება” იგი ხელმწიფე
ხდება, ტარიელი, ვეფხის ტყაოსანი.
მოყვანილ მასალაში ალბათ უკვე
გაჩნდა გარკვეული გაუგებრობა
და ეს ენობრივი პრობლემები,
რათქმაუნდა, რთულად მოგვე-
ჩვენება, თუმცა გზადაგზა მეტი
ნათელი გამოჩნდება და... საოცრად
ბუნებრივად ამეტყველდება ენა.

ძნელია შეურიგდე იმ ფაქტს,
რომ ხშირად თურმე სიტყვა სულ
სხვა რაიმეს ნიშნავს, ვიდრე ჩვენ
გვეგონა. მაგრამ ეს ასეა, სიტყვები
მეტყველებენ მათში ჩადებული
პროგრამის მიხედვით. მაგალითი-
სათვის ავიღოთ სიტყვა “**გაკვე-
თილი,**” რომელიც ჩვენთვის
ნიშნავს ამა და ამ გვერდზე, ამა
და ამ სათაურით სასწავლებლად
განკუთვნილ მასალას. სინამდვი-

ლეში, **გაკვეთილი** ნიშნავს უცნობი
მასალის **გაკვეთას**, **გაკვეთილის**
გახსნას შიგ ჩასახედად და მისი
არსის დანახვას. გამოდის, რომ
გაკვეთილი არის **გაკვეთა**,
განაკვეთის **გახსნა** და არსის
ხილვა **გაკვეთილის** შიგნით... ამას
და მხოლოდ ამას აკეთებს ყოველი
მასწავლებელი, როდესაც უცნობ
მასალას იძლევა. ან, კიდევ სიტყვა
მიყურე. განა მთლიანად არ
არის ეს სიტყვა გაუკუღმართებუ-
ლი? ჩვენ გვეუბნებიან **მიყურე** და
განა ვუყურებთ, ჩვენ ვუცქერთ. არა
და მიყურე ნიშნავს **მისმინე**-ს,
ყურით ნათქვამის მიღებას. ამის
შემდეგ გასაგებია სიტყვა **ყურად-
ღება**, ანუ მოსმენილის ყურით
მიღება, თუნდაც თვალებდახუ-
ჭულმა. ამით ადრე გამოიხატებოდა
მაქსიმალური ყურადღება – კონ-
ცენტრაცია. არ შემიძლიან გვერ-
დი აუარო ჩვენი ენის გამაოგნებელ
განსაკუთრებულობას, რომელიც
მისტიციზმის ორ მიმართულებას
შეიცავს და განასხვავებს მათ:
გონების გზა – **ყურადღება**, და
გულის გზა – **გულადღება**.
იმისდა მიხედვით თუ რაზეა ადა-
მიანი კონცენტრირებული, იგი
შესაბამის გზას განახირციელებს.

ყურადღებით მოსმენის შემდეგ
ჩვენ გვეუბნებიან **გაიგე?** ჩვენ
ვპასუხობთ **გავიგე**. დიახ,
მოსმენილის გაგება ნიშნავს მიღე-
ბულის საფუძვლად მიღებას და
საფუძველი კი ჩვენ ყოველთვის
ფეხქვეშ გვაქვს დაგებული, ანუ
გაგებული ფეხქვეშ.

ჩვენ სულ უფრო და უფრო
ღრმა შრეებზე გავდივართ და
შევეცადოთ სიტყვაში კონსტრუ-
ქციის, სხვადასხვა იდეებისა და

მოქმედების პროგრამის ამოკითხვას. ავიღოთ სიტყვა *განჯიქვა*. რა მოქმედებებს აღნიშნავს იგი?

პირველი ის, რომ ძველ ქართულში *ქო* მარცვალია და *გან-ქო-ქვა* არის მარცვლის გარჩევის პროცესი, როდესაც გან *ქო* და *გან* ქვა, ანუ მინარევის გამოტანა, განცალკევება მარცვლისა და მინარევი პატარა კენჭებისა და ქვებისა ერთმანეთისაგან. სიტყვა *განკითხვა* ასევე გარეშე კითხვით არასწორი ამბის მოტანას ნიშნავს, რაც ალბათ გასაგებია, ადამიანის არასწორი ამბის გამო დასჯას ნიშნავს.

ავიღოთ თვითონ სიტყვა *კითხვა*. აქ ხომ კითხვის ნიშანი, კითხვის დასმა იგულისხმება? *კითხვა*, *შეკითხვა*, რომელსაც ადამიანი თავის თავს დაუსვავს, ითხოვს პასუხის მიღებას ამ კითხვაზე ცოდნის მქონე ადამიანის თუ წიგნისაგან. ავიღებთ ხელში წიგნს და მისგან ვღებულობთ პასუხს დასმულ შეკითხვაზე. ასე რომ, *კითხვა* თვალების სტრიქონებზე ტარების პროცესი კი არ არის, არამედ დასმულ კითხვაზე წიგნიდან თუ მცოდნე ადამიანისაგან პასუხის მიღებაა.

თუ ჩვენ ადამიანს არ ვიცნობთ, ვამბობთ მასზე *უცხო*. ამ სიტყვის მნიშვნელობა მოდის სიტყვა *ცხებული*-დან, რაც ნიშნავს *ქრისტეს* ან *ქრისტიანს* და თუ ადამიანი არ იყო ქრისტიანი, ესეიგი ის არ იყო *ცხებული*, ანუ ის იყო *უცხო* ცხებას მოკლებული ადამიანი. აი ასე გასაგებად ამბობს სიტყვა იმას, თუ რა შინაარსია მასში ჩადებული.

სიტყვა *აურა* ეხლა შემოდის

ადამიანთა სამეტყველო სივრცეში. რამდენად ახალია ის ჩვენთვის და უცნობი? იქნებ არც ისე უცხოა იგი ჩვენთვის?

ჩვენ ვამბობთ: აურაცხელი, ანუ ძალზედ ბევრი, მაგრამ სიტყვა კი სულ სხვას ამბობს: *აურა ცხელი* ანუ მეტად ვრცელი და უკიდებანო ნათელი. იქნებ საეჭვოა? მაშ რატომ ვამბობთ *მეფერე* ანუ ფერით შეეხამე, შეეწყვე და ეამე ფერით? ეს ხომ თანამოსაუბრის აურაში, მის განწყობაში ფერით შესვლას ნიშნავს? ეს სიტყვა იგივე შინაარსით ეხმიანება სიტყვა *ურთიერთობას*. ურ – სინათლეა სანსკრიტულად და *ურთ-იერთ-ობას* ანუ ერთი ნათლის, ერთი იერის მქონე ადამიანთა ერთობას ნიშნავს, რაც მათ დამოკიდებულებათა უზენაეს ჰარმონიას ნიშნავს. გასაგებია, რომ ერთ განწყობაში ერთი და იგივე ნათელია, ერთი აურაა და ერთობაც *ურ-*ისა, ნათლისა, არის *ურთ-იერთ-ობა*. ანუ *ურთიერთობა* ყოფილა ერთი ნათლის მქონე ადამიანთა ერთობა. ამიტომაც რომ, თუ ერთი ცნობიერება არაა, ურთიერთობა არ გამოდის. ან სიტყვა *“იქაურობა,”* ანუ იქ არსებული აურა, იქ *“აურობა”* – იქ მყოფი განწყობა – აურა.

ამ მონაკვეთზე დავამთავროთ, რათა შემდეგ გავაგრძელოთ საუბარი ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე და მხოლოდ ერთს დავამატებთ, რომ ჩვენ არა მხოლოდ სიტყვები აღარ გვესმის, არამედ სიტყვათა ტრადიციული წარმოშობაც დაგვავიწყდა. მაგალითად რაჭკველების ტრადიციული სადღეგრძელო ყოველადწმინდისა

ისევე, როგორც გურულების ტრადიცია მშვიდობის დღეგრძელებისა.

ყოვლადწმინდა ნიშნავს ოთახის, ოჯახის, ქვეყნის ოთხივე მხარეს მეოფი ძღვევამოსილი სულის, მოძღვრის თუ წინამძღვრის არსებობას, რომელიც მიუთითებს ოჯახს, ერს, ქვეყანას სიკეთისაკენ მიმავალ ოთხ გზას.

ამის გაგება არც ისე ძნელია, თუ მკითხველი ათეშგას საოცრებას გაეცნო ამავე ჟურნალის ფურცლებზე... ასე მშვიდობაც, ანუ შვიდობა, შვიდ უხენავს საწყისთან ზიარებაა, ანუ ყოველნაირი სიკეთე. აქაც იგივე რჩევის მიცემა შეგვიძლიან: წაიკითხეთ, ამავე ჟურნალის ფურცლებზე ნარკვევი: “სამყაროს შვიდსაწყისოვნება...”

/თ. თავაძე/

სამყაროს შვიდი სასწაული

მასწავლებელმა ბავშვებს სამყაროს შვიდი სასწაულის დასახელება დაავალა.

დიდი ბჭობისა და სჯა-ბაასის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ სამყაროს შვიდი სასწაული არის შემდეგი შვიდი ისტორიული ძეგლი:

1. ეგვიპტური *პირამიდები*.
2. ინდოეთის მაჰმადიანური ტაძარი, – *ტაჯ-მაჰალი*.
3. *დიდი კანიონი*.
4. *ჩინეთის დიდი კედელი*.
5. *რომის კოლიზეუმი*.
6. *პეტრეს სატაძრო*

კომპლექსი იორდანიაში.

7. ძველი ინკების ქალაქი *მაჩუ-პიკჩუ პერუში*.

მაგრამ ერთ გოგონას დავალება არ ჩაუბარებია მასწავლებლისათვის და საკუთარი შვიდი საოცრების სია, ჯერ კიდევ ხელში ეჭირა.

მასწავლებელი შეეკითხა მას, – შენ რატომ შეიკავე თავი და შენეული ხედე რატომ არ გაბგავანიო?

მასწავლებელმა მას ფურცელი გამოართვა და მისეული შვიდი სასწაული ამოიკითხა:

1. ხედე და *თვალები*;
2. სმენა და *ყურები*;
3. გრძნობა და საერთოდ *მგრძნობელობა*;
4. *ენა, მეტყველება* და *დაგემოვნება*;
5. *სიცილი*;
6. *აღერსი*;
7. *სიყვარული*.

ამ სასწაულთა მოსმენის შემდეგ საკლასო ოთახში მკვდარი

სინუმე ჩამოვარდა. ყველა შინაგანად განიცდიდა ამ მარტივ, მაგრამ გამაოგნებელ აღმოჩენას, იმას რომ ის, რაც უხვმა და კეთილმა მამაზეციერმა გვარგუნა, თითქოს ეს ისედაც ასე უნდა ყოფილიყო და ამიტომ ეს ვითომც და არაფერიაო... ამ დროს კი ეს ყველაფერი ასეთი საოცრება ყოფილა! ჩვენ კი საკუთარ, ადამიანურ “საოცრებებს” ვიკვებებით...

...ეს მართლაც ასეა. ამაზე ჩვენ დაწვრილებით გვექნება საუბარი და ღვთის მრავალ შვიდ საოცრებათა განხილვას ჩავატარებთ, რის შედეგადაც ჩვენ დავინახავთ, რომ სამყაროს შვიდ საოცრებათა ნუსხა მეტად ვრცელია და ...დაუსრულებელიც იმიტომ, რომ მამაზეციერის შეფარვითი სახელია, – **ამოუწურავი!!!**

ასე რომ, სამყაროს შვიდ საოცრებათა მწკრივი არა მხოლოდ დაუსრულებელია, არამედ ყოველი შვიდეული, თავის მხრივ, გამაოგნებელიცაა და შთამბეჭდავიც თავისი სილამაზით. დავიწყოთ იმით, რაც რომის კოლიზეუმზე მეტად ძველია და მნიშვნელოვანი, ასევე იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ჩინური კედელიც და ტაჯ-მაჰალიც ნახსენები როდია კლასიკურად აღიარებულ მსოფლიოს შვიდ საოცრებათა სიაში.

აი ცნობილ, სამყაროს შვიდ საოცრებათა აღიარებული სიაც:

1. *პირამიდები*;
2. *არტემიდას ტაძარი ეფესოში*;
3. *მეზოლეთუმი ჰელიკარ-*

ნასში;

4. სემირამიდას დაკიდებული ბაღები ბაბილონში;

5. ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში;

6. ჰელიოსის ქანდაკება, ეგრეთწოდებული როდოსის კოლოსი;

7. ალექსანდრიის შუქურა, ეგრეთწოდებული ფაროსის შუქურა.

ეხლა კი გავაგრძელოთ მოსწავლე გოგონას აღმოჩენათა თურმე უსასრულო სია. იმედია მკითხველი თავის მხრივ გაამდიდრებს გამჩენისაგან შექმნილი სამყაროს შვიდგანზომილებიანობის უსასრულო სიას. არა და რა მარტივია ბავშვის ეს აღმოჩენა! ჭეშმარიტად! ბავშვები ჩვენი მასწავლებლები არიან და ჩვენს შემთხვევაშიც, რა საოცრად დაგვაფიქრა ამ გოგონამ იმაზე, რაც თავისთავად თითქოს ასე მარტივია და ჩვეულებრივი, მაგრამ თურმე გამჩენის ყველაზე დიდ საოცრებას წარმოადგენს და ჩვენ კი, ჩვენი ადამიანური ქმნილებებით ვტკბებით.

აი რა ბრძანა, ასეთი ბავშვური უშუალობის მქონე ბრძენმა, სამყაროს გოგონასეულ შვიდ საოცრებაზედ...

...ადამიანის სასწაული ასოები დაობდნენ, – არა მე ვარ პირველი და არა მეო.

თვალეები ამბობდნენ: ჩვენ რომ არა, აბა ამ სამყაროს როგორღა იხილავდითო...

ყურებმა სთქვეს: ჩიტების ჭიკჭიკით, ქარის ტოტებში სიმღერით, წვიმის სიმფონიით ან, სულაც უბრალოდ რომ ვთქვათ, მამაზეციერის სიტყვით როგორ დატ-

კებით უჩემოდო...

ცხვირმა ბრძანა: ღმერთების საკვები ნეტარსურნელებაა და ნეტავ რით აპირებთ მირონის უჩემოდ მოხარშვას?! ბილოსდაბოლოს სუნთქვა აღარ გჭირდებათ-ო? ან სულიწმინდა როგორ შემოვა თქვენში უჩემოდ,-ო?..

ენას რა გააჩერებდა თავის დასაცავად სიტყვა რომ არ ეთქვა და მანაც ასეთი რამ სთქვა: კი მაგრამ თუ თავდაპირველად სიტყვა იყო, მითხარით ერთი გეთაყვა, ვინ სთქვა ეს პირველი ღვთაებრივი სიტყვა თუ არა ენამ-ო?! ან რა, დაგავიწყდათ თქვენთვის ასე საყვარელი გრძნობა, – გემოთმამებლობა?!..

ხელებიც დიდ პრეტენზიას აცხადებდნენ: უჩვენოდ არც მოფერება არსებობს და არც ჩახუტება, რომ არაფერი ვთქვათ თავდაცვაზე ან შრომაზე და უჩვენოდ აბა როგორ იქნება-ო?...

რათქმაუნდა რომ ფეხებიც დიდად განაწყენებულნი აცხადებდნენ პრეტენზიას თავიანთ, სრულიად გასაგებ და მართლაც რომ აბსოლუტურ აუცილებლობასა და განსაკუთრებულობაზე...

მაგრამ... მაგრამ ამ დროს ვილაცამ, მეტად მოკრძალებულად და გაუბედევად, ძალიან ჩუმად იკითხა: იქნებ მეც რამეში გჭირდებითო?...

ყველამ მიმოიხედა ირგვლივ და... დაინახეს გული.

კაცო, შენ შენს ადგილას დაეტიე და უკაკუნე შენთვისო, – უთხრეს მას ერთხმად.

კარგით ბატონებო, რა გაეწყობა – სევდიანად ამოიხვნეშა გულმა და დააყოლა: მაშინ მე წავალ, თუ კი

უჩემოდაც კარგად იქნებითო...

მართლაც წასვლა დააპირა და არ იტყვიოთ რა მოხდა?!...

თვალეში დაბნელდა;

ყურები დაიხშო;

სუნთქვა შეიკრა;

ხელ-ფეხი გაშეშდა;

მხოლოდ ისევ ენამ მოასწრო და ძლივს ამოიღულულა:

არ დაგვლუპო, არ წახვიდეო და... გულიც მორჩილებითა და თავმდაბლობით დაბრუნდა თავის საგულეს.

უბედურებამ გადაიარა, ყველაფერი დაწყნარდა, ყველაფერი გაცხადდა, ყველამ უსიტყვოდ აღიარა გული...

...მაშ ასე, მოდით და დავაღაგოთ ყველაფერი ისე, რომ ვიცოდეთ რას ვაკეთებთ? რატომ? რას ვეძებთ? რაა უპირატესი და რატომ უნდა განვიხილოთ შვიდის უსასრულო მწკრივის ხელმისაწვდომო სიმრავლე?

მრავალმა ცნობილმა თუ უცნობმა მეცნიერმა გასცა პასუხი ამ შეკითხვებს და მათ შორის მოვისხენიებთ მხოლოდ პითაგორასა და ომარ ხაიამს.

დავიწყოთ ომარ ხაიამით, რამეთუ მასზე მოკლედ და ასევე არნახულად ტევადად არავის უთქვამს უფლის ძლევა მოსილებაზე.

აი მისი უბრწყინვალესი რუბაიცი:

ეს სამყარო იმართება ოთხით და შვიდით!

ვმორჩილებ მაგიურ რიცხვებს, ვლოთობ და ვხდები მშვიდი,

რამეთუ კარგად ვუწყ, რომ ჩემი თავისუფალი ნება არარაობაა ნებასთან ოთხის

და შვიდის!

...პითაგორა კი გვასწავლის იმას, რომ ეს ოთხი-გულია, რომელშიც გამჩენმა *ტეტრადა*, ანუ *კვადრატი* მოათავსა. გული ღვთის ის ქმნილებაა, რომლის უკეთესი გამჩენს არა შეუქმნია რა. მასში მოთავსებულია ის ოთხი, რომელზედაც ომარ ხაიამი მიგვანიშნებს და ეს ოთხი არის სამყაროს ოთხი სტიქია:

1. *ცეცხლი;*
2. *წყალი;*
3. *მიწა;*
4. *ჰაერი.*

ეს ყველაფერი გულშია და გული ჯერ ორგანიზმს ქმნის, რომლის სიმბოლოსაც წრე წარმოადგენს და ამის შემდეგ იგი აყალიბებს დანარჩენ ექვს ორგანოს. სულ, გულთან ერთად, ორგანოთა რაოდენობა შვიდია, ანუ ისევ საკრალური *შვიდი*:

1. *გული-ცეცხლი;*
2. *ელენთა - მიწა;*
3. *მარჯვენა ფილტვი-ჰაერი;*
4. *მარცხენა ფილტვი-ჰაერი;*
5. *მარჯვენა თირკმელა-*

წყალი;

6. *მარცხენა თირკმელა-*

წყალი;

7. *ღვიძლი - ეთერი, ხე, ბუნება, გულის შემოქმედების მიზანი და შედეგი ერთდროულად.*

განვიხილოთ შვიდეულთა ურიცხვ მწკრივთაგან სხვა შვიდეულებიც.

დავიწყოთ უმშვენიერესი და უძლიერესი ციური სხეულით-*ცისკრის ვარსკვლავით*. მას შვიდი სახელი აქვს;

1. *სადამოს მას ჰქვიან-ესპერ*

–აქედან *ესპერანტო*, ანუ კაცობრიობის განვითარების “საღამო”-ჟამს შექმნილი საერთაშორისო საკაცობრიო ერთიანი სიყვარულის ენა, რომელიც “საღამოს,” ანუ დასავლეთშია შექმნილი;

2. დილით მას *ლუციფერი* – ანუ სხივმფენი – ჰქვიან;

3. *ვენერა*;


4. *ასტარტა*;

5. *აფროდიტა*;

6. *ისიდა*;

7. *ღმერთების დედა*.

ქართულ ანბანში ენით აღუწერელ უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს ასობგერა “ტ” – *ტარი*. მისი კოსმოგონიური განშლა ამ ნახაზზეა გამოსახული, შესაბამისი სრული ინფორმაცია კი, მედეას წინა ნომერშია მოცემული.



ამ ნახაზზე არა მხოლოდ “*პლანეტების კარადია*” გამოსახული, არამედ ამ ნარკვევის “*შვიდობითობის*” დასტურიც.

აი პლანეტების შვიდობითობაც:

1. *იუპიტერი*;

2. *მზე*;

3. *ვენერა*;

4. *მთვარე*;

5. *მერკური*;

6. *მარსი*;

7. *სატურნი*.

მაგრამ ასობგერა “ტ” – *ტარი* ის სასწაულია, რომელიც მაკროკოსმოსსა და მიკროკოსმოსს, ანუ ადამიანსა და მთელს სამყაროს, აერთიანებს. პლანეტები უკვე ვიხილეთ მასში, ეხლა ადამიანის შვიდი ორგანოც დავინახოთ პლანეტების თანმიმდევრობის შესაბამისად და მივხვდებით იმას, თუ რატომ ჰქვიან ადამიანს მიკროკოსმოსი:

1. *ღვიძლი (იუპიტერი)*.

2. *გული (მზე)*.

3. *პირველი თირკმელა (ვენერა)*.

4. *მეორე თირკმელა (მთვარე)*.

5. *მარცხენა ფილტვი (მერკური)*.

6. *მარჯვენა ფილტვი (მარსი)*.

7. *ელენთა (სატურნი)*.

აქამდის მოცემული ყოველი მაგალითით, ჩვენ ვცდილობდით სამყაროს შვიდსაწყისოვნების ამოუწურაობის დემონსტრირებას და ამ მცდელობას ლოგიკურ იმ წერტილამდე გავაგრძელებთ, რომლის შემდეგ მკითხველი თავადაც დაინტერესდება და საკუთარ ძიებასაც დაიწყებს. მანამდე კი გული, როგორც ოთხი სტიქიის საწყისი, სულიერი მდებარელებით შვიდამდე შევაგსოთ. სტიქიათა თვალსაზრისით გული ოთხია, მაგრამ გული სულის სავანეა და იგი სამ სულიერ საწყისს შეიცავს:

1. *მამას*;

2. *ძეს*;

3. *სულიწმინდას*.

გასაგებია, რომ აქაც შვიდოს-

ნობაა ჩადებული, მხოლოდ კი იმას, რომ ეს უზენაესი “**შვიდოსნობა**”-ა, ჩვენ იმით დავინახავთ, რომ სამი სულიერი საწყისი და ოთხი მატერიალური, გვაძლევს **შვიდსაც (3+4)** და სიტყვა **სამ-ოთხე(!!!)-საც**, ანუ სამოთხე ყოფილა **შვიდი!!!**

როგორ შეიძლება ვლავარაკობდეთ სამყაროს შვიდსაწყისოვნებაზე და არ განვიხილოთ სამყაროს ისეთი უნივერსალური სიმბოლო, როგორიცაა **დავითის ვარსკვლავი!** იგი ექვს წვეროს შეიცავს და ცენტრთან ერთად მასში რიცხვი შვიდია კოდირებული.

ნახაზზე მოყვანილ დავითის ვარსკვლავზე თქვენ ხედავთ



ქართული ასომთავრული “**ტ**”-ტარისა და დავითის ვარსკვლავის სრულ ანალოგიას, თუმცა მაინც უნდა ითქვას ის, რომ ინფორმაციულად ასობგერა “**ტ**”-ტარი ამოუწურავია. დავითის ვარსკვლავში თქვენ უკვე ხედავთ იგივე მიკროკოსმოსსაც და მაკროკოსმოსსაც როგორც ეს ჩვენ ასობგერა “**ტ**” – ტარით წარმოვადგინეთ.

მოდით და ბოლომდე შევახსნათ როგორც “ხორცი,” ასევე ხოტბაც სამყაროს ამ უნივერსალურ, სრულიად საკაცობრიო სიმბოლოს...

აქ, დავითთან და მისსავე ვარსკვლავთან, ყოველი სიტყვა

ზედმეტია და მხოლოდ რუსთაველს თუ შეუძლიან ამ გრძნობის გამოსატვა: **ენა და შერების მსმენლისა ყურნიცა დავაღდებიან...**

...ეხლა დროა ”მივხედოთ”



დედას – **დედამიწას**, რომლის სიმბოლოსაც **კუბი** წარმოადგენს.

ქვემოთ წარმოდგენილია კამათელი, ანუ მიწის სიმბოლო, – **კუბი**. მას ექვსი წახნაგი აქვს და ყოველ საპირისპირო წახნაგთა ჯამი უდრის შვიდს, რადგან წერტილები მკაცრი კანონით არიან განლაგებული წახნაგებზე: 6+1=7; 2+5=7; 3+4=7. ჩვენ აქაც საოცრებასთან გვაქვს საქმე: სამი შვიდიანის ჯამი 21-ია, 21 მთავარი არკანია და ის საგულისხმო მინიშნებაც, რომ დედამიწის მატერიალური მარწუხებიდან თავის დაღწევა, – მეშვიდე არკანის საიდუმლოებაა... ერთმა



უდიდებულესმა მეცნიერმა ბრძანა: მაოცებს ზეცის ჰარმონია და ზნეობრივი კანონი ჩემში...

1596 წელს მეცნიერულად იქნა დადასტურებული პლატონის დოქტრინა იმის შესახებ, რომ სამყარო ხუთი სწორი გეომეტრიული ფიგურისაგან შედგება. ეს მეცნიერი, კეპლერი, მეტად აფასებდა სამყაროს არქიტექტონიკის თავისეულ აღმოჩენას. მის აზრს იზიარებდნენ და ასევე დიდად აფასებდნენ უდიდესი მეცნიერები – **ტიხო ბრაგე** და **გალილეო გალილეი**. თუ ხუთ გეომეტრულ ფიგურას მიუმატებთ ფიგურათა შორის ყველაზე სრულყოფილ ფიგურას – სფეროს და ასევე ყოველი ფიგურის საერთო საწყისს – წერტილს – მაშინ მივიღებთ შვიდ კოსმიურ იდეას, როგორც იდეათა დასაწყისს პლანეტათა არქიტექტონიკაში:

1. **დოდეკაედრი;**
2. **ტეტრაედრი;**
3. **კუბი;**
4. **იკოსაედრი;**
5. **ოქტაედრი;**
6. **სფერო.**
7. **წერტილი – ყოველი მოყვანილი ფიგურის ცენტრი.**

თხრობისდა ნაირფეროვნებისათვის, ისევე როგორც მკითხველის კიდევ უფრო მეტად დაინტერესებისათვის შევეცდები ისეთი ნაირფეროვნებით გავაწყო ფაქტები, რომ მკითხველის ინტერესი არ გაგანელო...

აი ამიტომ განვიხილოთ მაგიური კვადრატი 7 მწკრივისა და 7 სვეტისაგან შემდგარი. თუ მკითხველი მაგიურ კვადრატში ნატურალურ რიცხვთა თანმიმდევრობას

22	47	16	41	10	35	4
5	23	48	17	42	11	29
30	6	24	49	18	36	12
13	31	7	25	43	19	37
38	14	32	1	26	44	20
21	39	8	33	2	27	45
46	15	40	9	34	3	28

გაჰყვება (1,2,3,4,5...) 49 მდე, იგი აღმოაჩენს ნებისმიერი კენტი რიცხვების მაგიური კვადრატების აშენების უტყუარ ალგორითმს...

რათქმაუნდა საჭიროა თუნდაც ზედაპირული ანალიზი ჩაუტაროთ შვიდიანზე აწყობილ ამ მაგიურ კვადრატს...

რიცხვთა ჯამი სტრიქონებში, სვეტებსა და დიაგონალებში უდრის 175-ს მაგრამ ამ შემთხვევაში დროებით დავივიწყოთ სიმარტივე და ჩავიხედოთ რიცხვი 175-ის მაგიურ სიღრმეებში.

1 – მონადა, წერტილი და წრე, ორგანიზმი.

7 – შვიდი ორგანო (შვიდი პლანეტა.)

5 – ადამიანი.

ადამიანი კი გულია და რიცხვი 175-ს მისტიური წონაც უდრის 4-ს ანუ გულს (1+7+5=13; 1+3=4)...

სიცოცხლე არის ქაოსიდან სრულყოფილებამდე განვითარება, რაც თავის მხრივ ხუთ ნაწილად არის დაყოფილი, რომლებსაც ჩვენ მატრიცებს ვუწოდებთ.

1. **ქობი** – პირველი საწყისი, საიდანაც იწყება შემოქმედება.

2. მატრიცათა შორის პირველი მატრიცა 1-დან 10-მდე – **მინერალები**;

3. მეორე მატრიცა 11-დან 20-მდე – **მცენარეები**;

4. მესამე მატრიცა 20-დან 30-მდე – **ცხოველები**;

5. მეოთხე მატრიცა 30-დან 40-მდე – **ადამიანი**;

6. მეხუთე მატრიცა 41-დან 49-მდე – სულიწმინდის 9 ნობათს ნაზიარევი **ზეადამიანი – ბიბლიური დავითი**;

ამის შემდეგ ავტომატურად მოდის **მონადა – 1, ქრისტე**, რიგით... **მეშვიდე**, რადგან ყველაფერი სათვალავით ქაოსიდან, როგორც პირველსაწყისიდან იწყება. აი ასეთ საოცრებას წარმოადგენს ეს შვიდზე აგებული მაგიური კვადრატი, უზენაესი მატრიცათა შორის.

თუ ბერძნულ ფილოსოფიას მოვიშველიებთ, მაშინ გავიხსენოთ რომ ქაოსი კოსმიური გონის სამუშაო ობიექტია და გადაამუშავებს რა ქაოსს, შედეგის სახით იგი იძლევა კოსმოსს.

ქაოსში იგულისხმება უმეცრება, ანუ მოუწესრიგებლობა, ულამაზობა, სიმდაბლე და... 666, ეგრეთ წოდებული მხეცის რიცხვი **გონი თავის მხრივ არის ღმერთი**.

გონის შემოქმედების შედეგს კი წარმოადგენს **კოსმოსი–სილამაზე, წესრიგი, კარმონია!!!**

თუ დავალაგებთ ნათქვამს გამოგვივა: **ქაოსი–გონი–**

ქრისტე!!!

ასე რომ გონი,– ხუთი მატრიცა, **ქაოსი** და **ქრისტე**, რაოდენობით აქაც უდრის **შვიდს(!!!)**

მატრიცის სტრიქონების რიცხვთა ჯამი, როგორც ითქვა, უდრის 175-ს. 175-ის მისტიური წონა უდრის 4-ს, ოთხი კი გულია...აი რა ყოფილა შვიდიანის მატრიცა!... მართალია ამ მატრიცის შესახებ გამოკვლევა მხოლოდ მიგანიშნეთ, მაგრამ მისტიკოსი, ან მათემატიკოსი შესაძლოა მეტად დაინტერესდეს ამ საკითხით.

მისტიციზმში ცნობილია, რომ გულში შვიდი გონებაა და გონებაში კი შვიდი გული. ამ შემთხვევაში ურიგო როდია გავიხსენოთ და დავფიქრდეთ კიდევ შოთას გამონათქვამზე:

გული ნება და გონება ერთმანეთზედა ჰკიდებიან...

მინდა კიდევ რამდენიმე მაგალითი შემოგთავაზოთ და ამით შემოვისაზღვრო, რამეთუ სამყაროს შვიდსაწყისოვნებაში ფეხის შედგმა მოხდა და მკითხველი სიამოვნებითა და დიდი ინტერესით შეუდგება ამ უსასრულოობის მრავალ საიდუმლოთა გახსნას. იმედია მრავალი მეცნიერულად ღირებული აღმოჩენაც გაკეთდება, რომელთა შორის, ალბათ ნობელის პრემიის ღირსი აღმოჩენებიც გექნებათ...

ცნობილია, რომ პითაგორა, განსწავლულობითა და ცოდნით საკმარისად განათლებულ მოსწავლეს საკუთარი სახელით აძლევდა განდობას...

...ეგვიპტეს პირამიდის კედლებზე იეროგლიფთა შორის



იყო ამ ნახაზზე მოცემული უცნაური ნიშნები: ამ სამი ნიშნის შინაარსი, როცა გაიშიფრა, ასეთი რამ გამოვიდა;

3 1 4

თავისთავად გასაგებია, რომ ეს არის 3,14 და... პითაგორას სახელის პირველი მარცვალი

ღ -პი.

ამას კი ყურადღება არ მიაქციეს. იმისათვის რომ ჩავწვდეთ პითაგორას სახელში არსებულ, განდობის მატარებელ საკრალურ ცოდნას, ვისარგებლოთ ამ უდიდესი ადამიანის სახელის რუსული დამწერლობით: **პი-ფა-გორ.**

აშკარაა ამ სამი მარცვლის ეხოთერული შინაარსი: პირველი მარცვალი გაშიფრულია; მეორე მარცვალი ფა – ბანის გასაღებია და ცეცხლი–”1,” მონადა. გორი –იზიდასა და ოსირისის შვილი –ჰორი.

“ღ”-3,14 მაგრამ გრადუსებში ეს ნიშნავს 180°, დიახ სამკუთხედი არის–“პი”-კონსტანტა, არხე, რადგან ის ყოველთვის 180° შეიცავს. გამოდის რომ ეგვიპტურ იეროგლიფებს სხვა შინაარსიც ჰქონიათ?!

დიახ.

ეს შინაარსი გახლავთ ის, რომ გამჩენის მთელი შემოქმედება, ქმნილება და არქიტექტონიკა ჩადებულია ამ სამ იეროგლიფში...

...სამკუთხედი არის ის ძირეული შემოქმედების ერთეული

რომლითაც გამჩენი აქანდაკებს სამყაროს და სამკუთხედის კიდევ ერთი შინაარსია 180°, ანუ **ნახევარრკალი, არხე**, რომლითაცაა აშენებული ასობგერა “ტ”-ტარი-ს...სამ ნახევარი წრე!!!

შემოქმედი არის მონადა, ერთი “P”, მხოლოდ შობილი “მე,” ცეცხლი ანუ “ფა” (“პი”-“ფა”-“გორ”) და ბოლოს კვადრატი. კვადრატი ორი სამკუთხედიანაა $\delta + \delta = 2\delta$ კვადრატის კუთხეთა ჯამია 360°, ანუ წრე რაც ორგანიზმის სიმბოლოს წარმოადგენს, ჩვენს შენთხვევაში ტარი!

კვადრატი არის გული. ამის შესახებ თვითონ პითაგორა ბრძანებს: გამჩენმა ჩვენს გულში ჩადო ტეტრადა.” ტეტრადა კი ცნობილია რომ ოთხ სტიქიას წარმოადგენს: ცეცხლი “1,” მიწა “2,” ჰაერი “3” და წყალი “4,” ანუ გული, იგი თავის მხრივ მხოლოდშობილი ძეა, ეგვიპტურ რელიგიაში მას ჰქვიან “გორ”-ი. ქრისტიანობაში, იგი ქრისტეა, ინდუიზმში კი,– “ავნი.”

ადამიანის ორგანიზმის ძირითად საიდუმლოებას წარმოადგენს მისი ოკულტური, ფსიქიური ძალა, სპირალურად დახვეული კუნდალინი, რომელსაც სამნახევარი ხვია აქვს. სამნახევარი ხვია არის სამი წრე და ნახევარი ანუ 7 δ !!! აქაც შვიდი და გარდა იმისა, რომ “შვიდი” ბრძანებს “შვი”-“დი” ანუ “დ” (რაც მზეს ნიშნავს და “ი” სრულყოფილებას) ანუ სრულყოფილი “დ” – მზე. განათვით ასობგერა “შ” არა ჰგავს ხელის აუღებლად დაწერილ შვიდიანს “7”? ეს ეჭვგარეშეა, რადგან ჩვენი ენა ადასტურებს რომ “მშვიდობა” არის შვიდობა

და დამშვიდება კი დაშვიდება ანუ სრულყოფილებაში “სიმშვიდეში” დაბრუნების ნიშანი.

იმათთვის ვისაც ოკულტიზმი აინტერესებთ, ამ მასალას, რასაც ეხლა მოგახსენებთ, მათთვის ვწერ, სხვებს, ეს მომდევნო სტრიქონები, შეუძლიათ გამოტოვონ.

წრე სრულყოფილი, სწორი, უსასრულო მრავალკუთხედის ზღვარია, ანუ წრე სრულყოფილი ფიგურაა, სფერო სრულყოფილი სხეულია.

ელლიფსს ორი ცენტრი, ეგრეთწოდებული ფოკუსები ახლავს. რაც მეტად დაცილებულია ფოკუსები ერთმანეთს მით არასრულყოფილია ფიგურა და პირიქით, ზღვარში როდესაც ფოკუსები შეუერთდებიან ერთმანეთს, ელიფსი სრულყოფილ წრედ გარდაისახება. ფოკუსები მისტიურად დიდი და პატარა “მე”-ა. ელიფსის სრულყოფილება იზრდება როდესაც მანძილი ფოკუსებს შორის მცირდება, ანუ პატარა”მე” უახლოვდება დიდ “მე”-ს. მათი შეერთებისას ადამიანი ხდება **სრულყოფილი** იმიტომ, რომ წრეში ჩახაზულ ფიგურათა ყველაზე იდეალური ფიგურა... **შვიდკუთხედი და მას ელიფსში ვერ ჩაწერ.** ასე რომ სრულყოფილი ადამიანი, მისი ორგანიზმის შვიდი ორგანოს სრულყოფილების შედეგია...

...დიდი დათვის თანავარსკვლავედში 7 ვარსკვლავია და ინდუიზმით კი ეს 7 ბრძენია. ასევე მათ მეუღლეთა “**კლეადების**” თანავარსკვლავედშიც 7 **ვარსკვლავია**...

დანარჩენი უსასრულო შვიდსაწყისოვნება მკითხველმა გააგრ-

ძელოს და მე, დავასრულებ იმით, რომ ყოველი სასრული არსებობისა და მეორე ხარისხოვან მიზეზთა მიღმა, ყოველი კანონისათუ იდეის იქეთ არსებობს **გონება** ანუ **ჭკუა (სული)** – პირველი ყოველ პრინციპთა შორის, უზენაესი იდეა რომელზედაცაა დაფუძნებული ყველა სხვა დანარჩენი იდეა. მასზეა დაფუძნებული სხვა ყველა იდეა, იგია სამყაროს ხელისუფალი და კანონმდებელი, ერთიანი სუბსტანცია, რომლისგანაც ყოველმა საგანმა მიიღო თავისი, საკუთარი დასაწყისი და არსი; მიზეზი ყოველი წესრიგისა და ჰარმონიისა, სილამაზისა, სათნოებისა და უპირატესობისა, რომლებითაცაა განმსჭვალული მთელი სამყარო და რომელსაც მისდა სადიდებლად ეწოდა

უზენაესი სიკეთე, –

ღმერთი ყოველსა ზედა. იგია გონება, არა “**ჭეშმარიტება,**” არამედ “**მამა მისი**”. თუმცა საგანთა ეს მარადიული არსი არ აღიქმება ჩვენი ფიზიკური გრძნობებით, იგი მაინც შეცნობადია იმ გონიერთათვის, ვინც არაა ჭირვეულად ბრიყვი. “თქვენ – უთხრა იესომ თავის რჩეულ მოწაფეებს, – ცათა სასუფეველის საიდუმლოს შეცნობის შესაძლებლობა მოგეცათ, იმათ კი არა. ამიტომ ვესაუბრები მათ იგავებით, რადგან ისინი უცქერენ და ვერ ხედავენ და უსმენენ და არ ესმით და ვერცა გებულობენ რას” (მათეს სახ. 8.11-13).

შვიდობის გულისათვის გავიხსენოთ ის რომ “გულში შვიდი გონია და ტვინში კი შვიდი გული.”



ამით თქვენ მიიღებთ საშუალებას
ჩაწვდეთ “გულის წმინდათა
წმინდას” და ტვინის უზენაეს შრე-
ებს სადაც იმყოფება გონება—
ერთობა წმინდა გულსა და წმინ-
და გონებას შორის...

- 7 დღე კვირაში;
- 7 ბოროტი სული;

-7 კეთილი სული...
-ბაბილონის გოდოლის,—
ზიკურატის (ვარსკვლავთა
სამეთვალყურეო)—7 სართული.
- სამყაროს დმერთისაგან 7
დღეში შემოქმედება.
- 7 ცოდვა.
- 7 სათნოება.
- 7 საიდუმლოება... და ასე
უსასრულოდ!

/თ. თავაძე/

მიშა გადადექი!

*(“პამფლეტის” დასასრული)
“მრავალი გამოჩენილი ადამიანი
მარადიულად დამკვიდრდა მისი
უდიდებულესობის-ისტორიის ფუ
რცლებზე და მტრები და აუვის
მიქმელნი აღარავის ახსოვს.”
/ნოლაპიო/*

ამ “პამფლეტის” პირველი ორი ნაწილის სათაური დღეს, ამ მესამე ნაწილში საბოლოოდ ჟღერს, რადგან ვამთავრებთ ამ “პამფლეტს”, – თავისუფლების მოედანზე სამუდამოდ დასამარდა რუსეთის ჩაგვრის ეპოქა და 9 აპრილიდან დაწყებული ბრძოლა სამუდამოდ დასრულდა 2011 წ. 26 მაისის 00 საათზე და 15 წუთზე. ეს იყო ბრძოლა ერის სიბრძნის საკუთარივე უმეცრების წინააღმდეგ და შემთხვევითი როდია რომ ბნელეთის ბობოქარი, შავბნელი ტალღების თარეში 1991 წლიდან 20 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ნელ-ნელა იკრებდა ერი საუკუნოვანი სიბრძნის ძალებს და ნათელმა გაიმარჯვა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! **ამინ!**

რადგან ყოველი ადამიანი ბრძენია და იმავდროულად უმეცარი, გასაგებია, რომ საჭიროა იმ ცენტრის, იმ საპირწონე პიროვნების შექმნა, რომლის ირგვლივ მისგან გავრცელებული სიბრძნე უნდა გადმოიდვაროს. საქართველოს დასნებოვნება მოხდა იმ ვირუსით, რომელსაც კანონიერი ქურდი ერქვა და შესაბამისი მენტალიტეტი, ქურდული გაგება, ყველაფრის “კაჩაობით” მიღწევა

და ამოყირავება, სათავისოს გატანა, – გახდა საქართველოს გადაულახავი სენი და ერმა ბნელეთისაგან შეიძინა გონების სრული დეგრადაციის ქუჩურ-ქურდული, დანაშაულებრივი ნარკოტერმინოლოგია, რომლის ბოლო ნაშთები დღეს ჯერ კიდევ ისმის ერში გავრცელებული, თავმომწონეთ ნათქვამი სიტყვით “ბაზარი არაა...” ამ ენაში და ამ ცნობიერებაში შეღწეულმა ენით აღუწერელმა სიმდაბლემ გადაგვარების გზაზე მიიყვანა საქართველო. საქართველო პატრონის გარეშე დარჩენილი, სულს ღაფავდა ბნელეთის ხელში ჩავარდნილი და მისი ტერიტორიები უკვე იოლად ჩასაყლაპი ხდებოდა.

აი ამაში იყო ილიას ყველაზე დიდი ხედვა და მან ერი გააფრთხილა: “...ცეცხლითა და მახვილით მოსულებს გავუძელით, მაგრამ შრომითა და გარჯით მოსული ისე გამოგვაცლის ფეხქვეშ ნიადაგს, რომ სახსენებელსაც დაგვავიწყებს”-ო.

მაგრამ ერში, როდესაც მას შავი ჭირი დაეტაკება და მის კატასტროფას გარდაუვალს გახდის, უკვდავი საწყისი-სიბრძნე იღვიძებს. აი ამ დროს ერთმა ადამიანმა, – რომელმაც მთელი სიცოცხლე უჩინმაჩინის ქუდით, უჩინარად განვლო მთელი საბჭოური ეპოქა ისე, რომ მტერს, მთელს სისტემას თვალები აუხვია, სისტემა დაშალა, მთელი მსოფლიო გადაარჩინა, ოღონდ საკუთარი სამშო-

ბლო კი ვერა და ვერ გამოგლიჯა მტერს ხელებიდან, რადგან ზომბირებულნი ქვეყანა არ ემორჩილებოდა მას და კვლავ გარეშე ძალებიდან იმართებოდა, – მან ისევ უჩინმაჩინის ქუდი დაიხურა და ხილული, კვლავ უხილავი გახდა, ამჟამად უკვე საკუთარ ერშიც. მან ამჯობინა კვლავ ზიზღი და სიძულვილი მიეღო საკუთარ თავზე და ერთხელ უკვე მსოფლიოს შეწირული, ეხლა უკვე საკუთარ ერს შეეწირა. იგი კვლავ ეროვნულ სიბრძნეს მიმართავს და შავი ჭირის, – ქურდული კლანების, მათი მენტალიტეტის, განუკითხაობის, დანაშაულის ენის და საერთოდ სიბრიყვისა და უმეცრების წინააღმდეგ, – ქმნის ეროვნულ საპირწონეს. ეს მან ორჯერ მოახერხა, – ერთხელ სსრკის დასაშლელად და მეორედ საქართველოს შავი ჭირის სენისაგან გადასარჩენად იმიტომ, რომ მას საკუთარი, პიროვნული, სწორი ფილოსოფია ჰქონდა შექმნილი...

...მან, მან მოახერხა, საკუთარი პიროვნების მიმართ სიძულვილის სრული უგულვებლყოფით, ისეთი მომზადებული გუნდის შექმნა, რომ, როდესაც მათ ოსტატურად, თითქმის უმტკივნეულოდ, გადასცა ხელისუფლება, სათავეში მოიყვანა ისეთი გუნდი, რომელიც უცხოეთში მიღებული ცოდნით ელვისებურად ქმნის სახელმწიფოს და მისთვის საჭირო ყველა სახელისუფლებო ინსტიტუტებს და ...იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომლის მხოლოდ მწირი ფრაგმენტებია მოყვანილი ჩვენი ამ “პამფლეტის” სამივე ნაწილში. ამ “ინკოგნიტო” პიროვნებამ ხელი-

სუფლების გადაცემის დასკვნით ნაწილში ოსტატურად გამოიყენა ერის, საკუთარი პიროვნების მიმართ სიძულვილი, და ამით კიდევ უფრო შეკრა იგი თავისი “ვითომ ოპონენტის” ირგვლივ. მან იცოდა რას აკეთებდა რადგან ერი ჩააბარა იმას, ვინც სიბრძნის ძალა დაუპირისპირა პირწავარდნილ, ავად-ხსენებულ უმეცარ-ქურდულ მანტალიტეტს.

ამ ახალმა ლიდერმა ნათლად დაგვანახა ის, რომ ვერცერთი ერი, მართლაც რომ ვერ იქნება წარმატებული, ვიდრე იგი არ შექმნის ეროვნული წარმატების ფილოსოფიას და არ მიუძღვნის მას მთელს თავის უმტკიცეს პოლიტიკურ ნებას, პოლიტიკას, რომელიც ამ ფილოსოფიასთანაა დაკავშირებული.

ასეთი ფილოსოფია ერის წიაღში იყო დავანებული სააკაშვილმა იგი გაადვილა და გააუღერა ერის ღირსების, მხედრული სულისკვეთების, ცოდნისა და სიბრძნის, პატიოსნებისა და მეცნიერების, რელიგიათა ტოლირანტობისა და ეროვნული თანხმობის სახით და არნახულად მოკლე ვადებში ზღაპრის რეალიზება განახორციელა. ასეთი საქართველო, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, – ასეთი საქართველოს ხვალისდელი დრო – ოქროს ხანაა, ეს ჭეშმარიტად ფენიქსის აღორძინების ტოლფასი ფენომენი ჩვენ დავინახეთ, როდესაც ურჩხულმა სული დალია და სამუდამოდ წავიდა საქართველოდან 26 მაისის 00 საათსა და 15 წუთზე 2011 წელს, და იმავე დღის 11-00 საათზე საქართველოს ოქროს ხანის დასა-

წყისის სამხედრო აღლუმიც შესდგა.

...გასული ღამის ტრაგედიის მიმართ პრეზიდენტმა დიდი ღირსებითა და პატივისცემით ქედი მოიხარა, პატივი მიაგო ყველა დაღუპულს და უხილავი პანაშვიდი აღასრულა ქვეყნის წინაშე, სუბიშვილების უღამაზეს და გრანდიოზულ ხორუმზე უარის თქმით, რითაც მან უხილავად დახარა ეროვნული დროშები გადატანილი ტრაგედიის მსხვერპლთა პატივსაცემად... და დროშები ისევ აღიმართნენ, – შემდგარი საქართველოს სამხედრო აღლუმით, რამაც საქართველოს ისტორიაში ახალი უბრწყინვალესი ფურცელი გადაშალა.

დღეს ყველამ უნდა დაინახოს, რომ შემთხვევითობა აბსურდია, რამეთუ დღიდან გაპრეზიდენტებისა, სააკაშვილი ერთ ძირითად იდეას ანვითარებდა – “ქართველები ძალიან ნიჭიერი ხალხი ვართ”-ო და ის, რაც ერის აქილევსის ქუსლი იყო, ერის დიდებად გარდასახა. საუბარია იმაზედ, რომ რუსეთი, ერთმთლიანი დიდი ერი, იყენებდა თავის ყველაზე დიდ, თითქოს და “უპირატესობას” და პატარა ეთნოსებს, “განთავისუფლების” სატყუარათი ყლაპავდა უკვალოდ. ასე დაემართა ჩრდილო ერების მრავალ წარმომადგენელს ნენცებს, ნანაიცებს, კორიაკებს, ჩუკჩებს და სხვა... ასე შეეცადა იგი მოლდავეთის მიმართაც და გაყო... მოლდაველებად და გაგაუზებად, დნესტრის პირიქითა და პირაქეთა მოლდავეთად და დღემდე უჭირავს ორთავიან არწივს თავის კლანჭებში დაქუცმაცებული მოლდავეთი.

...ყირიმში თათრები, დონბასში რუსები აუმხედრა უკრაინელებს, და დღემდე აზანზარებს მას.

ამ მხრივ საქართველოს მრავალეთნოსურობით და კუთხურობით ყველაზე ღირსეულმა და უღამაზესმა თვისებამ კატასტროფის წინაშე დააყენა ქვეყანა. რუსეთი სურამის უღელტეხილით საქართველოს ორ ნაწილად გახლეჩას როდი ჯერდებოდა, მას კახეთის, ქართლის, აჭარის, იმერეთის და ა.შ. გუბერნიებად დაშლა ჩაიფიქრეს, რათა ლუკმა-ლუკმა მიერთვა თვითმარქვია ვასალებად დაქუცმაცებული საქართველო. გვახსოვს მათი “დიდი იმედის” მომტანი გამამხნეველებელი მიმართვა: *‘Ū àñ àñàò ñiàñ, ò...’*

აი ასეთი დაქუცმაცებული, ჩასაყლაპავად გამზადებული, “აქილევსის ქუსლი”-ს სენით სნეული საქართველო შეკრა სააკაშვილმა ქართველთა ნიჭიერების აღიარებით და ერის ეთნიუკრი მრავალფეროვნება კვლავ გაბრწყინდა ქვეყნის სადიდებლად და ძღვევამოსილ ერთობად, როგორც ა.შ.შ.–ში. ამერიკის შტატები ხომ რასობრივი და ეროვნული ერთობის ძღვევამოსილების მსოფლიო მაგალითია!

ასე მოახერხა სააკაშვილმა და მრავალეთნოსობითა და კუთხურობით მდიდარი საქართველო შეკრა ებრაელებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, ბერძნებთან და სხვა მრავალ ერთან ერთად მსგავსად ა.შ.შ.-ისა, ერთიანი ნიჭიერი სახელმწიფოს სახით – **მრავალეროვანი საძმო – სრულიად საქართველო!**

ასეთნაირად, დროულად შეკრა

პრეზიდენტმა გათიშულ ეთნოსთა ინდივიდუალური ცნობიერების ფრაგმენტები და ერთიან, ეროვნულ ცნობიერებაში მოაქცია. ეს, და მხოლოდ ეს წარმოადგენს

საქართველოს გამარჯვების აბსოლუტურ რეალობას და ველოდებით აბხაზებისა და ოსების გულში ჩახუტებას დედა საქართველოში!



მიშა დადექი!

მიშა მაგრად დადექი!!!

შენ გამარჯვებული ხარ და გამარჯვებულებს არ
სჯიან!!!

ჭეშმარიტება ბავშვის ენით ლაპარაკობს!

ჩვენი კრისტალები. კრისტალური ბავშვები.

კრისტალები – ღვთის დესპანები არიან. ყოველი მათგანი, ამალღების მიმდინარე ამ მეტად მნიშვნელოვან მომენტში ჩვენდა დასახმარებლადაა მოსული. თავისი ნათლით კრისტალები თვით პლანეტასაც დაეხმარებიან მისდა ასევე ამალღებისათვის.



რა ურთიერთობაა საჭირო იმისათვის რომ გაუგოთ ბავშვს, რათა დაინახოთ ის, თუ რისი ჩვენება სურს მას ჩვენთვის? კრისტალები ჩვენი ბრძენკაცებია. მათ ყველაფერი იციან, ყველაფერს ხედავენ. მათი თვალები, ვით უწმინდესი ის კრისტალური წყალია, რომელშიც განიწმინდება და განიბანება ნებისმიერად დაცემული სული. მხოლოდ ჩახედეთ ამ თვალებს და ყველაფერი ნათელი და გასაგები გახდება. იმ თვალებში თვით სიბრძნის ქალღმერთის სიბრძნეა ჩადებული და ძალა მამაზეციერისა.

კრისტალური ბავშვები ჩვენთან სხვადასხვა გალაქტიკებიდან და სხვა და სხვა პლანეტებიდან არიან მოსული და ყოველი მათგანი თავისი მისიითაა მოვლენი-

ლი. ყოველ მათგანს თავისი ამოცანა აქვს და თავისი ადგილი გააჩნია ამალღების ამ მომენტისათვის. ზუსტად ამ მომენტისათვის ისინი ჩვენდა მოსამზადებლად მოვიდნენ. ბრძოლის დროს ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით და კრისტალები უმთავრეს როლს აიღებენ საკუთარ თავზე. თავისი სინათლით ისინი აღამალღებენ ჩვენს პლანეტას.

როგორი ურთიერთობა უნდა დაამყარონ მშობლებმა ჩვენს ამ პაწაწინა ბრძენთაბრძენებთან? უპირველეს ყოვლისა მშობლებმა უნდა დაინახონ და შეიგნონ ის, თუ ვინ დგას მათ წინაშე. მათ წინაშე ბავშვი და ზრდასრული ბრძენია ერთდროულად. იგი მზადაა პასუხი გასცეს თქვენს ყოველ შეკითხვას სიტყვით, ტელეპატიურად, მოქმედებით, მიმიკით, შესტებით და ა.შ. უბრალოდ დააკვირდით მათ და ისინიც ყველაფერს გიჩვენებენ და მოგითხრობენ. ესეა კრისტალების სახით მოველინენ ყველა ჩვენთაგანს ბრძენი მასწავლებლები, სულიერი მოძღვრები და თანაშემწენი. დახმარების მისაღებად საჭიროა მათთან ურთიერთობა. უპირველესად ყოვლისა კრისტალები უნდა გიყვარდეთ და მიიღოთ ისინი ისეთებად, როგორებიც არიან, მიუხედავად იმისა იცნობთ თქვენ ბავშვს თუ არა. ერთმანეთთან ბავშვები ურთიერთობენ ტელეპატიურად ისევე სრულფა-

სოვნად, როგორც შენ ურთიერთობ ერთ რომელიმე ბავშვთან და შენც ზუსტად ისეთივე ურთიერთობა გაქვს პლანეტის ყველა დანარჩენ ბავშვებთან, თუმცა ამას ვერ აცნობიერებ. ამიტომ, თუ ერთ რომელიმე ბავშვთან შედიხარ კონტაქტში, ამით შენ ყველა ბავშვთან ამყარებ კავშირს. გიყვარს ერთი ბავშვი, მაშასადამე გიყვარს ყველა ბავშვი. თუ ერთ რომელიმე ბავშვს არ ღებულობ, მაშასადამე არ ღებულობ არცერთს და რათქმაუნდა, რომ ბავშვებთან ერთად თვით ღმერთსაც. იმიტომ რომ კრისტალები ყველაფერს ხედავენ და ყველაფერი იციან, ამიტომ ვერ გაექცევი მათ ისევე, როგორც ვერ გაექცევი ღმერთს და საკუთარ თავს.

თუ ბავშვი რაღაცას გთხოვთ, საჭიროა ყველაფერი გააკეთოთ ისე, როგორც იგი ითხოვს ამას, რადგან იგი უბრალოდ როდი გთხოვს, არამედ იგი ამით რაღაცას განიშნებთ, რაღაცას გიჩვენებთ. მიჰყევით მას კვალდაკვალ, ნურაფერს დაუშლით, გააკეთოს რაც სურს. ნუ აუკრძალავთ მას ამ ქვეყნის ცქერით ტკობას, უჩვენეთ მას იგი, მისთვის ყველაფერი ხომ სიახლეა. მართალია ეს თქვენთვისაა მოსაბეზრებელი, მაგრამ ყოველივე ეს პირველად ხდება მის ცხოვრებაში. მიუშვით იგი, დაე იჯეროს გული თამაშით. თუკი თქვენი თვალსაზრისით რაღაც აბსურდულია მის თამაშსა თუ საქციელში, აუხსენით მას ის, თუ რატომ არ ღირს ამის გაკეთება და ბავშვი ამას მიხვდება, ყველაფერს იგრძნობს. ამიტომ იგი უარს იტყვის თავის საქციელზე თუკი დანამდვილებით დაუმტკი-

ცებთ მას თქვენს აზრს.

არასოდეს არ განახორციელოთ ზეწოლა ბავშვზე, მათი ძალა თვით ღმერთის ძალაა, ამიტომ ნუ ეთამაშებით ღვთის ძალას, რამეთუ შედეგები შესაძლოა თქვენს სასარგებლოდ არ დასრულდეს. ბავშვი თქვენთან გულით ურთიერთობაში შემოდის. ვისაც გული გახსნილი აქვს სიყვარულისათვის მხოლოდ ის შეძლებს ბავშვთან ერთმთლიანობას, და აღარ დაგჭირდებათ ბავშვთა ფსიქოლოგები, რადგან თქვენი ბავშვი თქვენი პირადი ფსიქოლოგია. თქვენს თვალწინ სულის ჭეშმარიტი მკურნალია. მიუჯექით გვერდში, მოეხვიეთ, აკოცეთ, უთხარით მას, რომ იგი ყველაზე კარგია და ყველაზე ძვირფასი თქვენთვის, რომ იგი თქვენი განძია, თქვენი მზე და მთვარე ერთდროულად. უთხარით თუ როგორ აფასებთ მას, როგორ გიყვართ, რა საყვარელია თქვენთვის. მშობლები წარამარა უნდა ეუბნებოდნენ ამას საკუთარ ბავშვებს: ჩვენ გვიყვარხარ, რა კარგია, რომ შენ გვიყვარხარ და თქვენ დაინახავთ, რომ ყველაზე ძვირფას საჩუქარს იგი თქვენთვის გააკეთებს, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ იმას, რასაც ის გააკეთებს თქვენთვის. თავისი თქვენს გვერდში ყოფნით იგი გამშვიდებთ თქვენ, საკუთარი სინათლით გასუფთავებთ თქვენ. იმას რასაც იგი ყოველთვის აკეთებს, ასევე ყოველთვის როდი იგრძნობთ, თუკი თქვენი მეოთხე ჩაკრამი, სიცოცხლისადმი სიყვარულის ჩაკრამი, *ღმერთის ჩაკრამი*, – *ანუ გული*—ჩაკეტილია. რაც მეტად რთული ურთიერთობა გაქვთ ბავშვთან, მით უფრო ძლიერად ხსნის

იგი თქვენს გულს და აღვიძებს მას. თუკი ჩაკრამი გახსნილი გაქვთ, მაშინ ბავშვთან ურთიერთობის პრობლემაც არ გექნებათ. თქვენ უბრალოდ ხარობთ იმით რომ ასეთი საოცრება გყავთ.

როგორ უნდა გაუგოთ ბავშვებს?

უპირველესად ყოვლისა საკუთარი თავი უნდა შეიყვაროთ, უნდა შეიყვაროთ ღმერთი საკუთარ გულში, უნდა შეიყვაროთ მთელი სამყარო. საკუთარი თავის სიყვარულით თქვენ შეიყვარებთ ადამიანს და ადამიანებს შეუყვარდებით თქვენ. სიყვარულის ამ ენერჯის ღვთაებრივი ძალით იხსნება გულის ჩაკრამი.

რომ თვითონ საოცრება ხართ. თუკი ღვთაებრივი ჩაკრამი ჩაკეტილია, მაშინ ძნელი იქნება ამის მიღწევა თქვენთვის, თქვენი მეორე ნახევარისათვის და ბავშვისათვის. ბავშვი მხოლოდ მაშინ იზრდება ჯანმრთელი და ბედნიერი, როცა მას არ აკლია სიყვარულის, სიკეთის, სიხარულისა და ბედნიერების ენერჯები. იგი ვითარცა ხე, რომელიც წყალს საჭიროებს (ქალის ენერჯიას, დედამიწის ენერჯიას) და მზეს (კოსმიურ ენერჯიას, მამის, ღვთაებრივ ენერჯიას).

ყველაფერი მხოლოდ საკუთარი თავისადმი სიყვარულით იწყება, და კიდევ: ბავშვი ყოველთვის



თქვენ, თქვენს ირგვლივ ყველაფერს შეიყვარებთ და მაშინ მიხვდებით,

უნდა წახალისო, შეაქო ამა თუ იმ ღირსებისათვის. რაც არ უნდა

ჩაიდინოს შედით მასთან ურთიერთობაში და გამოარკვიეთ საქციელის მიზეზი, რათა მიხვდეთ თურას გაუწყებთ იგი თავისი ამ საქციელით, არა და იგი თქვენს საკუთარ თავს მიგანიშნებთ. ის სარკეა თქვენი, დააკვირდით საკუთარ თავს ბავშვის მეშვეობით და თქვენც ყველაფერს მიხვდებით. ნახეთ თუ რისი თქმა უნდა ბავშვს თქვენთვის და მადლობაც არ დაგავიწყდეთ უთხრათ მას დახმარებისათვის. ნებისმიერ მდგომარეობაში მიიღეთ იგი და თქვენ მიხვდებით იმას, თუ რა ბედნიერებაა იყოლიო ბავშვები.

რა უნდა გაკეთდეს საბავშვო ბაღებში?

უპირველესად ყოვლისა საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, როდესაც ბავშვი თვითონ აირჩევს იმას, თუ რა უნდა გააკეთოს იმ წუთში. რადგან ბავშვის ყურადღება იოლად იფანტება, იგი სწრაფად იცვლის საქმიანობას. თუკი ბავშვს რაიმე მოეწონება იგი საათობით ითამაშებს ერთსა და იგივეს. ამ დროს ყველაფრის დანახვაც და მიხვედრაც შეიძლება იმის შესახებ, თუ რა ამოცანის შესასრულებლად მოეგვინა იგი ამ ქვეყანას. ირჩევს რა საყვარელ საქმიანობას, იგი თავის გზას ირჩევს ცხოვრებაში. იგი იმ გზით ივლის, და ამით უზარმაზარ სარგებლობას მოუტანს როგორც პლანეტას, ასე კაცობრიობასაც, თუკი ის თვითონ დაადგება თავის გზას და არა მშობლების დარიგებით. რაც ბავშვს უნდა ის გააკეთეთ. ნუ მოარგებთ ბავშვებზე შაბლონებს, პროგრამებს, რამეთუ მათ თავიანთი სისტემები უკვე აქვთ, სიცოცხლის ასევე თავიანთი პროგრამის შესაბამისად. ნუ აიძულებთ აკეთონ ის, რისი გაკეთებაც არ

სურთ. ეს მათი არჩევანია, დაუტოვეთ მათ არჩევანის უფლება. თქვენც მშვიდად იქნებით ფსიქოლოგიურად და ბავშვიც დიდ ბედნიერებას მიიღებს ცხოვრებისაგან. მხოლოდ მოუსმინეთ ბავშვს და ენდეთ მას. ბავშვი არცერთ მოძრაობასაც კი არ აკეთებს უაზროთ. მიეცით მას საშუალება ჩაწვდეს საკუთარ თავს. ეს უკვე ნამდვილი ბედნიერებაა, საჭიროა მხოლოდ მის მფარველ ანგელოზად გახდომა.

მინდა მაგალითისათვის აღზრდის იგავი შემოგთავაზოთ ბედნიერი ბავშვობისათვის და ამ იგავს ეწოდება “ანგელოზი.”

...დაბადებამდე ერთი დღით ადრე ბავშვი ეკითხება ღმერთს:

– ამბობენ, რომ ხვალ მე დედამიწაზე გამაგზავნიან. როგორ უნდა ვიცოცხლო იქ, მე ხომ ასე პატარა და დაუცველი ვარ?

– მე გაჩუქებ მფარველ ანგელოზს, რომელიც გელოდება და იზრუნებს შენზე.

ბავშვი დაფიქრდა, შემდეგ ისევ სთქვა:

აქ, ზეცაში, მე მხოლოდ ვმდებარე და ვიცინი, ჩემი ბედნიერებისათვის ეს სავსებით საკმარისია.

ღმერთმა უპასუხა:

– შენი ანგელოზი გიმღერებს შენ და შენთვის გაიღიმება, შენ იგრძნობ მის სიყვარულს და ბედნიერი იქნები.

– ო! მაგრამ როგორ გაუგებ მას, მე ხომ მისი ენა არ ვიცი? იკითხა ბავშვმა და თვალებში ჩახედა გამჩენს: – თუკი მომინდება შენთან საუბარი, რა უნდა გავაკეთო მე?

ღმერთი ალერსით შეეხო ბავშვს თავზე და სთქვა:

– შენი მფარველი ანგელოზი

ასე შეაერთებს შენს ხელის გულე-
ბს და გასწავლის ლოცვას.

ამის შემდეგ ბავშვმა იკითხა:
მე გამიგია, რომ დედამიწაზე
არსებობს ბოროტება. ვინ დამი-
ცავს მე?

შენი ანგელოზი დაგიცავს შენ,
თუნდაც საკუთარი სიცოცხლის
ფასად.

– მე ძალზედ მოვიწყენ, რადგან
ვეღარ გნახავ შენ...

– შენი ანგელოზი ყველაფერს
გიაშობს ჩემზე და ჩემსკენ დაბ-
რუნების გზასაც გასწავლის. ასე
რომ მე ყოველთვის შენს გვერდით
ვიქნები.

ამ დროს დედამიწიდან ხმა
მისწვდათ და ბავშვმა საჩქაროდ
იკითხა:

– ღმერთო მითხარი, რა ჰქვიან
ჩემს მფარველ ანგელოზს?

– მის სახელს მნიშვნელობა
არა აქვს, უბრალოდ შენ მას **ღე-
დას** დაუძახებ!..

...და კიდევ, დაეკითხეთ ბავშვებს,
რისი გაკეთება სურთ ამჟამად?
**ბავშვი ცხოვრობს ამ წუთში და
აქ და ეხლა.** და იგი თვითონ
იტყვის, რა სურს მას, რადგან ცოტა
ხანში მას სხვა თამაში მოუნდება.
მაგრამ ეს ყველაფერი ხომ სი-
ცოცხლეა! თამაში, – ზრდასრული
ადამიანის მინიატურაა. ბავშვი თა-
მაშით ღებულობს, ზრდასრულ
ცხოვრებაში აქტიური არსებობის
ჩვევებს. როცა თამაშობს, სათა-
მაშოებთან ერთად იგი იმ სიტუ-
აციებს ქმნის, რომლებსაც მო-
მავალში ზრდასრულის სახით
გაივლის და შექმნილი სიტუ-
აციიდან იპოვნის გამოსავალს.
იგივეა ზღაპრებიც. ბავშვს ახსოვს:
საიდან მოვიდა, რა მისია აკისრია...

ამიტომ თქვენი ამოცანაა დაეხმა-
როთ მას საკუთარი თავის გახსე-
ნებაში. მიეცით საშუალება მეტი
ითამაშოს, გამოკითხეთ თუ რისი
კეთება მოსწონს და რატომ. ისწა-
ვლეთ ბავშვთან ურთიერთობა და
თქვენ უკეთესად ამოიცნობთ საკუ-
თარ თავს.

**რას ასწავლიან ზღაპრები
ბავშვებს?**

უთხარით პატარას, რომ ზღა-
პარი სიბრძნეა, სამყაროს შე-
ცნობის გზა, ამ სამყაროში საკუ-
თარი ადგილისა და საკუთარი
თავის გამოცნობის საშუალება.
ისიც უთხარით, რომ ზღაპრები
საკრალურ ცოდნას აწვდიან ადა-
მიანებს, რომ ზღაპრებში დიდი
სიბრძნეა. ზღაპრები სუფთად და
გულთ ცხოვრებას გვასწავლიან
თუკი გულს მოუსმენთ, გვასწავ-
ლიან პატიოსნებას, სინდისს. ისინი
თანაგრძნობას, სიყვარულსა და
სიბრძნეს გვასწავლიან, საკუთარი
თავის მიღებას, ღმერთის აღიარ-
ებას და მისი დახმარების არსე-
ბობას. ზღაპრებში არსებობის უამ-
რავი საკითხი იხსნება: როგორ
ვიპოვოთ ღმერთი საკუთარ თავში,
როგორ მოვძებნოთ გზა საკუთარი
თავისაკენ, როგორ დავბრუნდეთ
შინ, საკუთარი სულის ტაძარში!

**როდის დაეიწყეთ
ზღაპრების კითხვა?**

ზღაპრების კითხვა ნებისმიერ
დროს შეიძლება დამოუკიდებლად
იმისაგან, გყავთ ბავშვები თუ არა.
ზღაპრებში ხომ საუკუნეთა ღვთა-
ებრივი სიბრძნეა. ისინი ჩვენი
ნებისმიერი მომენტისათვის გამზა-
ღებული ხელშემწენი არიან. და-

სვით შეკითხვა, ითხოვეთ დახმარება, და გადაშალეთ ზღაპარი ნებისმიერ გვერდზე და პასუხიც იქნება. ზღაპრებს სულ უნდა კითხულობდეთ, იმ დროსაც კი, როდესაც ბავშვი მუცლად არი. ზღაპრების კითხვა ბავშვებისათვის სრულიად აუცილებელია. ზღაპრების წაკითხვისას კითხეთ ბავშვს, რომელი გმირი მოეწონა და რომელი არა და რატომ. ბავშვი ყველაფერ ამას აგისხნით და თანაც მეტად მომხიბვლელად, ოღონდ ყურადღებიან მსმენელად უნდა გადაიქცეთ. ბავშვის მოსმენას ცოდნა უნდა. როგორც იტყვიან: ყურების მქონე გაიგებს, თვალების მქონე იხილავს. ზღაპრის მოსმენისას ბავშვი თავს გმირად წარმოიდგენს, გმირად, რომლისგანაც სწავლობს ცხოვრებას, სწავლობს საკუთარი გულის მოსმენას და მასში ღმერთის ხმის ამოცნობას. ნუ მოაცილებთ ბავშვს ღმერთს, თორემ დაბრუნება დიდხანს გასტანს და თანაც დაბრუნება, შესაძლოა, სწეულებასთან იყვეს დაკავშირებული. გახდით ბავშვის მეგობარი ყოველსა და ყველაფერში, და თუკი გთხოვთ დაეხმარეთ კიდევ, თუ არა და არ ჩაერიოთ მის საქმეში რადგან ურთიერთობას გააფუჭებთ. ბავშვი – ეს პაწაწინა “დიდი კაცია.” თუ ბავშვი გიყვართ, თქვენ საკუთარი თავიც გიყვართ, ოდესღაც ჩვენც ხომ პატარები ვიყავით და ასეთებად ვრჩებით მუდამ. ოღონდ ჩვენ ეს გვავიწყდება როცა დიდები ვხდებით. ჩვენ ხომ ღვთის შვილები ვართ და ეს არ უნდა დაგვაავიწყდეს. ღმერთი მარადიული ცვლილებაა, იგი ყველაფერია, ბავშვიც

და დიდიც. ღმერთი ხომ ბავშვის თვალებშია! აბა კარგად ჩახედეთ მათ თვალებში!

და კიდევ, არასოდეს შეპირდეთ ბავშვს ის, რისი ფიზიკური შესრულებაც არ შეგიძლიათ. ბავშვი ყველაფერს გრძნობს, იგი გენდობათ თქვენ და ამიტომ ელოდება სიტყვის შესრულებას. არ ჩაკლათ მასში თქვენდამი ნდობა, ნდობის დაბრუნება ძალზედ ძნელია მერმის. თუ შეპირდით შეასრულეთ კიდევ, არა და, – ნუ დაპირდებით! თუ თქვენ დაურეკეთ და უთხარით, – ზოოპარკში წავიდეთო, – და არ შეასრულეთ სიტყვა, მაშინ არც ის გაგიკვირდეთ, რომ ყოველი ამგვარი ტყუილით ბავშვი ნელ-ნელა დაგცილდებათ თქვენ და მისი დაბრუნება უკვე ძნელია. იგი შეიძლება ისე ჩაიკეტოს, რომ მხოლოდ მაშინ გაიხსნება, როცა ცხოვრებიდან წასვლას დააპირებს და მაშინ მეტად დამძიმდებით თქვენც და სხვა ყველა თქვენს ირგვლივ. იცხოვრეთ იმით რითაც შეგიძლიათ, რისი გაკეთებაც ხელგეწიფებათ, რასაც მიწვდებით და არა “ხვალ” და “აბა ვნახოთ რა იქნება...” – თი... და მრავალი ასეთი რამ, რადგან “ხვალ” და “მერე” ყველაფერი სხვაგვარად იქნება. თუკი ეხლა შეგიძლიათ ყურადღება გამოიჩინოთ ბავშვის მიმართ და ბავშვიც მზადაა და სიხარულით მოგყვებათ თქვენ, – იმოქმედეთ, თქვენ ხომ ორივე მზადა ხართ ბედნიერებისათვის. თუკი იმას გააკეთებინებთ რისი გაკეთებაც ან თქვენ ან ბავშვს არ მოგწონთ, ყველასათვის ცუდი იქნება. დაიჯერეთ, ეს ასეა.

ბავშვს უნდა ენდოთ, მიუტევოთ, გაანდოთ თქვენი საიდუმლოებანი,

მოუყვებოდა საკუთარ თავზე. ბავშვს ძალიან აინტერესებს ის თუ როგორი იყავით თქვენ თქვენი ბავშვობისას. “იცი...” უთხარით მას, და დაიწყებთ თქვენი ბავშვობის თხრობა. ნუ გაეზუტებით ბავშვებს უკვე დავიწყებულნი შეცდომისათვის. ბავშვი ხომ ყველაფერს გრძნობს. უბრალოდ: გიყვარდეთ იგი და არა ის რომ მიიბათ და უთქვენოდ ვეღარც კი ძლებდეს. იყავით თავისუფალი საკუთარ სიყვარულში, მიიღეთ მისი სიყვარული, მისი ჩახუტება, ალერსი... იგივე აჩუქეთ მასაც. სიყვარულში სიძუნწე არ არსებობს. ბავშვის გული ყოველთვის გახსნილია და მიეცით საშუალება გამოავლინოს საკუთარი თავი, გაიხსენეთ საკუთარი პატარაობა. უკითხეთ ზღაპრები, ზღაპრებით ისინი იხსენებენ საკუთარ თავს, მისიას და ირჩევენ გზას. მიეცით მათ საშუალება გამოავლინონ საკუთარი თავი, მიეცით თავისუფლება და დააფრთიანეთ. მათ იციან ეს ცხოვრება, მათ საკუთარი სულით სურთ მისი დანახვა, ანუ ღმერთის თვალებით მისი დანახვა. როცა ყვირიან, დახმარების უფლებას ითხოვენ. მიეცით საშუალება დაგეხმარონ და თქვენ დაინახავთ რა შეუძლიათ თქვენს პატარებს. იგი ხომ თქვენი ციციანათელაა, მას ხომ უყვარხართ, ის ხომ ღვთის გულიდან გეწვიათ თქვენ. მადლობა შესწირეთ მას ყველაფრისათვის, დალოცეთ, სთხოვეთ დალოცვა, გაუმხილეთ თუ როგორ გჭირდებათ ისინი თქვენ, მადლობა უთხარით რომ ასე უყვარხართ, იმისათვისაც, რომ იმ წუთში ის თქვენთანაა, თქვენს გვერდში... ისეთებად მიიღეთ ისინი, როგორებიც არიან. ელაპარაკეთ მათ და

ისწავლეთ მათი სიბრძნე, მათი თვალების სიბრძნეში ჩაიხედეთ. ენდეთ, სთხოვეთ რჩევა, დახმარება. მიჰყევით ბავშვს, იგი ჭეშმარიტებასთან მიგიყვანთ, იმასთან, რაც თქვენ გჭირდებათ იმ მომენტისათვის. როცა ბავშვს მადლობას ეუბნებით დახმარებისათვის, თქვენ თვით მამაზეციერს ეუბნებით მადლობას.

*ბავშვი ხომ ღმერთია.
მოუარეთ ბავშვებს და
ცელქობისთვის ნუ დასჯით.
თქვენი საქმის ჩაყარდნას
მათ ნუ გადააბრალლებთ.
მართლა ნუ უჯავრდებით,
გინდაც მართლაც გაჯავრდეთ,
მათ წამწამზე ცრემლები,
ძვირი რომ არ დაგიჯდეთ...
თუკი დაიქანცებით
ისრე, – თავსაც ვეღარ წევთ,
მაინც გაისარჯეთ და
შვილებს მიესალბუნეთ;
ჩაიხუტეთ,
აკოცეთ...
ხანმოკლეა სიცოცხლე...
დრო ხომ სწრაფად მოძრაობს?! უკან არ იხედება,
და ბავშვების ბავშვობა
სწრაფად გამოგეცლებათ:
ოქროს ხანა – ბავშვობა,
სწრაფად დაუმთავრდებათ
და დაზრდილი ბავშვები
თავ-თავის გზას გაჰყვება.
და... კერა დაობლდება...
გულის ტკივილს გაუძლებთ?!...
ცარიელი კერია,...
მარტოობა,... თითქოსდა
მართლაც დავრჩით ობლებად!
...ვიდრე ბავშვი გულს
გვითბობს, რას მიქვიან დაღლა
და*

ბუზღუნი და მოწყენა...
აბა ჩქარა, მოლხენა!
მოდით გულში ჩაგიკრათ,
ჩაგეხუტოთ, ჩაგეკოცნოთ!
...სადღაა დადღილობა?!
ლამის ფრთები შეგვესხას
პაწაწინა თითების
ასე ტკბილი კოცნისგან
მათი ტკბილი ფერების
ასე თბილი ღოყისგან!
გეხუტებით...
თქვენს სიყვარულს
გული ველარ იტევს!
ვენაცვალე აზრით აღვსილ
მე თქვენს თვალთა სხივებს!
ღმერთო!!!
გული გამევესო,
თითქოს შენზე ღოცვის-
გან... დარდი მერეც გვეყოფა
ჩვენი მარტოობისგან...
ეხლა მოდით ვიცინოთ,
ყველას გეაღერსებით
თქვენ კი შემოგვევლებით,

ყველას გენაცვალებით!

უბრალოდ უნდა
იცხოვროთ, მხოლოდ გახსნილმა
გულმა იცის ყველაფერი. გახსენით
გული, გაეციოთ სიყვარული, ღიმილი
და დაიბადება ახალი სიყვარულით
აღვსილი თაობა და ეს თაობაც,
მეექვსე რასა, უკვე მოვიდა. *მე
მიყვარხარ შენ, ჩემო ლამაზო
კაცობრიობა.*

გახდით ბავშვები და
მაშინ შეხვალთ ცათა სასუფევე-
ლში.

ტექსტი თარგმნა და ლექსი
გადმოაქართულ-გააქართულა
/თ.თავაძემ/



ბავშვები?!

არა ღმერთები და წმინდანები! საზრუნავეები?! კი!
სამაგიეროდ ჩვენი მხსნელები, ჩვენი
მესიები და მასწავლებლები!



კორნეი ჩუკოვსკი

ამ განსაკუთრებულ დროს, აპოკალიპსის ხანაში, გამჩენი ყველაფერს აკეთებს, რათა განახორციელოს დედამიწისა და კაცობრიობის გადარჩენა, მოიყვანოს ოქროს ხანა და დასრულდეს ის ჯოჯოხეთი, რომელიც ადამიანებმა თვითონ შექმნეს ამ მაღლიან დედამიწაზე.

უამრავ ღვთიურ ჩანაფიქრში, მის ჩვენდა გადასარჩენად, მამაზეციერი და ზეციური ძალები განსაკუთრებულ ძალას, – ბავშვებს გვიგზავნიან, როგორც უკვე ვთქვით, – ჩვენდა დასახმარებლად

და გადასარჩენად!

...კორნეი ჩუკოვსკი, ერთ თავის მეგობართან ერთად სტუმრად მივიდა მეტად “არისტოკრატულ” ოჯახში, სადაც ბავშვის დაბადების დღეს ზეიმობდნენ...

სუფრასთან შეგროვილი ფრიად სერიოზული საზოგადოება დინჯად და გულმოდგინედ განიხილავდა პოლიტიკას, ხელოვნებას და რას არა და რას არა... და თვით დაბადების დღის მიზეზი, პატარა ბიჭუნა მეზობელ ოთახში იყო “გაყვანილი” თავის სათამაშოებთან ერთად. მას მკაცრად ჰქონდა

დავალებული, — ხელი არ “შეეშალა” უფროსებისათვის.

კორნეი ჩუკოვსკი სუფრასთან არც კი მისულა და უაზრო, უხერხულობისაგან დაძაბულ და თეატრალიზებულ საუბრებში მონაწილეობა არ მიუღია. იგი ბავშვთან შევიდა, ჯერ საუბარი დაიწყო, დაბადების დღე მიულოცა და შეუმჩნეველად გაახალისა იგი იმით, რომ მასავით პატარა გახდა საქციელითაც და საუბრითაც. მერე ოთხზე დადგა, პატარა ზურგზე შეისვა, აჭიხინდა და ცხენივით ხტუნვა დაიწყო. ცოტა ხანში მათ ისეთი ხმაური და მხიარულება ატეხეს, რომ მეზობელ ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. კარი გაიღო და აღშფოთებული მშობლები თავს წაადგნენ მათ და... მეტად უხერხული სიტუაცია შეიქმნა. დედა უჯავრდებოდა “ბავშვს,” მაგრამ ყველამ კარგად დაინახა, ქალბატონი სინამდვილეში თუ ვის უჯავრდებოდა...

სიტუაცია თვით კორნეი ჩუკოვსკიმ განმუხტა, თავის მეგობარს მიმართა: წავიდეთ ამ სახლიდან, აქ ბავშვის ფასი არ იციან. ამიერიდან აქ ჩემი ფეხი აღარ იქნებაო...

ამბობენ, ადამიანიაო ბოროტი, მაგრამ სინამდვილეში განუზომელად უფრო მეტად ბოროტია თვით საზოგადოება, რომელიც ელოდება ახალშობილ ანგელოზს, ეძგერება მას ცხოველური სტერეოტიპებითა და საზოგადოებრივი სიმახინჯეებით, ჩაკლავს მასში ანგელოზს და... “საზოგადო პიროვნებაც” მზადაა. ეს უკვე დაღუპვისკენ მიმავალი გზაა დაწყებული კარიერიზმითა და ეგოისტური მისწრაფებუ-

ბით და დამთავრებული შავი გაგებით, ნარკომანიით და სხვა სიმახინჯეებით.

კიდევ კარგი ეს დრო სამუდამოდ დამარცხდა და ბავშვებს სხვა, მოწესრიგებული საზოგადოება ხვდება კანონის უზენაესობიდან დაწყებული და მანდატურებით დამთავრებული. ამგვარად დაცული, ახალი თაობაც მოდის სუფთა და ზნეობრივი, ასევე ახალი დროის მოთხოვნილებათა სამსახურისათვის.

მაგრამ!..

მაგრამ, მანდატურები სკოლიდან იცავენ ბავშვებს, მანამდე კი პატარებსა და პაწაწინებს დაცვა ესაჭიროებათ როგორც ოჯახებში ასევე საბავშვო ბაღებში. მათ განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდებათ. მაგრამ აქვთ კი ყოველივე ეს ჯეროვან დონეზე? თუ არა და ჩვენ ამას კვლავ კორნეი ჩუკოვსკის მსგავს მაგალითებზე გიჩვენებთ, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენს საუკუნეში.

მხოლოდ, ვიდრე ამ ამბებს მოგახსენებთ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ის, რომ საჭიროა როგორც სპეციალური ბაგა-ბაღები, ასევე მათი სპეციალისტები — მომსახურე პერსონალი, რომლებსაც განსაკუთრებული ცოდნა და დამოკიდებულება ექნებათ ბავშვებთან.

აი მაგალითები იმისა, თუ რა ბავშვები იბადებოდნენ და იბადებიან ამ ეპოქაში და რა ნიჭიერი პედაგოგიკაა საჭირო მათი ღვთიური ნიჭისა და გენიის შესანარჩუნებლად ერისა და კაცობრიობის სასიკეთოდ.

...ერთი პატარა ბიჭუნა, ნიკუშა ნარიმანიძე, ეუბნება თავის ბებოს:

იცო ბებო მე სოსოსთან თამაში არ მინდა, ზაზასთან თამაში მირჩევიანო.

– რატომ ბებო?

– იმიტომ რომ სოსოს **ხოს გული აქვს.**

– ზაზას როგორი გული აქვს?

– ზაზას ჩემსავით გული აქვს,

– პასუხობს ნიკოლოზი.

– შენ როგორი გული გაქვს?

– ეკითხება ბებო.

– მე... ბავშვი ჩაფიქრდება და ცოტა ხნის შემდეგ უბიდან მინანქრის მედალიონს ამოიღებს წმინდა ნიკოლოზის გამოსახულებით და **მედალიონის ოქროს წრეს დაადებს რა თითს, სიხარულით ამბობს:**

– აი ასეთი (ანუ ოქროსფრად გასხივოსნებული გული).

ასეთი ბავშვი წმინდანია და შესაბამისი ბაღი და აღმზრდელი ესაჭიროება მას, და არა ის ბაღი და აღმზრდელი სადაც ბავშვებს ტუქსავენ “სოსოსთან” თამაშის უარის გამო, და ბავშვსაც ამის გამო საბავშვო ბაღში სიარული შეძლდება.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ჩვენ დავინახავთ ბავშვისაგან წმინდა ჯვრის მიმართ განუზომელ პატივისცემას და სიყვარულს. აი ეს მაგალითიც.

...სამი-ოთხი წლის ბიჭუნას მეზობლებმა და ახლობლებმა ასწავლეს გინება, რაზედაც მეტად მხიარულობდნენ და ტკბებოდნენ. ყველა აქეზებდა მას: აი ამას შეაგინე, ეხლა ამასო...

ბოლოს ისე გასაზიზღრდა, რომ ყველას და ყველაფერს აგინებდა. საცოდავი დედა ვერას გახდა თავისი პირმშოს ასეთი გათავ-

ხედებისაგან და შემთხვევით მიხვდა იმას, თუ რით გადაერჩინა თავისი პატარა.

...დედამ მკაცრად უთხრა შვილს: თუ კიდევ ერთხელ მაინც შეიგინები, მაგ ჯვარს ყელზე რომ გაბია, – მოგხსნიო.



ბავშვს მუქარა დაავიწყდა და მორიგი უშვერი გინების შემდეგ დედამისმა ჯვრის მოხსნა დაუპირა.

...ჰოი საოცრებაჲ: ბავშვი ისტერიკაში ჩავარდა.

– დედიკო! ჯვარი არ წამართვა... აღარასოდეს აღარ შევიგინებო.

და ის იყო და ის, ბავშვი ჯვრის სიყვარულმა და ძალამ გადაარჩინა.

ბავშვები უშუალოდ ხედავენ ჭეშმარიტებას, ამიტომ ჩვენ მხოლოდ დაჯერება გვმართებს მათ მიმართ. აი ბატონებო ამის მაგალითიც.

...ხუთი წლის მარიამი ეუბნება თავის ბებოს: ბებო, ბებო! ტყუილს ნუ ამბობ, თორემ თვალები სულ სხვა ფერისა გაქვსო...

კიდევ. მამა შპაგატში ჩაჯდომას ასწავლის ბავშვს. ბავშვი ეუბნება: “ვერ ვჯდები, ფეხები მტკივა, გულში რაღაც არ მიშვებს.”

მამა მორიგ დარიგებას აძლე-

ვს: მაშინ გულშიც მოუშვიო.

ჰო, მამი! გულში მოუშვი და შპაგატშიც ჩავჯექი ისე რომ აღარაფერი მტკივაო.

ბავშვები ზოგჯერ სახელებსაც ურჩევენ სხვას და თვითონაც ირქმევენ სახელებს, მიუხედავად იმისა რომ მათ სახელი უკვე აქვთ.

წლინახევრის მარი: “მარი შენ რა გქვიან?”

მარი პასუხობს: “ნინი...” (!!!)

მოდი და ნუ “ჩაყლაპავ” ასეთ ბავშვს სიყვარულისაგან.

ბავშვების მოულოდნელი სიბრძნე: 6-7 წლის ბიჭი უსმენს უფროსების საუბარს ცხოვრებაზე. ცოტა ხანს ჩაფიქრებული დუმს და შემდეგ ამბობს: “ეს ცხოვრება არ არის, ეს გამოცდაა. აი მაგარ გამოცდას რომ ჩააბარებ და ამოიხსნის, ან იქეთ წახვალ ან აქეთო, – სთქვა მან და თითოთ ჯერ ქვემოთ მიანიშნა, დედამიწისაკენ და შემდეგ კი ზემოთ, ზეცისკენ...” (!!!)

...სამი წლის იკა (ირაკლი): მე რომ გავიზრდები, მოჭიდავე უნდა გამოვიდე.

- რატომ?
- ოქროს მედალი რომ ავიღო.
- რათ გინდა ოქროს მედალი?
- გავყიდი(!!!)

მეტად საგულისხმოა ბავშვების ფულთან, სრულიად თავისუფალი, უაღრესად წმინდა და ფილოსოფიური დამოკიდებულება. მათ არანაირი დანაშაული არ შემოაქვთ ფულთან მიმართებაში, უფრო მეტიც, მათ მიაჩნიათ, რომ ბავშვები ყველას ეკუთვნის და მათზე ყველამ უნა იზრუნოს...

...პატარა, დედასთან ერთად მიდის, იმ საშინელ, არც ისე შირს წასულ სიდუხჭირით აღვსილ

დროს და ეუბნება დედას:

- დედა ნაყინი მინდა.
- შვილო, ლარი მაქვს და ვერ გიყიდი.

- არაუშავს დედი, მომეცი ეგ ლარი, ნოლს მივეუწერ და ათი ლარი გახდება...(!!!)

- ან კიდევ სხვა.
- მამი ნაყინი მინდა.
- ფული არა მაქვს.
- არაუშავს, მემარიუნეს აქვს(!!!)

გავაგრძელოთ ბავშვთა უჩვეულო დიალოგები და დავინახავთ, თუ რაოდენ განუმეორებელია მათი აზროვნება და სიწმინდე.

გიორგის დედა გაუჯავრდა ზედმეტი ცელქობისათვის:

- გიორგი გაჩერდი. გაჩერდი...
- გიორგიმ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, და განერვიულებულმა ასე უპასუხა დედას:

მოდი, იქნებ მჩემო და დამაშიშხლიანო...(!!!)

განა რა ამოწურავს ბავშვთა სიწმინდისა და სილამაზის მაგალითებს, მაგრამ ბავშვთა განსაკუთრებულობის შემჩნევა, ხელშეწყობა და აღზრდა ითხოვს როგორც მშობელთა განსაკუთრებულ მიდგომას, ასე განსაკუთრებულ ბავშვთა აღმზრდელებსაც და საბავშვო ბაღებსაც. დასტურად ამისა არ დავჯერდები ზემოთმოყვანილ უჩვეულო მაგალითებს და მოგახსენებთ კიდევ რამდენიმე დიალოგს.

ორი წლის გოგონამ, რომელმაც ჯერ კიდევ ლაპარაკიც კი არ იცოდა, სამწვერა ნერვის ანთებით გამწარებულ ბებოსთან მივიდა, შეგნებულად დაადო თავისი ტატუნები სახეზე ბებოს და გაოცებულ ბებოს ტკივილი მოუხსნა!!!

იგივე გოგონა, როდესაც წამოიზარდა რა, და ტიტინი ისწავლა, ძალიან ზუსტად ახასიათებდა ნათესავეებსაც და მეზობლებსაც:

- ის კაგია!
- ის ჩუდია.

და როცა საბავშვო ბაღში სიარული დაიწყო, აღმზრდელებმა მშობლებს შესჩივლეს. - ბავშვი აუტანელიაო. სინამდვილე კი სულ სხვა გვარი რამ გამოდგა. ბავშვი ირჩევდა მეგობრებს თავისი ბავშვური "ჩუდია" და "კარგია"-ს პრინციპის თანახმად, რაც ასე არ მოეწონათ აღმზრდელებს.

განსაკუთრებული მიდგომით ერთი პატარა ბიჭი ისე განავითარეს მშობლებმა, რომ იგი ცხრა თვისა იყო, როდესაც უკვე სრულფასოვნად მეტყველებდა ქართულად. ერთი თვის შემდეგ უკვე ასევე სრულფასოვნად მეტყველებდა რუსულადაც. ზეპირად იცოდა მრავალი ძალზე დიდი საბავშვო ლექსები. ოთხი წლის ასაკში სრულიად ოსტატურად უკრავდა *თავის ნაწარმოებებს* ფორტეპიანოზე, ვარიაციებსა და იმპროვიზაციებს, ბახსა და შოპენს, მოცარტსა და ბეთჰოვენს. დღეს იგი ცნობილი პიანისტია და კომპოზიტორი.

...ამჟამად იზრდება ერთი პატარა მევიოლინე ვირტუოზი აღზრდის იგივე მეთოდებით...

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ზოგიერთი მთავრობა მიხვდა ბავშვთა ამგვარ მნიშვნელობას და ამ ქვეყნებში უკვე სახელმწიფო დონეზე მიდის ასეთი ბავშვების აღმოჩენა და მათთან სპეციალური მუშაობაც. რა საჭიროა სახელმწიფოში ასეთ ბავშვებზე ზრუნვა?

მათ პარანორმალური თვისებები აქვთ და სახელმწიფო მათი სპეციალური აღზრდითა და განვითარებით მათ თვისებებს გამოიყენებს სახელმწიფოს ინტერესებისათვის, ვთქვათ ნანოტექნოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის ან სხვა. აი ამის მაგალითიც:

...დედა აღვიძებს პატარა გიორგის:

-ადე, დედა გენაცვალოს, ჩაიცვი და წადი სკოლაში.

-ჰო დედი.

ცოტა ხანში დედა ისევ ეძახის მას:

-გიორგი, შვილო, ადექი სკოლაში ხარ წასასვლელი...

გიორგი იღვიძებს და გაოცებული ფიქრობს: აბა ის ვინ იყო რომ ადგა ჩაიცვა და კარებთან მივიდა სკოლაში წასასვლელად?!

ამ შეკითხვაზე ბავშვმა პასუხი უნდა მიიღოს, რომ მან, თურმე, სამშინველის გამოყოფის თანდაყოლილი თვისება აღმოაჩინა, მაგრამ ისე გაიზარდა, რომ პასუხი მხოლოდ ზრდასრულმა მიიღო, როცა იოგას მიჰყო ხელი...

ლოცვა ბავშვებზე!

...ბავშვები აღზარდოთ, აღზარდოთ უნაკლოდ, შევუნარჩუნოთ მათ წმინდა ბუნება და თვით სიწმინდე შეიფარავს მათ სიღამა ზეს, რომელსაც თუ ვთმობთ ვუთმობთ სიბერეს და დაბერებულს ვუთმობთ სამარეს...

ბავშვის ბუნება ამაღლებული, წმინდა, ხალასი ჩვენგან სიყვარულს ითხოვს,

თავდადებას, შრომას და ხალისს და უკვდავება, რომელიც ბავშვია, დაეკვებება ბოლოს სამყაროს.

დაეკვებება სიჭაბუკე ბოლოს სამყაროს, რადგან მემკვიდრე მოგვიშუშებს წყლულებს, იარებს და ჩვენც მოხუცებს, უფროს თაობას გულებს გაგვიხსნის და უკვდავებას ჩვენც გვაზიარებს.

ამიტომ ვთესოთ!

ამიტომ გავცეთ! უხვად, გონივრად, დაუზარელად, რადგან ნაყოფი, ასე სათუთი, გაძლიერდება ჩვენც გაგვამაგრებს.

უშვილუძირო საბრალოა და შესაცოდი,

თუ ვერ მიხვდება, რომ ყოველი ბავშვი მისია, მისი ამ ქვეყანაზედ,

და რა ძნელია ის ტკივილი, ღმერთო რა ძნელი,

როცა ბრძებისგან იმუსრება ჩვილი ბავშვები...

ნეტავ ამ ცოდვას მათსას ვინ წაშლის, ვინ დაიფარავს?!

და შავი მიწა მათ ჯოჯოხეთში სამუდამოდ გადაიფარავს...

მოდგმის მთესველი ჭირისუფლად აჩენს მშვენებას

და მოდის მხეცი, რომ სილამაზე მოსპოს ამ ქვეყნად.

სუსხიან ზამთარს მარტობას, მტრობას, სიძულვილს, ვერ გადურჩება ჩვილი ბავშვები!

გულში ჩავიკრათ! გადავარჩინოთ და მათთან ერთად ჩვენც გადავარჩებით!

რომ არ დასჭირდეთ დედებს ჩვენსას სევდიანი,

მწუხრის ჩუმი სანთლები, დედამიწაზე ჩვენ შევიფართოთ ყველა ბავშვები.

მათთვის შევქმნათ სილამაზის ჩუმი ზღაპრები,

როგორც ჩუმია ღამით მქრქალი ტაძრის ღამპრები.

...იჩქარე დაგრჩეს ქვეყანაზე ძე და ასული,

რომ არ ჩაგიქვრეს ტრფობის ცეცხლი დრო გარდასული,

და ნუ ჩაქვრები, დასაღუპავად თავს ნუ იმეტებ!

იქნება ობლებს გამოადგე მაინც იმედად,

რადგან სიცოცხლეს თუ არგუნებ ვისმეს,

გაუწილადებ, სხვის მარტობას, სულის ტკივილს გაიზიარებ,

დაგიფასდება შენივ ბედის სხვასთან გაყოფა,

და გამართლდება ცისქვეშეთში შენი აქ ყოფნა.

ჩემო იმედო! ეს აზრები ჭეშმარიტების,

გრძნობათა კონა უძვირფასეს მარგალიტების,

სულში გვინთია,

და ზეცაში სული წმინდასთან ერთად ჩვენც დავნავარდობთ!

ირწმუნეთ ყველამ, რომ ჩვენც მათ ვგევართ, ცად აფრენილი კოხტა გვრიტები.

ამინ!

თ. თავაძე

პარაცელსის ვარდი.

შესავალი

ზემოთმოყვანილი სათაურით გთავაზობთ ხორხე ლუის ბორხესის მეტად საინტერესო ნოველის თარგმანს.

ნოველა ძალზედ მცირეა ზომით, სამაგიეროდ ძალზედ საინტერესო მკითხველისათვის. აღსანიშნავია ის, რომ ეს ნოველა დაწერილია ყველა დროის ყველაზე დიდი ექიმის, — პარაცელსის შესახებ. ვინაიდან პარაცელსი მისტიკოსი იყო, კონკრეტულად კი ალქიმიკოსი, საკმარისი როდია ზოგადად იცნობდნენ მის ცხოვრებას და მისგან მიღწეულ ზოგიერთ ფენომენს, რადგან ის დიდი ცოდნა რაც ჭეშმარიტ მისტიკოსს გააჩნია არასოდეს გამოჩნდება მისტიური ცოდნის ზოგადი მკვლევარის ნაშრომებიდან, თუნდაც ესოდენ ღრმა და უღამაზესი ნარკვევიდან. ამიტომ, ბორხესისაგან ნაგულისხმევი არის “დანამატი” მე გავაკეთე. ამას იმისათვის ვაკეთებ, რომ გამოჩენილი მისტიური მწერლის ამ მეტად ღრმა ნაშრომმა მიზანს მიაღწიოს. უფრო მეტიც, ნოველის შემდეგ მოყვანილია რამოდენიმე ისეთი იგავი, რომლებიც იგივე მიზანს ემსახურებიან და აი მათ ფონზე ნათლად გამოჩნდება ის, თუ რაოდენ ღრმა შინაარსის მატარებელია მისტიური ნაშრომები. მოსწავლის შერჩევის პროცესს მასწავლებელი განახორციელებს და არა თავგასული მოსწავლე ისე, როგორადაც ამას ქრისტე განაცხადებს: “თქვენ კი არა, არამედ

მე ავირჩიეთ თქვენ...” ერთი სიტყვით: “მზადაა მოსწავლე — მზადაა მასწავლებელიც.”

რაც შეეხება ვარდის გაცოცხლების მაგიას, აქ იმალება უხსოვარი დროიდან საიდუმლოდ არსებული როგორც ხელოვნება და ხელობა, ასე ფილოსოფიაც ერთდროულად. დროის უსასრულო წიადიდან მოდის ეს საიდუმლო ცოდნა, რაც ქრისტიანობაში ცნობილია როგორც “აღდგომა.” აღდგომა სანუკვარი ოცნებაა კაცობრიობისა, მაგრამ მას მხოლოდ ღრმად გასაიდუმლოებულ მისტიურ სკოლებში ფლობენ და ისიც მხოლოდ ადებტები.

ისტორიკოსებისა და პითაგორიელთათვის ტერმინი “აღდგომა” “მეტემპსიქოზის” ტოლფასი მცნება იყო, ანუ ნიშნავდა “გარდაცვალებას.” მცენარეთა ფერფლიდან აღდგენით ალქიმიკოსები ეძებდნენ მტკიცებულებებს იმისა, რომ ცნობიერება და გონება ცოცხლობს ფიზიკური სტრუქტურის განადგურების შემდეგაც. მაგრამ მარტო გონება და ცნობიერება კი არა, არამედ ინდივიდუალობაც ინარჩუნებს ყოველივე იმას, რაც მას განადგურებამდე გააჩნდა. “აღდგომის” ტერმინი ასევე გამოიყენებოდა იმ სამყაროს აღსანიშნავად, რომელიც ძილიდან იქნა აღდგენილი, იმ ძილიდან რომელშიდაც იმყოფებოდა მანამდე, რათა ხელახლა აღეგოს დედამიწა სიცოცხლით შესაძლო კატაკლიზ-

მების შემდეგ, ვთქვათ წარღვნის შემდეგ. ძველი ფილოსოფოსები პლანეტებს ცოცხალ ორგანიზმებად განიხილავდნენ და ყოველივე ამას სიცოცხლის სხვადასხვა ფაზებში ხედავდნენ, ისეთებში, როგორცაა ვთქვათ ზრდა, განვითარება და დაშლა. ინდოეთში ასეთ გარდამავალ ფაზებს ბრამას დღეებსა და ღამეებს უწოდებენ. შოპენგაუერი ტერმინით “აღდგომა” აღნიშნავდა ნების აღორძინებასა და მის ახალ პიროვნებაში გამოვლინებას. ჰერმეტიული მეცნიერების ზოგიერთი მიმდევარი თვლიდა, რომ “აღდგომის” მეთოდი განხორციელებადია თუნდაც ხანგრძლივი დროის შემდეგ. ისინი ვინც ამის ექსპერიმენტალურ განხორციელებას ცდილობდა, პრობლემის მცდარი დებულებიდან მსჯელობდა, იმიტომ რომ არც ერთი ჰერმეტიული დებულება პირდაპირ გაგებას არ გულისხმობს. სინამდვილეში “აღდგომა” ნიშნავს ირაციონალური მატერიალური ორგანიზმიდან სულის სამშვინველის “აღდგომას.” ადამიანის სხეული ჰერმეტიული ჭურჭელია. სულის ხე იწვის ადამიანის გადაგვარებასთან ერთად. “აღდგომა” კი ნიშნავს იმას, რომ რარიგადაც მდაბლა არ უნდა დაეშვას ადამიანი თავისი სათნოების გაფლანგვითა და დეგრადირებით, სულიერი ელემენტები მას არ ეკარგება და მათი ხელახლა ერთად შეკრება შესაძლებელია ჰერმეტიული ხელოვნების მეთოდებით. შედეგად ამისა ადამიანში კვლავ აღმოცენდება სიცოცხლის ხე.

მაშ ასე, ქვემოთ გთავაზობთ

ხორხე ლუის ბორხესის “*პარაცელსის ვარდის*” თარგმანს.

პარაცელსის ვარდი

სახელოსნოში, რომელსაც მთელი სარდაფი ეჭირა, პარაცელსი ლოცულობდა და სთხოვდა ღმერთს, თავის გაურკვეველ ღმერთს, ნებისმიერ ღმერთს, გამოეგზავნათ მისთვის მოწაფე. ბინდდებოდა. ბუხრის სუსტი ცეცხლის ჩრდილები თარეშობდნენ იატაკზე. არანაირი ძალა აღარ ჰქონდა მას, რათა ამდგარიყო და რკინის შანდალი აენთო. დაღლილობამ მოთენთა პარაცელსი, მას დაავიწყდა თავისი ლოცვა და როდესაც ღამემ საბოლოოდ ამოშალა თვალთახედვიდან ისედაც სიბნელეში მყოფი გამოსახდელი ქვაბები, მიღები და ქურა, კარზე დააკაკუნეს. მძინარე პარაცელსი წამოდგა, ხვნეშითა და ვაი ვიშით ავიდა მოკლე ხვეული კიბით ზემოთ და კარი გააღო. შემოვიდა უცნობი. ისიც დაღლილი ჩანდა. პარაცელსმა შემოიპატიჟა იგი, დაბლა ჩაიყვანა ხვეული კიბით და სკამი შესთავაზა. სტუმარი დაჯდა და შეკითხვის ღოდინით დადუმდა. ერთხანს იჯდნენ ასე, დადუმებულები. პირველმა მასწავლებელმა დაარღვია სიჩუმე.

—მე კარგად მახსოვს დასავლეთის სახეები, ასევე კარგად მახსოვს სახეები აღმოსავლეთისა და შენი სახე არ მეცნობა. ვინა ხარ და რა გწადია ჩემგან?

—საქმე იმაში როდია თუ რა სახელს ვატარებ,—უპასუხა მან,—სამი დღე და ღამეა რაც მოვდივარ

რათა მენახე. მოწაფედ ამიყვანე. გაძღვე ყველაფერს, რაც კი გამაჩნდნა.

ამ სიტყვებთან ერთად მან ქისა მოიქექა და მაგიდაზე დაცალა. ბევრი დუბლონი გადმოიყარა და ყველა მათგანი ოქროსი იყო. პარაცელსი ზურგით დადგა მასთან და თაროზე სანთელი აანთო. როცა შემობრუნდა სტუმრის ხელში ვარდი დაინახა. ვარდმა შეაცბუნა იგი.

პარაცელსი დაჯდა და ხელის თითები შეაერთა.

—შენ ფიქრობ, რომ მე შემოდლიან გამოვიგონო ქვა, რომელსაც ყოველი საგნის ოქროდ ქცევა შეუძლიან და მთავაზობ ოქროს. არა, ოქროს არ ვეძებ, და თუ შენთვის ოქრო მნიშვნელოვანია, ჩემი მოწაფე ვერასოდეს ვერ გახდები.

—ოქრო არ მჭირდება,—უპასუხა სტუმარმა.—ეს მონეტები ჩემთვის შრომის წყურვილის ნიშანია. მასწავლე ხელოვნება. ნება მომეცი შენთან ერთად განვლო გზა მიმავალი ფილოსოფიური ქვისაკენ.

პარაცელსმა დაბეჯითებით წარმოსთქვა.

—ქვა არის გზაც და მისი დასაწყისიც. თუკი ამას ვერ ჩაწვდი მაშინ ჯერ ვერაფერი ვერ გაგიგებან რა. ყოველი შენი ნაბიჯი მიზანი გახდება.

სტუმარმა ეჭვის თვალთ შეხედა მას:

—რა, განა მიზანი მართლაც არსებობს?

პარაცელსმა გაიცინა.

—ჩემზე აუგის მთქმელნი, უფრო არარაობანი არიან ვიდრე მრავალნი და ისინი ამტკიცებენ რომ

არა, და რადგან მე მიზნის არსებობას ვადასტურებ, მატყუარას მეძახიან. მე როდი ვეკამათები მათ. თუმცა სავსებით შესაძლებელია რომ ფანტაზიორი ვარ. დიახ, გზა არსებობს.

სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ სტუმარი ამეტყველდა.

—მზადა ვარ ვიარო შენთან ერთად, თუნდაც რომ წლები დამჭირდეს. დამეხმარე გადავიარო უდაბნო. დამანახე, თუნდაც შორიდან, აღქმული მიწა, გინდაც რომ ფეხით არ შევეხო მას. მაგრამ, ვიდრე გზაზე შევდგები, მინდა მტკიცებულება.

—როდის?

—აი ეხლავე.

საუბარი ლათინურად მიმდინარეობდა; ეხლა კი გერმანულზე გადავიდნენ. ახალგაზრდამ აიღო ვარდი:

—ყველამ იცის, რომ შენ შეგიძლიან დაფერფლო ვარდი და მაგიის ძალით ფერფლიდან აღადგინო იგი. ნება მომეცი ჩემი თვალებით დავრწმუნდე ამაში. მიხვეწე და მეც შენი ვარ.

—შენ მეტად მიმნდობი ყოფილხარ,—უპასუხა მას მასწავლებელმა. მე კი შენი ნდობა როდი მჭირდება,

მე **რწმენა** მჭირდება შენი.

მოწაფე ჭირვეულობდა.

—იმიტომ რომ მიმნდობი სულაც არა ვარ, მე დასტური,—ვარდის სიკვდილისა და გაცოცხლების ხილვა მჭირდება.

პარაცელსმა ვარდი გამოართვა, თითებში ტრიალი დაუწყო და ისე განაგრძო საუბარი.

—შენ ამდენს მენდობი,—სთქვა მან.—შენ ფიქრობ, რომ მე მისი

განადგურება შემძლიან? ეს ყველას შეუძლიან.

–სცდები. ნუთუ რაიმეს არა-რაობად ქცევა მართლაც შესაძლებელია? ნუთუ ადამს სამოთხეში ყოფნისას თუნდაც ერთი ყვავილის ან ბალახის მოსპობა შეეძლო?

–ჩვენ სამოთხეში არა ვართ, – ჭირვეულობდა ახალგაზრდა. აქ ამ ცისქვეშეთში ყველაფერი მოკვდავია.

პარაცელსი ადგა.

–მაშ შენი აზრით ჩვენ სადა ვართ? ნუთუ ღმერთი სამოთხის გარდა სხვა რაიმეს შექმნიდა? და განა ეს დანაშაული არაა თვლიდე რომ ჯოჯოხეთში იმყოფები?

–ვარდი დაიწვება.

–ბუხარში ცეცხლი დარჩება, – უპასუხა პარაცელსმა თუ ვარდს ნაკვერჩხლებზე დავაგდებთ შენ იტყვი რომ იგი დაიწვა და მხოლოდ ფერფლია არის რეალობაო. მაგრამ მე გიპასუხებ, რომ ვარდი მარადიულია და იცვლება მხოლოდ მისი გამოსახულება. საკმარისია ვთქვა ერთი სიტყვა და იგი გაცოცხლდება და შენ კვლავ იხილავ მას.

–ერთი სიტყვა? განცვიფრდა მოსწავლე.

–მაგრამ ქურა ჩამქვრალია, გამოსახდელი ქვაბები დამტვერილან დროისაგან. როგორღა უნდა გააცოცხლო იგი?



პარაცელსმა ნაღვლიანად გადახედა მას:

–ქურა ჩაქვრა, გამოსახდელი ქვაბებიც დიდი ხანია აღარ გამოიყენებია. ჩემი ცხოვრების გზის ამ მონაკვეთზე მე სხვა საშუალებებს ვიყენებ.

ვერ გიბედავთ შეგეკითხოთ თუ რა საშუალებებს იყენებთ, – გაურკვეველად, შეშინებული თუ მორიდებული ხმით სთქვა მოწაფემ.

მე ვამბობ იმაზედ, თუ რა გამოიყენა უფალმა მიწისა და ცის, ჩვენგან პირველყოფილი ცოდვის გამო დაფარული სამოთხის, – სადაც ჩვენ ამჟამად ვცხოვრობთ, – შესაქმნელად. ვგულისხმობ სიტყვას, რომელსაც კაბალა გვასწავლის. მოწაფემ ცივად უპასუხა:

–შემიწყალე, მიჩვენე, როგორ ქრება და ცოცხლდება ვარდი. რა მნიშვნელობა აქვს, რას გამოიყენებ საამისოდ გამოსახდელ ქვაბს თუ სიტყვას.

პარაცელსი ჩაფიქრდა.

–მართლაც ასე რომ მოვიქცე, შენ იტყვი, რომ ეს თვალთმაქცობაა. სასწაული ვერ შეგძენს რწმენას, რომელსაც ეძებ, დაივიწყე ვარდი.

ახალგაზრდა კვლავინდებურად უნდობლად უცქერდა მას. მასწავლებელმა ხმას აუწია.

–სხვათა შორის, ვინა ხარ შენ, რომ მოდიხარ მასწავლებელთან და ითხოვ მისგან სასწაულს? რა დაიმსახურე საიმისო, რომ სასწაული იხილო?

მოსწავლე ათრთოლდა:

მე ვიცი რომ არაფერი გამოიკეთებია საამისოდ. მაგრამ იმ წლების გულისათვის, რაც შენს გვერდში, შენს ჩრდილქვეშ ვიქნები მოსწავლის სახით, გემუდარები მი-

ჩვენე ჯერ ფერფლი, შემდეგ ვარდი. სხვას არაფერს გთხოვ. ჩემს თვალებს ვუჯერებ მხოლოდ.

უეცრად მან ხელი დასტაცა ცოცხალ ვარდს, რომელიც პარაცელსმა ლარნაკში დატოვა და გამეტებით ისროლა ბუხარში. ვარდი დანახშირდა, მხოლოდ ფერფლი და რჩა. სტუმარი ძალიან



დიდხანს ელოდებოდა სიტყვასაც და სასწაულსაც. პარაცელსმა ეშმაკურად ჩაილაპარაკა: ყოველი ექიმი თუ აფთიაქარი ბაზილევაში ამტკიცებს, რომ მე თაღლითი ვარ. ვშიშობ, რომ ისინი მართლები არიან. ეს ფერფლი ვარდი იყო, მაგრამ ველარასოდეს გახდება ვარდი.

ახალგაზრდას შერცხვა.

პარაცელსი შარლატანია, სა-

ბრალო მეოცნებე და თვითონ კი, ასე მკრეხელურად შემოჭრილი აბეზარაა და ითხოვს ამ საბრალო მოხუცისაგან საკუთარი თავის მატყუარად აღიარებას, მაგისა კი –სიყალბედ გამოცხადებას.

იგი მუხლებზე დადგა.

–მე უღირსად მოვიქეცი. რწმენა არ მეყო რომელსაც უფალი ითხოვს ჩვენგან. ფერფლი ფერფლად დარჩეს. მაშინ დავბრუნდები, როცა რწმენაში გავძლიერდები და აი მაშინ გავხდები შენი მოსწავლე, რათა გზის დასრულებისას ვიხილო ვარდი.

გრძნობებით ლაპარაკობდა, მაგრამ ეს იყო მსცოვანი მასწავლებლის, –ესოდენ პატივცემულისა და საბრალოსი, განთქმულისა და, საბოლოო ჯამში, არარაობის მიმართ სიბრალული... და ვინ არის ბოლოს და ბოლოს ის, –იოჰან გრიზებახი, –რომ ბედავს და ასე მკრეხელობს, ახდის მას ნიდაბს, რომლის იქეთ სიცარიელეა?

ფულის დატოვება პარაცელსის კიდევ უფრო მეტად შეურაცხმყოფელი საქციელი იქნებოდა და მოწყალებით კი საბოლოოდ დამცირება. წასვლისას, მაგიდიდან მოხვეტა ღუბლონები და ქისაში ჩატენა ისინი. პარაცელსმა იგი კარამდის მიაცილა და უთხრა, რომ ამ სახლში მას მომავალშიც სიხარულით ელოდებიან. თუმცა ორივემ იცოდა, რომ ერთმანეთს ამ ცხოვრებაში ველარასოდეს შეხვდებოდნენ.

პარაცელსი მარტო დარჩა. მაგრამ ვიდრე სანთელს დააქრობდა და სავარძელში ჩაჯდებოდა მან მოკრიფა ფერფლი, სიყვარულით დაიგროვა ხელის

გულზე და ჩუმად წარმოსთქვა რაღაც სიტყვა...

ვარდი გაცოცხლდა.

* * *



პარაცელსი ჩუმად წავიდა ზედა სართულზე დასაძინებლად. როცა შემოსასვლელ კართან გადიოდა, შეყოვნდა, რაღაც თავის აზრებს გაუღიმა და... შემოსასვლელი კარის ურდული გახსნა(!)

პარაცელსს არ ეძინა, როდესაც შემოსასვლელი კარი ფრთხილად აჭრიალდა. პარაცელსმა კვლავ საიდუმლოდ გაუღიმა თავის აზრებს და გაირინდა...

...სტუმარი უკან დაბრუნდა. მას სკამზე გადაკიდებული ქურთუკი დარჩენოდა. ფეხაკრეფით ჩავიდა სარდაფში. ფრთხილად მივიდა სკამთან ქურთუკის ასაღებად და... თითქმის სრულ სიბნელეში, -ბუხარი ოდნავდა ბუუტავდა,- ვარდი დაინახა! ელდა ეცა, მაგრამ მისი ნაზი სურნელი რომ

იგრძნო ეჭვი გაქრა და... ტვინში აზრებმა იფეთქეს: “ურწმუნო, გზას ბოლოდან იწყებს... ეს კი შეუძლებელია... გზას რწმენა ჭირდება... მე კი რწმენა სრულიადაც არა მქონია... როგორ შევიძინო???”

სტუმარი გონს მოვიდა და ასევე ფეხაკრეფით გავიდა, უკვე სამუდამოდ...

...პარაცელსმა ფრთხილად მოხურული კარის ხმა რომ გაიგონა, კედლისკენ გადაბრუნდა და სახეზე შერჩენილი ღიმილით დაიძინა.

...ღილით პარაცელსი მზემ გაადვიდა. ჩვეულებისამებრ ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო იგი და დილის სუფთა ჰაერთან ერთად ოთახში ხმაურიც შემოვიდა. გაიხედა ხმაურის მხარეს და დაინახა: ხალხი ტბის პირას შეკრებილიყვნენ და ხმაურობდნენ. მისმა უტყუარმა ინტუიციამ უთხრა მას გულიდან, რომ გუშინდელ სტუმარს ტბის პირას გაუხდია ტანსაცმელი და სამუდამოდ მიატოვა ეს ცხოვრება თავისი სამოქალაქო სამოსელით, ოქროს დუბლონებით გამოტენილი ქისით და გაეცალა ამ ცხოვრებას. მან ფრანცისკანელთა სატომრე ტილოს კაბაზე გაცვალა ყოველივე და რწმენის შეძენის გზას დაადგა მომავალი სიცოცხლისათვის...

პარაცელსმა გაიღიმა. მომავალ ცხოვრებაში მას ღირსეული მოწაფე ელოდებოდა...

ტანთ ჩაიცვა და დაბლა ჩასასვლელ კიბეს შეუდგა. კარებთან რომ მივიდა, ვიდრე სარდაფისაკენ მიმავალ ხვეულ კიბეზე ჩავიდოდა, მისმა ინტუიციამ აქაც აგრძნობინა მას, რომ კარს უკან სტუმარი ელო-

დებოდა რომელსაც კარზე დააკაკუნებაც კი ვერ გაუბედნია.

პარაცელსმა სიხარულით აღუვლინა უფალს მადლობა, რომ ამ ცხოვრებაშიც არ დატოვა მან იგი მოსწავლის გარეშე...

პარაცელსმა კარი გააღო.

კიბეზე ახალგაზრდა კაცი იდგა, რომელიც თვალებში შესცქეროდა მას და თავის გაკვირვებას და სიხარულს ვერ მალავდა იმის გამო, რომ როგორც იქნა მიაგნო მასწავლებელს.

პარაცელსმა სახეზე კითხვა აღიბეჭდა. ყმაწვილმა მოკრძალებით მიმართა მას:

– ღირსმყავ, ო მოძღვარო, გემსახურო მთელი სიცოცხლე და თუ იქნება ნება შენი, მოწყალებით გაიღე ჩემთვის ცოდნა, რომელსაც დავიმსახურებ წლებისა და წლების ერთგული მსახურებითა და მორჩილებით...

პარაცელსმა გაუღიმა მას და ასევე უსიტყვოდ შემოიპატიჟა იგი სახლში...

* * *

ერთხელ მთებიდან ბარად, ცნობილი ბრძენი ჩამოვიდა. ყველას მიჰყავდა მასთან თავისი ბავშვი აღსაზრდელად და როდესაც მომავალ მოწაფეთა საკმარისი რაოდენობა დაგროვდა, ბრძენი მთებში მიმავალ გზას შეუდგა. ბავშვები მორჩილად და დიდი ინტერესით მიჰყვებოდნენ მას.

როდესაც გარკვეული გზა გაიარეს, მთის ფერდობის ერთ-ერთ ულამაზეს მწვანე მოღზე დასასვენებლად გაჩერდნენ. ბავშვები ჩუმად ისხდნენ და შესცივი-

ნებდნენ ბრძენს.

ბრძენი ადგა, ჯერ ყვავილების კრეფა დაიწყო, შემდეგ პეპლებს გაეკიდა, მერე ხეზეც აძვრა ჩიტის ბარტყების მოსანახულებლად, მერე... ამასობაში დრო გავიდა და როცა მიმოიხედა ბავშვები აღარსად იყვნენ. მხოლოდ ერთი ბიჭუნა დარჩენილიყო. ბრძენმა გაოცებით იკითხა:

– ბავშვები სად არიანო?

– სახლებში დაბრუნდნენო.

– და რატომო?

– ასე თქვეს, რასაც ის აკეთებს ჩვენ მაგაზე უკეთესად ვიცითო...

– კი მაგრამ შენ რატომღა დარჩი, რა შენ ეს არ იციო?

– არა, როგორ არა, მე ეს ყველაფერი კარგად ვიცი, მაგრამ მე იმიტომ დავრჩი შენთან, რომ ის ვისწავლო რაც მე არ ვიცი და მხოლოდ შენგან გავიგებო!

...ბრძენმა კმაყოფილებით გაიღიმა და ორივენი დუმილით შეუდგნენ გზას მთებისაკენ.

...ამბობენ, რომ ათი წლის შემდეგ ბარში ულამაზესი ყმაწვილი ჩამოვიდა და მოძღვრავდა იგი, და სასწაულმოქმედებდა ერში...

* * *

ლაო ძის შეგირდი ჰყავდა და აი უკვე 300 წელიწადია რაც ემსახურებოდა მას.

ერთხელ შეგირდმა შეიტყო რომ ლაო ძის მეგობარი ბრძენის შეგირდმა, რომელიც თავის დროს მისი მეგობარი იყო, თავისი მასწავლებლისაგან გასამსჯელო მიიღო და გაეცალა მას. მანაც უცებ გადათვალა 300 წლის შეგირდად ყოფნის გასამსჯელო და სიხარულით წარმოიდგინა, როგორ იყიდ-

და მიწას, სახლს, შექმნიდა ოჯახს და შვილებს გაზრდიდა...

...მანაც უთხრა ლაო ძის, რომ კუთვნილი გასამსჯელოს აღება სურდა.

ლაო ძიმ უარი არ უთხრა, მხოლოდ კი ნეკნებზე რაღაც წერტილს მიაჭირა თითო და ამის შემდეგ გადაუხადა მას კუთვნილი გასამსჯელო...

გავიდა ხანი, ყოფილმა შეგირდმა საწადელი აღისრულა და შვილები რომ გაზარდა შეამჩნია რომ დაბერდა და ძლიერ შეიცხადა: 300 წლის განმავლობაში სიჭაბუკე არ მომკლებია და ეხლა სულ რაღაც 28 წელიწადში დაუბერდიო და ...ჩაფიქრდა.

თარგმნა და მოამზადა

თ.თავაძემ

სიყვარულის ათი საიდუმლოება

საიდუმლოება მესამე:

—ჩუქების ძალა—

(დასაწყისი წინა ნომერში)

მისის ჯერაღინამ უილიამსისათვის ბრძოლა ბედნიერებისა და სიყვარულისათვის უკვე მაშინ დაიწყო, როდესაც იგი დედის მუცლიდან იშვა ქვედა კიდურების გარეშე და ისიც მხოლოდ ერთი ხელით. იგი ერთ-ერთი იყო იმ ათასობით ბავშთაგანი, რომლებიც სამოციან წლებში მომხდარი ტრაგედიის მსხვერპლნი გახდნენ. აღმოჩნდა რომ თითქოს უწყინარი დამამშვიდებელი პრეპარატი ტალიდომიდი, ფეხმძიმე ქალებისათვის ასეთი საშინელი ტრაგედიის მიზეზი გახდა მთელს ამერიკაში.

ახალგაზრდა კაცმა უცნაური უხერხულობის გრძნობა განიცადა, როდესაც ინვალიდის ოთხთვალაში მჯდომმა მისის უილიამსმა გამარჯობისათვის მას თავისი პროტეზირებული ხელი გაუწოდა.

—მე ძალიან გამიხარდა, როდესაც თქვენ დამირეკეთ,—უთხრა მას ქალბატონმა და თანაც ისეთნაირად, რომ არანაირი ყურადღება არ მიუქცევია თავისი სტუმრის უხერხულობისათვის. იგი მშვიდად წარუძღვა მას თავისი ოთახისაკენ. —ათ წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც ჩინელს შევხვდი, მაგრამ ისე კარგად მახსოვს ეს შეხვედრა, თითქოსდა ეს გუშინ მომხდარიყო.

მისის უილიამსმა ანიშნა ახა-

ლგაზრდას დამჯდარიყო დივანზე და თავისი ეტლი წინ დაუყენა.

—მას საღამოს შევხვდი პარკში. ეს იყო კოლეჯის საზაფხულო საზეიმო საღამო. მახსოვს დაისის სხივებში ვიჯექი და ვფიქრობდი, რომ ისეთს, რიგორიც მე ვარ, მშობლების გარდა არავინ შემეყვარებდა. ამის გაფიქრებაზე ავტირდი.

უეცრად მამაკაცის ხმა ჩამესმა, რომელიც მეკითხებოდა თუ რა მოხდაო. მე ავიხედე და დავინახე ის... მოხუცი ჩინელი. ცრემლების შესაშრობად ცხვირსახოცი მომაწოდა, იქვე გვერდში ჩამომიჯდა, ხელი გამომიწოდა, ოდნავ შეეხო ჩემს ხელს და მითხრა:

—იქნებ რამეში დაგეხმარო?

—მე ვერავინ მიშველის, — ჩავიბურტყუნე ჩემთვის.

—მაინც რატომ? — ჩაიძია მან.

—განა ვინ უნდა იყოს ისეთი, ვინც ჩემს პრობლემას გადაწყვეტს?

—კითხვაზე ვუპასუხე მე.

—ჩემს ქვეყანაში თვლიან რომ ყოველ ახალ პრობლემას მოაქვს კიდევ უფრო მეტი სიკეთე, რომელსაც შეუძლია ცხოვრება გააღამაზოს.

—დანამდვილებით გარწმუნებთ, რომ ჩემს პრობლემაში არაფერია ისეთი, რაც ჩემს ცხოვრებას გაამდიდრებს—ვუთხარი მე მოხუცს.

—მე მყავს მეგობარი,—მიპასუხა

მან, იგი შესანიშნავი ადამიანია. ათი წლის წინ მოტოციკლით მოდიოდა და უეცრად მოსახვევიდან უზარმაზარი სატვირთო მანქანა გამოვარდა. მოხვევის დრო აღარ დარჩა და იყო მხოლოდ ერთი შანსი... მანქანის ქვეშ გამძვრალიყო. მართლაც ასე მოახერხა, მაგრამ როდესაც სატვირთო მანქანის ქვეშ მიხობავდა მოტოციკლით, საწვავის ბაკს სახურავი მოსძვრა და საწვავი ზედ გადაესხა... სამი დღის შემდეგ გამოედვიდა უმწვავესი ტკივილებით მთელს სხეულში. მას მესამე ხა

რისხის დამწვრობა ჰქონდა: სხეულის 70%-ზე მეტის დაზიანება, სახის დამახინჯება, ხელების გაძვალეობა და ამ ყველა “სიკეთესთან” ერთად ის წელს ქვემოთ იყო მოწვეტილი...

მაგრამ მას ჰქონდა ის, რაც არა აქვს ძალიან ბევრს—დაუოკებელი სული. ცოლის წასვლის შემდეგაც კი, რომელმაც მიატოვა იგი, რადგან მისი თქმით არ უნდოდა ამ გაფშინებულ მახინჯთან ცხოვრება, მან მოახერხა ცხოვრების გაგრძელება და იმასაც კი მიაღწია რომ მილიონერი გახდა. ეს იყო ინვალიდის



ოთხთვალას მიჯაჭვული, საშინ-
ლად დამახინჯებული კაცი. მას
თითებიც კი აღარ ჰქონდა. ძალიან
ძნელია წარმოიდგინოთ ამაზე მეტი
ხეიბრობა. არცერთ ნაცნობს თუ
ახლობელს არ ეჯერა, რომ იგი
ნორმალურ ცხოვრებას შესძლებდა,
მითუმეტეს სიყვარულზე ლაპა-
რაკიც ხომ საერთოდ ზედმეტი
იყო. რათქმაუნდა რომ ის გამ-
წარდება და დაიბოღმება ამ ცხოვ-
რებაზე, – ამბობდნენ მასზე. ან
რისთვისღა დარჩა ამ ცხოვრება-
ში, – მსჯელობდნენ ახლობლები.
მაგრამ ის არ განურისხდა ცხოვ-
რებას, არ განუდგა მას, რადგან
იცოდა რომ ის ისეთივე დარჩა ში-
ნაგანად, როგორიც იყო უბედურე-
ბამდე.

ყველანი სცდებოდნენ მის მი-
მართ, რადგან მას დარჩა ოცნებები.
იგი მეტად წარმატებული ბიზნე-
სმენი დადგა და ამასთან ერთად
შთაგონების წყარო მათთვის ვინც
მას იცნობდა. უფრო მეტიც, ის შე-
ხვდა ისეთ ქალს, რომელსაც თა-
ვისი ოცნების ქალი უწოდა და ით-
ხოვა კიდევ იგი.

მე შემოვბრუნდი ჩინელისაკენ
და ვკითხე: “ნუთუ მართლაც არსე-
ბობს ასეთი ადამიანი სინამდვილე-
ში?”

–ეს ადამიანი უბრალოდ და
სწორედ ექცეოდა სიცოცხლეს: შე-
იძლება აირჩიო სიცოცხლე ან
შეიძლება აირჩიო სიკვდილი. ის
სიკვდილისათვის არ იყო მზად-
მიპასუხა მოხუცმა. ჩემს სამშობ-
ლოში არსებობს ანდაზა, რომ
*გმირი ის კი არაა ვინც აუტანელ
ცხოვრებას გაექცევა და თავს
მოიკლავს, არამედ ის ვინც
აუტანელ ცხოვრებას მიიღებს*

და გარდაქმნის მას.

მაშინ მე ვკითხე მას, თუ რო-
გორ მოახერხა მისმა მეგობარმა
სიყვარულის მოძებნა. მოხუცმა ისე
მიპასუხა, თითქოს ეს ისედაც თა-
ვისთავად გასაგები იყო: როგორც
ნებისმიერმა ადამიანმა, მან სიყვა-
რულის საიდუმლოებები შეიცნო.

აი მაშინ გავიგე სიყვარულის
ათი პრინციპის შესახებ, რომელთა
მეშვეობით, როგორც ამას მოხუცი
ჩინელი ამტკიცებდა, ყოველ ადა-
მიანს შეუძლია შემოიტანოს თავის
ცხოვრებაში არა მხოლოდ უბრა-
ლოდ სიყვარული, არამედ სიუხვე
სიყვარულისა, ურთიერთობისა,
თაყვანისცემისა, მადლიერებისა
და... რათქმაუნდა ცოლქმრული
სიყვარულისაც.

– კარგად კი უღერს, მაგრამ
დასაჯერებლადაა ძნელი–ამოიო-
ხრა ახალგაზრდამ.

–მეც ასე მეგონა, მაგრამ მე
რეალურად დამეხმარა ათივე პრი-
ნციპი და რადგანაც მე დამეხმარა,
–სთქვა მისის უილიამსმა–მაშინ,
ჩემის აზრით, ისინი ყველას დაე-
ხმარებიან. ის პრინციპი, რომე-
ლიც პირადად მე ძალზედ გამო-
მადგა, არის... საჩუქრის ძალის
პრინციპი.

–საჩუქრის?–გაოცებით იკით-
ხა ახალგაზრდა კაცმა.

–დიახ. ჩემთვის საჩუქრის
გაკეთება ყველაზე შესანიშნავი
პრინციპია სიყვარულისა. ეს ხომ
ძალზედ მარტივი, იოლად შესასრუ-
ლებელი პრინციპია, იმდენად მარ-
ტივი, რომ თუ თქვენ სიყვარული
გსურთ მიიღოთ, თქვენ მხოლოდ
უნდა გაასაჩუქროთ იგი. რაც მეტს
გასცემთ, მით მეტს მიიღებთ უკან.

–მაინცადა–მაინც ბოლომდე

არ მესმის თქვენი-უპასუხა ქალბატონ უილიამსს ახალგაზრდა კაცმა და ამოიღო თავისი უბის წიგნაკი და კალმისტარი.

-თქვენ შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი?

-რასაკვირველია. როცა თქვენ ვინმეს უღიმით, საერთოდ რა ხდება ამ დროს?

-მეც პასუხად მიღმიან-იყო პასუხი.

-თუ თქვენ ვინმეს გადაეხვევით, ისიც საპასუხოდ გადაეხვევთ თქვენ. კეთილი სიტყვა, საჩუქარი, სატელეფონო ზარი, წერილი... რაც გნებავთ, ოღონდ დაანახოთ ადამიანს, რომ თქვენ ზრუნავთ მასზე და ამაგიც ათასწილად დაგიბრუნდებათ.

-მაგრამ ყოველი როდი იქცევა ასე.-დაეჭვდა ახალგაზრდა.

-ყოველი არა, მაგრამ უმეტესობა კი. სიყვარული ბუმერანგია, იგი ყოველთვის ბრუნდება უკან. იქნებ სულაც იქიდან კიარა სადაც დაგიტესიათ, მაგრამ მაინც დაბრუნდება მოულოდნელი მხრიდან და თანაც გამრავლებული. ამასთან ერთად ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ ფულისა და ქონებისაგან განსხვავებით, სიყვარულის მარაგი უღევია და ურიცხვი. ჩვენ არ ვკარგავთ მას როცა გავცემთ, პირიქით, ერთადერთი ხერხი სიყვარულის დაკარგვისა არის-არავის მისცე იგი.

-ზოგიერთი ადამიანის შეყვარება, რაც არ უნდა ეცადოთ, დროის კარგება-სთქვა ახალგაზრდამ.

-რატომ?-თავის მხრივ იკითხა მისის უილიამსმა.

-ნუ... იმიტომ რომ... უმეტესწილად ადამიანები სავსენი არიან სიძულვილით. გეგონებათ რომ

თითქოსდა გულები ცარიელი აქვთო.

-ნება მომეცით შეგეკითხოთ, -უპასუხა ქალბატონმა უილიამსმა, -ვთქვათ თქვენ გაქვთ ულამაზესი ყვავილების თესლი, სად დარგავდით მათ, ულამაზეს ტყეში, მწვანე მინდვრებში თუ ხრიოკ მიწაზე?

-ბოლომდე არ მესმის რას მიმანიშნებთ,-უპასუხა ახალგაზრდამ.

-ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, რომელ მიწას უფრო სჭირდება თესლი და სად უფრო კარგ შედეგს მოიტანს ყვავილების დარგვა გაშენება?

-ხრიოკზე.

-რათქმაუნდა. და თუ ეს თესლი სიყვარულია, სად უფრო სჭირდება ის? სიყვარულით სავსე გულებში თუ მარტოხელა, გამწვარებულ ადამიანთა გულებში?

-ახლა უკვე მესმის თქვენი. სთქვა ახალგაზრდამ,-მაგრამ ეს ასე იოლი როდია?

-იმისათვის რომ გაიღიმო, იმდენივე ძალაა საჭირო, რამდენიც სჭირდება მოღუშვას. მეგობრული სიტყვის თქმას იმდენივე დრო სჭირდება, რამდენიც განკითხვას. ჩვენ გვრჩება **არჩევანი**: მოვეკიდოთ სხვებს სიყვარულით ისევე იოლად, როგორ იოლადაც ვექცევით მათ გულგრილობითა და არაკეთილმოსურნეობით.

ყოველ პრობლემათაგან ერთერთი პრობლემა ის გახლავთ, რომ ჩვენ პირველები არ ვაკეთებთ საჩუქარს. ჩვენ მხოლოდ უკვე ვაკეთებულ საჩუქარზე ვაკეთებთ საპასუხო საჩუქრებს და ეს უკვე ვალის მოხდას წააგავს, ამიტომაც

მას გემო აღარა აქვს. ისე კი ყველაზე სწორად, აღმოსავლური ანდაზა მიმაჩნია, რომელიც ამბობს: რომ “როცა მადლი იგვიანებს, მას გემო ეკარგებაო.” ამას ჩვენ განსაკუთრებით სიყვარულში ვაგვიანებთ, ანდა, თუ არ დავაგვიანებთ, პირობებს ვუსვამთ სიყვარულის გაცემისას: “მე მხოლოდ მაშინ შეგიყვარებ, თუ შენ შემეყვარებ.” ჩვენ ყოველთვის ველოდებით, რომ ვიღაც პირველი გადადგავს ნაბიჯს ჩვენსკენ. ეს მიზეზთა შორის ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ აკლიათ ადამიანებს სიყვარული. ისინი ელოდებიან იმას, რომ ჯერ ვიღაცამ უნდა შეიყვაროს. ეს იმდენად უცნაურია, რამდენადაც უცნაურია მუსიკოსი, რომელიც აცხადებს, რომ მხოლოდ მაშინ დაუკრავს როცა ხალხი ცეკვას დაიწყებს.

ნამდვილი სიყვარული უპირობოა, იგი არაფერს ითხოვს სანაცვლოდ და რადგან მე საჩუქარი გავაცნობიერე ყველაზე მეტად, აღმოვაჩინე ანტიკური ხანის აფორიზმიც: “სასიამოვნოა და სასიხარულო ის საჩუქარი, რომელმაც თხოვნას დაასწრო.” დიახ, ეს მე კარგად გავიგე და ერთხელაც ამოვიკითხე შესანიშნავი ამბავი ერთ გოგონაზე, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროებოდა ძვლის ტვინის გადანერგვა. საამისოდ მისივე უმცროსი ძმა გამოდგა დონორად. ექიმებმა ამ პატარა ბიჭუნას აუხსნეს, რომ თუ მისმა დამ ახალი სისხლი არ მიიღო, გარდაიცვლებოდა. სისხლი ვინმესი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მისი პატარა ძმისა. პატარა უყოყმანოდ დათანხმდა უფროსი დის თავისი

სისხლით გადარჩენაზე, მაგრამ ნარკოზის წინ პატარა ბიჭმა შეხედა ქირურგს და ჰკითხა: “როცა მე მოკვდები ძალიან მეტკინება?” შვიდი წლის პატარა ბიჭუნას ეგონა, რომ მთელი სისხლი უნდა მისცეს თავის დას, ანუ თავისი სიცოცხლე უნდა გასწიროს უფროსი დაიკოს გადასარჩენად. ამ შეკითხვიდან ჩანს რომ ძალიან ძნელად თუ ვინმე იპოვის ასეთ წმინდა და ნამდვილ სიყვარულს, როგორც ამ პატარა ბიჭუნას გააჩნდა თავისი დის მიმართ.

—ეს მართლაც ასეა. მაგრამ ოჯახის წევრების სიყვარული ხომ უფრო ადვილია?—იკითხა ახალგაზრდა კაცმა.

—ეს აუცილებელი პირობა როდია. ზოგიერთ ადამიანს არამც თუ არ უყვარს თავისი ოჯახის წევრები, არამედ სძულს ისინი.

ახალგაზრდა კაცმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. მან მისის ჰოპკინსი გაიხსენა, რომელსაც ოჯახში არაფრად აგდებდნენ და რომელიც ოჯახის ყოველი წევრის მიმართ სიძულვილში გადაიზარდა.

—ჩვენ ყველა ერთი ღვთის ქმნილებანი ვართ—განაგრძობდა მისის უილიამსი,—ჩვენ ყველას ერთი სისხლი და ხორცი გვაქვს. სინამდვილეში ჩვენ ყველანი ერთი ოჯახის წევრები ვართ და მე ვფიქრობ, ამაშია სიყვარულის არსი და სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას, საკუთარი თავი სხვაში დავინახოთ.

ხედავთ რატომაა, რომ თუ თქვენ გინდათ განიცადოთ ნამდვილი სიყვარული, თქვენ ყოველგვარი პირობების გარეშე მზად უნდა იყოთ სიყვარულის გასაცემად, ისე რომ არაფერს ელოდებოდეთ სანა-

ცვლოდ. სხვაგვარად ეს სიყვარული არ იქნება. საჩუქარი განა საჩუქარია თუკი ის უფასო არაა? ასევეა სიყვარულიც, თუკი ის რაიმე პირობების შედეგად ეძლევა ადამიანს. ასეთ შემთხვევაში სიყვარული ბედნიერების ხაზინაა და რაც უფრო მეტს გასცემთ, მით უფრო იზრდება ხაზინა, ანუ ბედნიერება. ხომ საოცარი გამონათქვამია: “საამოა ისეთი საჩუქარი, რომელმაც დახმარების თხოვნას დაასწრო”-ო და ეს ხომ უკვე ქველმოქმედებაა? რათქმაუნდა რომ ეს ასეა და მთელი ჩვენი სიცოცხლე სიკეთის ქმნად უნდა გავხადოთ.

–რანაირად?–იკითხა ახალგაზრდამ.

–უბრალოდ სპონტანურად, თავისდა უნებურად მუდამ ვაკეთოთ სიკეთე, ყოველგვარი მიზეზის გარეშე. ვთქვათ მოწყენილი ადამიანი შენიშნეთ, აჩუქეთ ყვავილების თაიგული. ან ვინმეს მოუწონეთ ნაშრომი ან გარეგნობა. აკეთეთ ყველაფერი, რაც ადამიანს გააკვირვებს, მის ღიმილს გამოიწვევს. აი ესაა სიკეთე უბრალოდ და იგი ქმნის სიყვარულს. ასეთი სიყვარული სამუდამოდ რჩება იმ ადამიანში, რომელშიდაც ეს გრძნობა თქვენ გააღვიძეთ.

ახალგაზრდა კაცმა რაღაც მოკლე ჩანიშვნები გააკეთა თავის უბის წიგნაკში. მას ძალიან მოეწონა ფრაზა: “უბრალოდ აკეთე სიკეთე.”

–მართლა დარწმუნებული ხართ იმაში რომ “უბრალოდ სიკეთის ქმნის პრაქტიკა”-მ მოგიტანათ თქვენ წარმატება?–იკითხა მან.

–რათქმაუნდა. ამან ჩემი საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულება შემიცვალა. მთელი ჩემი

სიცოცხლე მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ვარ უბედურების მსხვერპლი, მაგრამ საჩუქრების კეთების პრაქტიკამ აღმომაჩინინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხეიბარი ვარ, მაინც არსებობს უამრავი რამ, რისი გაკეთებაც შემიძლია სხვათათვის და მათი ცხოვრება სიკეთისაკენ შემოვებრუნო.

–თქვენ ოდესმე გიცდიათ, ყოველგვარი დაფარული, პირადი მოტივაციის გარეშე რაიმე გეკეთებინათ სხვათა ბედნიერებისა და კეთილდროებისათვის?

ახალგაზრდამ თავი დაუქნია.

–რასაკვირველია.

მას რამოდენიმე კვირის წინ მომხდარი ამბავი გაახსენდა. ახალგაზრდა ქალბატონი ძლივს მიათრევდა ბავშვის ოთხთვალას კიბიდან კიბეზე. პიკის საათი იყო და ადამიანები ვერ ამჩნევდნენ მის გასაჭირს. ის კი გაჩერდა და ოთხთვალა კიბეზე აატანინა.

–იმ დროს რა იგრძენით? ხომ გრძნობდით თავს ბედნიერად?

ისევ თავის დაქნევით დაუდასტურა მან ქალბატონ უილიამსს. მას ძალზედ უხაროდა მაშინ. იმ ქალის დახმარებამ, მას თითქოსდა ძალა შესძინა.

–ეს საჩუქრის, სიკეთის ქმნის ძალაა,–სთქვა მისის უილიამსმა. იგი არა მხოლოდ სიყვარულის გრძნობას მგვრის, არამედ სიყვარულით აღსავსე დამოკიდებულებების შექმნაშიც მეხმარება. ეს გრძნობა არასოდეს მღალატობს. საჩუქრის გაკეთების თვისება სრული გარანტიაა ორ ადამიანთა შორის ბედნიერებისა და სიყვარულის გარემოს შესაქმნელად.

–რატომ?–იკითხა ახალგაზრდამ.

–ეს ძალზედ მარტივია: თუ თქვენ ურთიერთობისას იმაზე კი

არ ზრუნავთ თუ რას მიიღებთ სხვისგან, არამედ იმაზე თუ რას გააკეთებთ სხვათა სიკეთისათვის, თქვენ არასოდეს არ შეგეშლებათ. ურთიერთობათა არსი ხომ გაცემის და მიღების ხელოვნებაა? ხომ მეთანხმებით ამაში?

-დიახ.

-თუ თქვენ მეტს ითხოვთ ვიდრე იძლევით, თქვენ ურთიერთობაში პრობლემები გიჩნდებათ. მეორეს მხრივ, თუ თქვენ მხოლოდ იმაზე ზრუნავთ თუ რა სიკეთეს მოუტანთ პარტნიორს, თქვენ არასოდეს შეგეშლებათ. ვიდრე მთელი სიცოცხლით სამუდამო ურთიერთობაში შევა ადამიანი, ის ფიქრობს თუ რას მოუტანს მას პარტნიორი. არსებობს გამონათქვამი: ცუდი ცოლი(ქმარი) ქორწინების წინ ელოდება ბედნიერებას, კარგი ცოლი(ქმარი) კი პირიქით, ქორწინების წინ გპირდება ბედნიერებას. ეს ძალზედ მარტივია, -ეგოიზმი ყველაფერში დამღუპველია. ალთრუიზმი კი, ანუ საკუთარი თავის დავიწყება, -მარადიული სიკეთე. არ მახსოვს ვის უთქვამს, მაგრამ გამიგია, რომ რასაცა გასცემ შენიაო და რაც არა დაკარგულიო...

ახალგაზრდამ გაიაზრა ეს და რაც მეტს ფიქრობდა იმაზე რომ ბედნიერებას თვითონ უნდა პირდებოდე, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა მის სიმართლეში. აქამდე მას აზრადაც არ მოსვლია ის, რომ **სიყვარულს გაცემისას გრძნობთ მხოლოდ**. ეტყობა ამაში იყო მისი შეცდომები ყველა მის წარუმატებელ ურთიერთობებისას წარსულში. მაშინ ის ხომ მხოლოდ იმაზე ფიქრობდა თუ რას ელოდებოდა იგი პარტნიორისაგან და არა იმაზე თუ რას მოუტანდა თვითონ გაცნობილ გოგონას.

-ნება მომეცით მოგითხროთ სრულიად წარმოუდგენელი შემთხვევა, რომელიც ხუთი წლის წინ მოხდა. მე სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმს ვუცქერდი მექსიკაში წამლებთან დაკავშირებუ-

ლი სკანდალის შესახებ. **ტალი-დომიდს** ისევ უნიშნავდნენ ექიმები ფეხმძიმე ქალებს, როგორც 25 წლის წინ დასავლეთის ქვეყნებში, სანამ აკრძალავდნენ მას.

-ეს აღმაშფოთებელია!-აღმოხდა ახალგაზრდა კაცს.

-ვიცი. მე საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი. ამდენი პატარა ბავშვი ასე უმოწყალოდ და უგუნურად დამახინჯებულები რომ იყვნენ ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოკლებული ექიმებისაგან. ერთმა პატარა გოგონამ ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. იგი შვიდი თუ რვა წლისა იყო და ჩემსავით ფეხების გარეშე დაიბადა, მაგრამ ჩემგან განსხვავებით მას სახე ჰქონდა დამახინჯებული. იგი ახერხებდა ამ უსიამოვნების გადალახვას, მაგრამ ყოველდღე ძლიერ სულიერ ტკივილებს განიცდიდა, ასე რომ მისი მომავალი სრულიად უიმედო იყო.

ის ღარიბი ოჯახიდან იყო და თავს ნებას ვერ მისცემდა სათანადოდ ემკურნალა რათა გადაადგილება შესძლებოდა და რაც მთავარია, კოსმეტიკური ოპერაცია გაეკეთებინა. მისი პროტეზები ძალიან პრიმიტიული იყო და ცუდად ჰქონდა მორგებული. სიარულისას დამატებით იტანჯებოდა და თუ არ მოიხსნიდა მათ, ისე ვერ ჯდებოდა. სწორედ ამიტომ აუკრძალა ავტობუსის მძღოლმა მას თავისი ავტობუსით მგზავრობა, რადგან პროტეზების მოხსნის დროს მისი სხვა მგზავრები არ გაღიზიანებულ იყვნენ.

ახალგაზრდა კაცმა თავი გადაიქნია, რადგან ვერანაირად ვერ დაიჯერა მსგავსი სიტუაცია.

-მე იმწამსვე მივხვდი, რომ უნდა დავეხმარო მას. ერთხელ მე ამოვიკითხე, რომ სიყვარული ეს მხოლოდ საკუთარი თავის სხვაში აღმოჩენაა და ის სიხარულია როცა საკუთარ თავს იცნობ სხვაში. აქამდე მე ვიცოდი ეს, მაგრამ არ მესმოდა თუ რას ნიშნავდა. მე

ვხედავდი არა მხოლოდ დამახინჯებულ პატარა გოგონას, მე მასში საკუთარი თავი დავინახე. ჩვენ ერთი უბედურება გვაკავშირებდა. პირველად ჩემს ცხოვრებაში მივხვდი, რომ ჩემს ტანჯვას რაღაც განსაკუთრებული მიზანი ჰქონია. მომდევნო რამოდენიმე თვის განმავლობაში მე დავიწყე ფულის შეგროვების კამპანია იმ გოგონასათვის ორი მაღალხარისხიანი პროტეზის გასაკეთებლად და ფიზიოთერაპიის მკურნალობისათვის, რათა ჯდომა შესძლებოდა. თავგანწირვით ვიბრძოდი რათა კოსმეტიკური ოპერაციაც გამეკეთებინა მისთვის სიმახინჯის თავიდან ასაცილებლად.

ვაწყობდი საღამოებს, ლატარიას, საქველმოქმედო ბაზრობებს, ვთხოვლობდი შემონაწირებს ვისგანაც შეიძლებოდა და რამდენსაც შემომწირავდნენ. თვრამეტ თვეში ფული შევაგროვე და ისიც კი მოვახერხე რომ ცნობილი ქირურგი-კოსმეტოლოგი დავიყოლიე იმ გოგონასათვის უფასო კოსმეტოლოგიური ოპერაციის გასაკეთებლად.

მკურნალობისა და ახალი პროტეზის მორგების შემდეგ მე მის სანახავად წავედი და როგორც კი დამინახა, მაშინვე ჩემსკენ გამოქანდა ცრემლებით სავსე თვალებით, ჩამეხუტა და მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა: “გმადლობ,



გმადლობ, გმადლობ.” – ისევ და ისევ გაუთავებლად. მაშინ ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი სიყვარული ისეთი სიჭარბით, რომ თავშეუკავებლად ავტირდი ხმა-მადლა. არასოდეს მიტირია ასეთი სიხარულით ისე, როგორც იმ დღეს როცა ეს პატარა გოგონა მყავდა ჩახუტებული გულში.

აი მხოლოდ მაშინ მივხვდი იმას, თუ რას გულისხმობდა მოხუცი ჩინელი, როცა შემეკითხა: “ვის უფრო მეტი უბედურება დასტეხია თავს? იმას ვინც ვერ დადის ან ვერ ლაპარაკობს, არ ესმის ანდა ვერ ხედავს, თუ იმას ვისაც სიცილი, ტირილი და სიხარულიც კი არ შეუძლიან-ო?” მე პირველად შევიგრძენი რომ ჩემს ხეიბრულ მდგომარეობაში, შინაგანად მე ისეთივე ვარ როგორც სხვები. იმ დღეს მივხვდი სწორედ, რომ მიუხედავად ჩემი პირადი სიძნელეებისა, მიუხედავად მთელს მსოფლიოში გაბატონებული სიცრუისა და უმძიმესი შრომისა, სიცოცხლე შეიძლება იყვეს ასეთი მომხიბლავი თუკი ჩვენ, ჩვენს გულებს სიყვარულით ავივსებთ.

ერთი წლის შემდეგ მე შევხვდი ერთ მამაკაცს. ის იყო კეთილი, სათნო, გასაოცარი პიროვნება. სოციალური სფეროს მუშაკი ჩვენს ადგილობრივ საზოგადოებრივ ცენტრში, რომელშიდაც მე დავდიოდი. ჩვენ იმთავითვე მოგვეწონა ერთმანეთი, მე არ ვიცოდი რა მოხდა მაგრამ პირველივე

შეხვედრამ გადაწყვიტა ყველაფერი. მალე ძალიან ახლო მეგობრები გავხდით და რამოდენიმე თვეში მართლაც მოხდა სასწაული რომელზედაც მე ასე ვოცნებობდი... მან საცეკვაოდ გამიწვია!

ერთი წლის შემდეგ დავექორწინდი და ორი უმშვენიერესი გოგონა გვყავს. ასე რომ, მოხუცი ჩინელი მართალი გამოდგა – ყოველი პრობლემა მოდის და თან თავისი სიკეთე მოაქვს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას განაახლებს. ვიდრე საკუთარი თავის ნაწილის შეწირვა შეგიძლიათ, ვიდრე სხვისი დახმარება შეგიძლიათ, თქვენ შეგიძლიათ სიყვარული მოიპოვოთ...

იმ საღამოს ახლგაზრდა კაცმა თავისი ჩანაწერები გადაიკითხა და ქალბატონ უილიამსთან ნასაუბრევიდან ასეთი მოკლე ამონარიდი გააკეთა:

ჭე შმარიტი სიყვარულის მესამე საიდუმლოება – ჩუქების ძალა.

თუ გსურთ სიყვარულის მიღება, უნდა გასცეთ იგი! რაც მეტ სიყვარულს გააჩუქებ, მით მეტს მიიღებ საპასუხოდ.

გიყვარდეს, –ნიშნავს შეეწირო სიყვარულს უსიტყვოდ, უანგაროდ უსასყიდლოდ.

უბრალოდ აკეთე სიკეთე.

ვიდრე ურთიერთობას დაიწყებდეთ, ჰკითხეთ საკუთარ თავს არა ის, თუ რას მოგცემთ თქვენ ურთიერთობა, არამედ ის თუ თქვენ რას შესძენთ მას.

ადამ ჯ. ჯექსონი

თარგმნა /თ. თავაძემ./

**პატივისცემით, ბატონ
თამაზის.**

ბატონო თამაზ დიდ მადლობას გიხდით იმ მზრუნველობისთვის და გულისხმიერებისთვის, რაც გამოიჩინეთ ჩემს მიმართ. ვიმყოფებოდი უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში მაწუხებდა დისკოზი და ამასთან ერთად სისხლძარღვების შევიწროვება, რამაც გამოიწვია ღვიძლის, გულის და ფილტვების დაზიანება. ამ პრობლემებიდან გამომდინარე მივმართე სამკურნალოდ უამრავ სამედიცინო დაწესებულებას, დამინიშნეს მკურნალობა, ვიმკურნალე ექვსი თვის განმავლობაში, მაგრამ მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. ვიმყოფებოდი წოლით მდგომარეობაში რადგან სიარული არ შემიძლო. რის გამოც ფსიქოლოგიურად მუდმივ შიშებში ვიყავი. შემთხვევით გავიგე

თქვენს შესახებ და თქვენი მეთოდების შესახებ და იმედი ჩამესახა და მოგმართე. თქვენთან ვმკურნალობ უკვე ოთხი თვეა და მაქვს დიდი წინსვლა შევძელი პირველ რიგში ფეხზე სიარული. პარალიზებული მარჯვენა ხელის ამოძრავება და ფსიქოლოგიურად მყარად დავდექი. თქვენი მკურნალობის მეთოდი სრულიად მისაღებია ყველა იმ ავადმყოფისათვის ვინც ჩემს მდგომარეობაშია. დღევანდელი დღის დაკვირვებით ჩემს თავს ვთვლი ჯანმრთელად და ამისთვის თქვენ გიხდით უდიდეს მადლობას. ჩემთან ერთად მადლობას გიხდით ჩემი დავენერა მამულაშვილი, რომელმაც თქვენი მეთოდი ვარჯიშებით დაამარცხა მარტილები და სისხლძარღვების ავადმყოფობა. (22.07.2011წელი).

*თქვენი პაციენტი
ნ. მამულაშვილი*

მადლობის წერილი

ჩემი ავადმყოფობის ისტორიის საამბოდ უნდა დავუბრუნდეთ 2003 წელს, როცა 43 წლის ასაკში გადავიტანე წითელა. ავადმყოფობა მიმდინარეობდა მძიმედ, მრავალი გართულებით, რის შედეგადაც იმუნური სისტემა სერიოზულად დაზიანდა. მომდევნო შვიდი წელი გარდაიქცა ავადმყოფობების უწყვეტ ნაკადად: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მრავალი ქრონიკული დაავადება, გინეკოლოგიური ოპერაცია, მარცხენი დაგროვება მხრის სახსარში, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევა, ნევრალგია, ანტიბიოტიკების ხშირი მიღების აუცილებლობით გამოწვეული ლეიკოპენია. ეს სია შეიძლება კიდევ განვაგრძოთ. ყოველი დღის მოსვლას თან ახლდა ახალი ავადმყოფობის მოლოდინი და შიში, წლის დეკემბერში ბატონი თამაზ თავაძის და სამკურნალო სისტემის „ოქროს საწმისის“ გაცნობით. თანდათანობით

ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. თუმცა ყველაზე დიდი გამოწვევა გამოდგა ავადმყოფობისადმი ჩემი დამოკიდებულების გარდაქმნა და იმის გაცნობიერება რომ მე თვითონ მიწევს განკურნების ხელშეწყობა.

ბატონი თამაზი დიდი გულისხმიერებით მოეკიდა ჩემს მდგომარეობას და უსაზღვრო მოთმინებით მამეცადინებდა. მე ნამდვილად მიჭირს შესაფერისი სიტყვების პოვნა, ამ არაჩვეულებრივი ადამიანისთვის, ჭეშმარიტი ფილოსოფოსისთვის, მკურნალისთვის და ფსიქოლოგისთვის მაღლიერების გამოსახატავად. ამჟამად „ოქროს საწმისის“ ვარჯიშები ჩემი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სრულად მომეხსნა ტკივილები კუჭში, მხრის სახსარს დაუბრუნდა მოძრაობის უნარი, გაქრა იმ წამლების მიღების აუცილებლობა, რომელთა გარეშეც ჩემი ცხოვრება უკვე წარმოუდგენელი იყო და რაც ყველაზე მთავარია დამი-



ბრუნდა ენერგია და ცხოვრების ხალისი.

ყოველივე ამას მე ვუმადლი „ოქროს საწმისის“ სისტემას და ბატონი თამაზ თავაძის არაჩვეულებ-

ურივ ჰუმანიზმს და პროფესიონალიზმს.

დიდი პატივისცემით,
ნატალია ქურხული